აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო

Sub-department of Ajara Autonomous Republic Government-
Archives Administration

ISSN 2233-3541

ა რ ხ ე ი ო ნ ი

A R C H E I O N

XI

თბილისი 2016 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი
რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე

სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი (თბილისი), თენგიზ ცინცქილაძე, თენგიზ სალუქვაძე, ჯაბა ბერიძე, ელგუჯა გოგიბერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი), მერაბ კეზევაძე (ქუთაისი).

Maia Ivanishvili– chairman of editorial board
Tamaz Putkaradze – editor

Editorial Board:
Teona Iashvili (Tbilisi), Tengiz Tsintskiladze, Tengiz Salukvadze, Jaba Beridze, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili (Batumi), Merab Kezevadze (Kutaisi).

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.
ავტორების სტილი დაცულია.

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.
Authors' style is retained.

აჭარის საარქივო სამმართველო, ტელეფონი: 27 52 10
ვებ გვერდი: http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2

გამომცემლობა„**უნივერსალი**", **2016**
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

რედაქტორისაგან

5 წლის წინათ, 2010 წელს მკითხველმა მიიღო ახალი სამეცნიერო ჟურნალი „არხეიონი“.

ჟურნალის შექმნისას ვფიქრობდით, რა მიმართულების უნდა ყოფილიყო იგი, რა სახის პუბლიკაციები უნდა დაბეჭდილიყო ახალ გამოცემაში. ჩვენი სურვილი იყო ჟურნალს ჰქონოდა შემეცნებითი ფუნქციაც. ცხადია, აღნიშნული ფუნქციით დატვირთულ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიები უნდა შესრულებულიყო დიდი პასუხისმგებლობით, მეცნიერული სინდისითა და აკადემიურობით, რათა შეესრულებინა „ცოცხალი ისტორიის“ მთხრობელის როლი. ჩვენ უნდა აგვემეტყველებინა საარქივო დოკუმენტები, გაგვეცოცხლებინა ის ადამიანები, რომლებიც იღწვოდნენ, იბრძოდნენ, უყვარდათ, სწამდათ, ეიმედებოდათ ერთმანეთი, ელოლიავებოდნენ და ეფერებოდნენ ფონდსაცავებში დაბინავებულ თითოეულ ფურცელს.

ხუთი წლის გადასახედიდან დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ: ჟურნალი „არხეიონი“ გამოსვლისთანავე შეიყვარა მკითხველმა. ამის დასტურია სამადლობელო წერილები, სატელეფონო ზარები, გამოხმაურებები და რაც მთავარია, ციტირების ინდექსი. ეს კეთილგანწყობა კიდევ უფრო აღრმავებს ჩვენს მისწრაფებას, რომ „არხეიონის“ სახით მკითხველს ჰქონდეს ისეთი ბეჭდური პროდუქცია, როგორიც შეეფერება მაღალი გემოვნებით გამორჩეული ქართველი მკითხველის მოთხოვნებს. რამდენად შეძლო ეს ჟურნალმა, ცხადია მკითხველი საზოგადოების განსასჯელია.

ბოლო პერიოდში ჟურნალმა მკითხველი მიიწვია სოციალურ ქსელშიც. ჩვენს ერთგულ მკითხველს ვახსენებთ ჟურნალის იმ მასალებს, რომლებიც ადრე გამოქვეყნდა. ამავე დროს, შესაძლებლობას ვაძლევთ მათაც, ვინც ადრე ვერ შეძლო „არხეიონში“ გამოქვეყნებული პუბლიკაციების წაკითხვა. ჩვენთვის ძვირფასია ყოველი შენიშვნა, კომენტარი, გამოხმაურება, რომლებიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული სარედაქციო საბჭოს მიერ.

ახლა მკითხველს ხელთ უპყრია ჟურნალის მორიგი, მე-11 ნომერი. მასში გამოქვეყნებულ მასალებს მკითხველი ინტერესით წაიკითხავს, თუმცა სარედაქციო საბჭო წინ უნდა იხედებოდეს და ზრუნავდეს სიახლეებზე, ინოვაციებზე, მკითხველი საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებაზე. ეს ასეც იქნება. ამავე დროს გვსურს ამ მუდმივ პროცესში აქტიურად ჩაერთონ ჩვენი თანამემამულეები. „არხეიონი“ თითოეული თქვენთაგანის ჟურნალია.

ელგუჯა ჩაგანავა

აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო და მისი ტერიტორიული ორგანოები 2015 წელს მუშაობას წარმართავდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივთან შეთანხმებული ძირითად ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად.

2015 წელს შესრულდა:

1. საქმეთა ყდაში ჩასმა-ჩაკერება:

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო	1500	9241	616
2	ქობულეთის არქივი	470	501	106
3	ხელვაჩაურის არქივი	300	308	122
4	ქედის არქივი	468	470	100
5	შუახევის არქივი	1030	1038	100
6	ხულოს არქივი	250	251	100
	სულ	4168	11869	284

2. საარქივო სამმართველოში მარტივი რესტავრაცია ჩაუტარდა 25931 ფურცელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15000 ფურცლისა და გეგმა შესრულდა 172 %-ით. სარესტავრაციო სამუშაოების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, რაც განპირობებულია ფონდების საქმეთა გაციფრისათვის (დიგიტალიზაციისათვის) მომზადების აუცილებლობით.

3. **განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტის გამოვლენა.**

2015 წელს სამმართველოში გადათვალიერდა აჭარის არ კულტურის სამინისტროს 1962-2004 წლის ფონდი რ-972, 940 ქადალდსაფუძვლიანი დოკუმენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 940 შ/ერთეულისა, გამოვლინდა 53 განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტი. გეგმა შესრულდა 100%-ით.

ასევე გეგმის მიხედვით გადათვალიერდა 300 ფოტოდოკუმენტი და გამოვლინდა 70 განსაკუთრებულად ღირებული ფოტოდოკუმენტი. გეგმა შესრულდა 100 %-ით.

4. **დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება ჩაუტარდა:**

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო	22871	36460	159
2	ქობულეთის არქივი	1148	1148	100

3	ხელვაჩაურის არქივი	2573	3111	120
4	ქედის არქივი	796	806	101
5	შუახევის არქივი	900	900	100
6	ხულოს არქივი	1171	1171	100
	სულ	29459	43596	147

5. დოკუმენტების საინფორმაციო საძიებო სისტემის შექმნა და განვითარება:

ა) 2015 წელს სამმართველოში და ტერიტორიულ ორგანოს-არქივებში აღიწერა 8 ფონდის 785 საქმე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5196 საქმისა და გეგმა შესრულდა 79%-ით.

ბ) აღიწერა ასევე აუდიო ვიზუალური დოკუმენტები – მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ფოტოდოკუმენტი (1845-2011წლები) – 4120 შესანახი ფოტოდოკუმენტი.

6. 2014 წელს გადამუშავდა 8 ფონდის დოკუმენტების ანაწერები:

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	საზ. ერთეული	ფონდის რაოდ.	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო	საქმე	7	–	626	–
2	ქობულეთის არქივი	„	–	–	–	–
3	ხელვაჩაურის არქივი	„	1	163	163	100
4	ქედის არქივი	„	–	–	–	–
5	შუახევის არქივი	„	–	–	–	–
6	ხულოს არქივი	„	–	–	–	–
	სულ		8	163	785	481

ანაწერების გადამუშავების შედეგად საარქივო სამმართველოში გასანადგურებლად გამოიყო 864 საქმე, აღიწერა №1 – 2380 საქმე, №2 აღწერა – №84 საქმე, სულ გადამუშავდა – 3533 საქმეთა ერთეული.

გაუმჯობესება – გადამუშავება ჩაუტარდა 17 ფონდის 2703 საქმეს, ტერიტორიულ ორგანო-არქივებში გასანადგურებლად გამოიყო 1534 საქმე, აღიწერა 1060 საქმე. 2015 წელს გაუმჯობესება – გადამუშავება ჩაუტარდა 2000 ერთეულ ფოტოდოკუმენტს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2000 საქმისა და გეგმა შესრულდა 100%.

7. 2015 წელს სამმართველოსა და ტერიტორიულ ორგანოს არქივებში სახელმწიფო შენახვაზე მიღებული იქნა მმართველობითი ხასიათის და პირადი შემადგენლობის დოკუმენტები:

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	საზ. ერთეული	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო	შეს. ერთ.	1971	4113	208

2	ქობულეთის არქივი	„	505	830	164
3	ხელვაჩაურის არქივი	„	330	1949	590
4	ქედის არქივი	„	110	142	129
5	შუახევის არქივი	„	150	200	133
6	ხულოს არქივი	„	180	147	81
	სულ		5354	7381	137

8. სამმართველოში 2015 წლის მონაცემებით, გეგმით გათვალისწინებული 522 ფოტოს ნაცვლად მიღებულია 2629 ფოტოდოკუმენტი, რომლებიც ასახავენ აღმშენებლობით პროცესებს და რეგიონის სხვა ისტორიული მოვლენებს. ტერიტორიულ ორგანოს არქივებში მიღებულია 97 ფოტოსურათი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 72 ფოტოსურათისა.

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	საზ. ერთეული	გეგმა	შესრულება	%
1	სამმართველო	შეს. ერთ.	450	2532	562
2	ქობულეთის არქივი	„	20	36	180
3	ხელვაჩაურის არქივი	„	12	13	108
4	ქედის არქივი	„	10	10	100
5	შუახევის არქივი	„	15	19	126
6	ხულოს არქივი	„	15	19	126
	სულ		522	2629	503

9. **მიზნობრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა:**

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიული ორგანოს არქივები	ფონდი	გეგმა	შესრულება	გამოიყო მაკულატ.	აღწ. სია	%
1	სამმართველო	31	3171	5931	2384	3547	187
2	ქობულეთის არქივი	3	339	413	159	239	121
3	ხელვაჩაურის არქივი	2	1175	1255	646	609	106
4	ქედის არქივი	1	198	198	63	134	100
5	შუახევის არქივი	6	691	1375	903	472	198
6	ხულოს არქივი	2	776	906	245	661	116
	სულ	45	6491	10078	4400	5662	155

10. **2015 წელს მეცნიერულ-ტექნიკურად დამუშავდა:** 50 ორგანიზაცია, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 38 დაწესებულება-ორგანიზაციისა. სულ 38683 საქმეთა ერთეული, მათ შორის მუდმივად შესანახი 3973 საქმე, ხანგრძლივად შესანახი 3550 საქმე, დროებითად შესანახი 1317 საქმე. მაკულატურაში გასანადგურებლად გამოიყო 29843 საქმე.

11. დოკუმენტების გამოყენება – მოქალაქეთა მომსახურება:

№ რ/გ	სამმართველო, ტერიტორიულ-ლიორგანო-სარქივები	განცხადებები			მომართვები			სულ თანხა
		შემოვიდა სულ	დადებითი	უარყოფითი	შემოვიდა სულ	დადებითი	უარყოფითი	%
1	ქობულეთის არქივი	749	636	86	179	136	43	20311
2	ხელვაჩაურის არქივი	1205	1114	91	225	208	17	29717
3	ქედის არქივი	426	418	8	210	164	46	7690
4	შუახევის არქივი	347	328	19	168	151	17	6522
5	ხულოს არქივი	406	406	-	298	247	51	6647
6	სამმართველო	471	281	178	348	136	212	12418
	სულ	3604	3210	382	1428	1072	376	83305

სამმართველოს ცენტრალური არქივის საარქივო დოკუმენტების ციფრულ მატარებლებზე გადატანის მიზნით შეძენილი იქნა კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე ინვენტარ-მოწყობილობა.

2016 წელს სამმართველოსა და ტერიტორიული ორგანოს არქივებში მოეწყო 14 გამოფენა, რადიო და ტელეგადაცემა – 17, ნაცვლად სამი გადაცემისა, მომზადდა და გამოქვეყნდა 27 სტატია ნაცვლად 12 სტატიისა, ჩატარდა 25 ექსკურსია – გაკვეთილი, ნაცვლად 15-სა, ჩატარდა ერთი საერთაშორისო კონფერენცია და გამოიცა კონფერენციის მასალების კრებული, გამოქვეყნდა აჭარის არ საარქივო სამმართველოს 400 გვერდიანი ისტორია, გამოიცა სამეცნიერო ჟურნალი „არხეიონი“-ს ორი ნომერი, ჩატარდა 14 სხვადასხვა ღონისძიება.

სამკითხველო დარბაზი 2015 წელს მოემსახურა 21 მკვლევარს, რომელთა მომსახურების მიზნით მომზადდა, შეირჩა და მათ მიერ გამოყენებული იქნა – 320 საქმე.

11. დოკუმენტების ციფრულ მატარებლებზე გადატანა.

საარქივო სამმართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს საარქივო დოკუმენტების დიგიტალიზაცია. 2015 წელს დასკანერდა 10 ფონდის – 1 148 961 გვერდი – ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1 100 000 გვერდისა. გეგმა შესრულდა 104%-ით. რედაქტირება გაუკეთდა 1 148 421 გვერდს, პროგრამაში აღწერებით აიტვირთა 12 078 საქმეთა ერთეული შესაბამისი ანოტაციებით .

სამმართველოსა და ტერიტორიული ორგანოს არქივების მატერიალურ – ტექნიკური ბაზის განვითარების მიზნით 2015 წელს განხორციელდა 314 576 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვები.

Elguja Chaganava

The report of works done by Archives Administration in 2015

Summary

During 2015, Archives Administration worked in accordiance with measures an agreed plan of National Archivs of Georgia. In article is presented report of work done in 2015.

თინათინ ჯაბადარი
ნინო ბუცინაშვილი

ცოტა რამ ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის შესახებ

ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს გარეკახეთში, სოფელ ნინოწმინდაში, ისტორიული ნინოწმინდა – საგარეჯოს ეპარქიაში. სოფელს აღმოსავლეთით ქალაქი საგარეჯო ესაზღვრება, ხოლო დასავლეთით სოფელი წყაროსთავი, ჩრდილოეთით ცივ-გომბორის ქედის სამხრეთი ფერდობები, ხოლო სამხრეთით ივრის ზეგანი, უმშვენიერესი ვენახები.

ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიაში ვკითხულობთ: „საგარეჯოს დასავლეთით ერთვის იორს ნინო-წმინდის ხევი, ამ ხევზედ არის ნინოწმინდა, ეკლესია დიდნაშენი, გუმბათიანი, რომელი აღაშენა გორგასალ და დასვა ეპისკოპოსი და ზის აწამდე, მწყესი ამ ქვეყნისა ქიზიყამდე“ **(ჟურნალი „მოგზაური, თბ.1901. გვ.529)**.

დღეისათვის სამონასტრო კომპლექსის შემადგენლობაში შედის ნინოწმინდის ტაძარი, რომელიც VI საუკუნეშია აშენებული: სამრეკლო, რომელიც XVI საუკუნით თარიღდება; XVII საუკუნის დასასრულს აშენებული საბა ტუსიშვილისეული სასახლე, წმინდა ნინოს სახელობის ახალი XIX საუკუნის ტაძარი. სამონასტრო კომპლექსი მთლიანად გარშემორტყუმულია ქვითკირის გალავნით.

ნინოწმინდის ტაძრისა და მის სამონასტრო კომპლექსში დაცული ნაგებობის ისტორია შეისწავლეს ქართველმა მეცნიერებმა: გ. ჩუბინიშვილმა, ვ. ბერიძემ. შ. ამირანაშვილმა. ლ. რჩეულიშვილმა. მ. შაორშაძემ. ასევე საინტერესო მასალაა დაცული თედო ჟორდანიას მიერ შეკრებილ ისტორიულ საბუთებსა და გამოქვეყნებულ საარქივო დოკუმენტებში.

ნინოწმინდის კათედრალი დათარიღებულია არა უგვიანეს VI საუკუნის მეორე ნახევრით. სახელწოდებიდან გამომდინარე, ის მიძღვნილია ქართველთა განმანათლებელის ნინოსადმი, რომლის თაყვანისცემა ფართოდ იყო გავრცელებული მთელს კახეთში. ცნობილია, რომ ის რამდენჯერმე იყო კახეთში და ერთ-ერთი მოგზაურობის დროს სოფელ ბოდბეში გარდაიცვალა, სადაც განისვენებს.

XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსი დ. ბაქრაძე თავის ნაშრომში „მირიან მეფე და წმინდა ნინო“ ვრცლად მოგვითხრობს წმინდა ნინოს მოღვაწეობის შესახებ.

ცნობილია, რომ ჩვენში ქრისტიანობა მირიანის მეფობის დროს შემოვიდა, საქართველოს განმანათლებლად „ქართლის ცხოვრება” მოიხსენიებს წმინდა ნინოს. იგი წარმოშობით კაბადოკიიდან იყო. ნინოს მამად მოიხსენიება „კაცი ვინმე მთავარი ზაბულონ, დედად სარა – დისწული იერუსალიმის პატრიარქის იობელანისა. ნინოს ნათესავად ხდიდნენ თვით გიორგი მთავარ მოწამეს, რომელიც ამ მიზეზის გამო საქართველოს ღერბად არის მიღებული **(დ. ბაქრაძე, – „მირიან მეფე და წმინდა ნინო“, თბ. 1879, გვ.25)**.

„აღზარდა იგი დედამ გლახაკთა მსახურებაში. როდესაც ნინო შეიქმნა თორმეტი წლის მისმა მშობლებმა გაჰყიდეს თავიანთი მონაგები და იერუსალიმს გაემგზავრნენ. ნინო მსახურებდა დვინელ სომეხს ნიაფორს, რომელიც ნინოს ორი წლის განმავლობაში ამტკიცებდა ქრისტეს რჯულში. ნინოს დაბადე-

ბისას კაბადოკიაში ქრისტიანობა უკვე დამყარებული იყო და ნინო ყმაწვილობიდანვე დაადგა ქრისტეს რჯულის გავრცელებას **(დ. ბაქრაძე, დასხ. ნაშ გვ.26)**.

იერუსალიმიდან ნინო რომში ჩავიდა. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ნინოს სწორედ აქ მოესმა: „აღზდეგ და ვიდოდე ჩრდილოდ კერძო, სადა იგი ფრიად არს სამკალი, მუსაკ ყოვლად არა" **(დ. ბაქრაძე, დასხ. ნაშ. გვ.26)**. ნინო შეუდგა გზას სომხეთიდან ჯავახეთის გავლით. მიაწყდა „დიდ ტბასა ფარავნად წოდებულსა და მდინარე მტკვრის ხეობის გავლით ქართლში ჩამოვიდა, დედა – ქალაქად სამეფოთ მცხეთად მოვაჭრებად და ზორვად წინაშე არმაზ ღვთისა" **(დ. ბაქრაძე, დას.ნაშ. გვ. 27)**. მცხეთაში ნინომ მოგვთა მახლობლად დაისადგურა, მალე იგი მეფის სამოთხის მცველის ცოლმა ანასტოსიომ შეიფარა. ცხრა თვე ცხოვრობდა ნინო მათთან და შემდეგ საცხოვრებლად მაყვლის ბუჩქის ტალავერში გადავიდა, სადაც აღმართა მისგანვე დამზადებული ჯვარი. დღე და ღამე დაუცხრომლად ლოცულობდა. მისი ლოცვით უამრავი ადამიანი განიკურნა და მათ შორის დედოფალი ნანაც, რომელიც მალევე მოექცა ქრისტეს რჯულზე.

მეფე მირიანი განცვიფრებული იყო ნინოს სასწაულებით, მაგრამ აყოვნებდა ქრისტეს რჯულზე მოქცევას. სასწაულმა დააჩქრა მეფე მირიანის გაქრისტიანება. ერთხელ ნადირობისას, ირგვლივ საოცარმა სიბნელემ დაისადგურა, მეფემ მოუხმო წარმართ ღმერთებს, მაგრამ თხოვნამ შედეგი არ გამოიღო. მაშინ მირიანმა ნინოს ღმერთი მოიხმო: ღმერთო ნინოსაო, განმინათლე ღამე ესე და მიჩვენე საყოფელი ჩემი და აღვიარო სახელი შენი, აღვაშენო სახლი ჩემდა სალოცავად ვიყო მორჩილი ნინოსა და რჯულსა მისსა. წარმოთქვა თუ არა განათდა და მზე ამობრწყინდა, მეფემ დაუყოვნებლად მოინახულა ნინო და აღიარა უფლის მორჩილება. მომხდარის შემდეგ სწრაფად გაქრისტიანდა ქართლის მოსახლეობა. ნინოს თხოვნით შეიმუსრა ჭექა-ქუხილის ღმერთი არმაზი, ქალაქის აღმოსავლეთით მეფემ საკულტო ტაძრის მშენებლობა დაიწყო, მცხეთის პირდაპირ მთაზე და უჯარმაში ჯვარი აღიმართა **(დ. ბაქრაძე, დასხ.ნაშ. გვ.32)**.

ქრისტიანობის გავრცელების მიზნით ნინომ მოიარა საქართველოს სხვადასხვა მხარე, ესტუმრა კახეთსაც, დღევანდელ ნინოწმინდას. გარეკახეთში მისიით ყოფნისას წმინდა ნინომ შეისვენა დღევანდელი სოფელ ნინოწმინდის იმ ადგილას, სადაც ამჟამად ტაძარია აშენებული. სოფ „ნინოწმინდაში ნინო კაწარეთიდან შემობრძანდა და იქადაგა ქრისტინობა, შემდეგ კახეთში გაემგზავრა საქადაგებლად, სადაც აღესრულა" **(დ. ბაქრაძე, დასხ.ნაშ. გვ.33)**.

ნინოწმინდის ტაძარი VI საუკუნით თარიღდება. საუკუნეების მანძილზე მრავალჯერ შეკეთდა. მისი პირველი გადაკეთება XI – XII საუკუნეებში მოხდა, როცა თავდაპირველი შეკრული კამარა შეცვალეს მრგვალი გუმბათის ნაწილით, ბურჯებს სპეციალური კონტრ – ფორსები გაუკეთდა. როგორც პლატონ იოსელიანი ამბობდა, ტაძარი პირველად საკერპო ნაგებობა ყოფილა, ეკლესიად კი თვით წმინდა ნინოს დროს იქნა ნაკურთხი **(ჟურ.„მოგზაური“, გვ. 531**). მეორედ ტაძარი XVI საუკუნეში გადაკეთდა. 1750 წელს ეპისკოპოსმა მიქაელმა დაადგა მას ახალი გუმბათი, რომელმაც თუმცა დაამშვენა ტაძარი, მაგრამ დიდადვე დაამძიმა. 1771 წელს თბილისიდან სიღნაღს მიმავალმა მეფე ერეკლემ ნინოწმინდაში შეისვენა, ეპისკოპოსმა მეფესთან ახალი დადგმული მშვენიერი გუმბათით თავი მოიწონა, მაგრამ მეფემ უბრძანა: „ტაძარი მართალია გაგიმშვენებია, მაგრამ მოგიკლამს-კიო“. 1824 და 1848 წლების მიწისძვრების დროს ათასწლოვანმა კედლებმა ვეღარ შეიმაგრეს დიდი ტვირთი და თაღი და გუმბათი საშინელის გრიალით ძირს წამოვიდა“ **(ჟურ.„მოგზაური“, გვ. 531**).

ამჟამად შემორჩენილია ტაძრის მხოლოდ აღმოსავლეთი მხარე, ნაწილობრივ დასავლეთის კედელი, რადგან ტაძარის ნახევარი აღარ არსებობს. მისი მთლიანობის აღქმისა და აღწერისას ვეყრდნობით ტაძრის საძირკველის ნარჩენებსა და ჩვენი დიდი მეცნიერების მიერ შედგენილ აღწერილობას.

ტაძრის აღწერილობა საუკუნის დასაწყისისათვის მოცემულია ჟურნალ „მოგზაურში“. ტაძარი საკმაოდ დიდი ყოფილა: სიგრძე ჰქონია 12 და სიგანე 9 საჟენი, ...ეკლესია გარედამ წარმოადგენს გოდოლს, აშენებულს დიდრონის ლოდებით, სწორედ ამ გარემოებას უნდა მიეწეროს ის ამბავი, რომ საკურთხევლის კედლები და თაღი ამ 1500 წლის განმავლობაშიაც დღევანდლამდე შენახულა“ **(ჟურ.„მოგზაური“, გვ. 531**)



სურ. 59. ნინოწმინდა. კათედრალის გეგმა. შესრულებულია ნ. სევეროვის მიერ.

ნინოწმინდის ტაძარი წარმოადგენდა ცენტრალურ გუმბათოვან ნაგებობას. გეგმაში იგი ტეტრაქონის სახითაა წარმოდგენილი, ამიტომ ის სრულიად სიმეტრიულია და გამოსახავს ვარსკვლავისებურ ფორმას. როგორც გიორგი ჩუბინიშვილი აღნიშნავს, ხუროთმოძღვრის მიზანი იყო გაეფართოვებინა სივრცე და განზე გაეწია აფსიდები. მათი ზომა დაცულია, მაგრამ შესამჩნევია უფრო ვრცელი გუმბაქვეშა სივრცე, რადგან ყოველ აფსიდურ შვერილს შორის ცენტრალურ ტეტრაქონის კვადრატების დიაგონალებზე მოქცეულია აფსიდების ტოლი სამყოფელები. კუთხის სამყოფელები სინათლეს აფსიდების ფანჯრებისა და შვიდი შესასვლის კარიდან იღებდა. ტაძარი ნათდებოდა ცენტრალური ნაწილის სარკმლებით, დამატებით განათებას იღებდა აფსიდების სარკმლებით.

გარედან ტაძარი სიმაღლითა და მოცულობით კოლოსალური ნახევარწრეების უფორმო გროვაა, მაგრამ ხუროთმოძღვარმა შეძლო კოლოსალური ზომის გრანდიოზული შენობით გაეკვირვებინა მნახველი. **(გ. ჩუბინაშვილი, „ქართული ხელოვნების ისტორია“, ტფ., 1936, გვ. 73.)**

ტაძარში არსებული კუთხის სამყოფელებს დამოუკიდებელი შესასვლელი ჰქონდათ, შესაძლებელია, რომ ეს იყო სანათლავი და გათვალისწიონებული იყო კატაკმეველთათვის. მოგვიანებით ამ ოთახებს გარედან შესასვლელები აუშენეს და ეს ოთახები გამოიყენეს მთავარი საკურთხევლის სამსხვერპლოდ და ეკდერად. **(გ. ჩუბინაშვილი, დასხ.ნაშ. 104)**.

ტაძრის სახურავს შეკრული თაღის ფორმა ჰქონდა და არა ნამდვილი გუმბათისა. შემორჩენილია და სხვა ნაწილებისგან განსხვავებით ნაკლებად დაზიანებულია ტაძრის საკურთხევლის შიდა კედელი, რომელიც ნახევრად არის გადახურული. ნაწილობრივ იკითხება ღვთისმშობლის, ყრმა იესოს და მთავარანგელოზების – მიქაელისა და გაბრიელის გამოსახულებები. ფრესკა დაზიანებულია, ამიტომ შეუძლებელია მისი პირვანდელ ფერებში აღქმა. ამჟამად ფრესკაში ჭარბობს მუქი ნაცრისფერი, მუქი ლურჯი, ცისფერი და მუქი ჩალისფერი ფერები.

ფრესკის ფონში ჭარბობს მუქი ლურჯი და მუქი ნაცრისფერი, ღვთისმშობლისა და ყრმა იესოს შესამოსელში – მუქი შინდისფერი და იასამნისფერი.

ასეთი მუქი ფერები ჭარბობს მთავარანგელოზების შესამოსელშიც. წმინდანების ნიმბები კი მუქი ჩალისფერითაა შესრულებული. საკურთხეველი ძირითადი ნაწილისაგან გამოყოფილია ერთი თაღით, რომელზედაც შერჩენილია თორმეტი მოციქულის გამოსახულება. კედლის მხატვრობის ასეთ ფერებში შესრულება დამახასიათებელი იყო უფრო გვიანი პერიოდისათვის. შესაძლებელია ტაძრის ეს ნაწილი უფრო გვიან მოიხატა, კერძოდ დაზიანებული ტაძრის შეკეთების დროს.

ტაძრის ხუროთმძღვარმა მთელი ყურადღება მიაქცია შენობის შიგნიდან გაფორმებას, გარედან გაიმეორა გარეგანი კედლების ნახევარწრიანი მოხაზულობა, რაც შეეფერება აფსიდური მკლავების ნახევარწრეებს.

როგორც ზევით ავღნიშნეთ, შემორჩენილია ტაძრის გუმბათის აღმოსავლეთი მხარე და დასავლეთის კედლის ნაწილი. მასზე დაყრდნობით ადვილი ამოსაცნობია ტაძრის მშენებლობისთვის გამოყენებული მასალა: ტაძარი მოჩალისფრო და მომწვანო, არც მაინცდამაინც სუფთად დათლილი დიდი კვადრატული ქვითაა ნაშენი.

საბოლოო ჯამში ნინოწმინდის ტაძარი ეს იყო მასივი, შემდგარი რვა შეერთებული ნახევარწრისაგან, რომლებიც რიგრიგობით მისდევდა ერთმანეთს. მხოლოდ აღმოსავლეთის ნახევარწრეს ჰქონდა ხუთწახნაგა ფორმა, მასში გამოკვეთილი სამი ფანჯრის არსებობის გამო. ტაძარს ცენტრში ამშვენებდა ამაღლებული გუმბათი.

ნინოწმინდის ტაძარზე რამდენიმე ადრეული წარწერაა შენახული. აღმოსავლეთის აფსიდის გარე კედელზე მოთავსებულია ხუთი წარწერა, რომელთაგან ოთხი შესრულებულია ასომთავრულით.

საკურთხევლის აფსიდის ჩრდილოეთის მხარეზე ორი წარწერაა:

ქ (რისტ) ე შ (ეიწყალ) ე
კ (ა) ც (ია)
ქ (რისტ)ე შ (ეიწყალ) ე
თ (ევდორ) ე

აფსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს არის შემდეგი წარწერა:

ქ (რისტ) ე შ (ეიწყალ) ე
სტეფე არქ ი

ქართველი ხელოვნებათმცოდნე თეიმურაზ ბარნაველის აზრით „არქ-ი“ გარკვეულ სამოხელეო თანამდებობის პირის აღმნიშვნელი იყო **(თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1961, გვ. 118**).

აღნიშნულ წარწერაზე სხვა მოსაზრებას აქვს ბიძინა კერატიშვილს, მისი აზრით ამ წარწერაში მოხსენებული სტეფანე ნინოწმინდელი ეპისკოპოსი სტეფანეა, რომელიც ეპისკოპოსის ტიტულის გარდა ატარებდა არქიმანდრატობის სახელსაც. აქ შესაძლოა იკითხებოდეს არქიმანდრატი სტეფანე და არა არქიეპისკოპოსი **(ბიძინა კერატიშვილი, „ნინოწმინდის ქართული წარწერა“ საბჭოთა ხელოვნება“, თბ, 1969, გვ.53.)**

საკურთხევლის აფსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს მოთავსებულ წარწერაში მოხსენებულია ბაკურდუხტი.

ქ (რისტ) ე მ(ოი) ხს (ე),
ს(უ)ლი ბ(ა)კ(უ) რდ(უ)ხტისი.

ქართლი წარწერის გვერდით ამოტვიფრულია **„ქრისტე ოხბ-ს-გ ოლმ-ღ-ლ პაკორდუხტოკ“**, მკვლევართა აზრით, წარწერაში გამოკვეთილია ბერძნული ასოები, სავარაუდოდ ეს ბერძნულ ენაზე შესრულებული წარწერაა და იგივე შინაარსია, რაც მის გვერდით მოთავსებული ქართული წარწერა: „ქრისტე მოიხსენიე სული ბაკურდუხტისი“ **(თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ, 1951, გვ. 319, 320)**. ვინ იყო ბაკურდუხტი, მისი ვინაობის გარკვევა ძნელია, რადგან არც წყაროებში და არც წარწერებში მისი ტიტული მოხსენიებული არ არის. აკად. ა. შანიძეს ამ წარწერებზე თავისი მოსაზრება ჰქონდა: მისი აზრით, სტეფანეს და ბაკურდუხტის წარწერები პალეოგრაფიული ნიშნებით დაახლოებით X-XI სს. უნდა განეკუთვნებოდეს **(თ. ბარნაველი, დას. ნაშ. გვ.120)**.

ტაძრის დასავლეთის შესასვლელ კარში აშენებულ კარიბჭეში ჩატანებულია 1671 წელს შესრულებული კიდევ ერთი წარწერა: „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისა ჰელ ვყავ განახლებად ენდრონიკაშვილმა ნინოწმინდელმა ნიკოლოზ და განვაახლე გარეთ აქაურთა და დავახატვინე კანკელი და შევამკევ ს დ და აღვაშენე:

კარისბჭე : შემწეო ჩემო და შ დ ღ ისა და მშობლისა მისისა შესავედრებელი წმინდაო ნინო შეიწირე მცირე ესე ნაშრომი და ნაცულად მაგე დღესა მას დიდსა განკთხვისასა ამნქ კას. ტნთ“ **((თ. ბარნაველი, დას. ნაშ. გვ.121)**.

სამონასტრო კომპლექსის გალავანის შიგნით აშენებულია ტაძრის სამრეკლო, მხატვრული თვალსაზრისით, იგი გვიანი ქართული არქიტექტურის უძვირფასეს ძეგლს წარმოადგენს. გიორგი ჩუბინაშვილისს აზრით ნაგებობა XVI საუკუნის შუა წლებშია აგებული. სამრეკლო მდებარეობს გალავნის აღმოსავლეთ ნაწილში და აგებულია გასულ საუკუნეებში დამზადებულ ოთხკუთხა აგურისაგან.



ურ. 138. ნინოწმინდის სამრეკლო. XVI ს. სართულთა გეგმები, განაკვეთი და ფასადი. ანაზომი ნ. სევეროვისა.

სამრეკლო ოთხსართულიანი ნაგებობაა, ფასადის მხატრული ფორმებით გარედან გამოკვეთილია სართულების რაოდენობა. პირველ სართულს მასიური კედლები აქვს და იგი მთელი შენობის საფუძველს წარმოადგენს. გეგმაში იგი კვადრატულია, გადახურული კუთხის პადანტებზე აგებული გუმბათური თაღით, სამხრეთით კედლის სისქეში დატანებულია კიბე, რომელსაც მეორე სართულამდე მივყევართ. გარედან პირველი სართული მეორისაგან კედელში ჩატანებული განტეხვით შესრულებული რომბებისებური ორნამენტებითა და ჯვრებითაა გამოყოფილი. სამრეკლოს დასავლეთის კედელში მოთავსებულია ძირითადი შესასვლელი, რომელიც ორმაგი კილისებური თაღის ქვეშაა. პორტალი გაფორმებულია ირიბულად დაწყობილი აგურით. კარების ორივე მხარეს, სიმეტრიულად კედელში გამოყვანილია ორი ღრმა თაღჩა – ნიში, რომლის თაღიც ასევე კილისებურია.

მეორე სართული რვაკუთხა სადგომია, რომელიც ასევე გადახურულია შეკრული თაღით, გარედან მეორე სართულის დასავლეთ კედელში ჩატანებულია განტეხვით, აგურით შესრულებული ორი რელიეფური ჯვარი, რომლებიც ასევე კიდეში გამოყვანილ სამკუთხედებზე დგას.

მესამე სართული ასევე კვადრატულ ფორმისაა და გადახურულია პალანტებზე ამოყვანილი თაღით, ხოლო გარედან დასავლეთის ფასადებზე ასევე აგურით განტეხვით კედელში ჩატანებული დიდი ზომის რელიეფური ჯვარი. მესამე სართული მეოთხე სართულისაგან გამოყოფილია აგურით შესრულებული ოთხლენტიანი კარნიზი. მეოთხე სართული სრულიად განსხვავებულია ქვედა სართულებისაგან, რადგან მასზე თვითონ სამრეკლოა მოთავსებული. სამრეკლო კარვისებური გადახურვისაა და დაყრდნობილია რვა თაღზე, რის შედეგადაც წარმოქმნილია რვაბოძიანი ფანჩატური. თაღების თავზე კედელში განტეხვით აგურით გამოკვეთილია რვა ჯვარი. ხოლო კედლის დაბოლოებასა და გუმბათის გადახურვას შორის მოთავსებულია ასევე აგურით შესრულებული ოთხლენტიანი კარნიზი. დასავლეთის კედელი იმდენად სქელია, რომ მასში მოთავსებულია ოთხივე სართულის დამაკავშირებელი კიბე. ნინოწმინდის ტაძრის სამრეკლო სიდიდით პირველია საქართველოში და XVI საუკუნის ქართული არქიტექტურის იშვიათი ნიმუშს წარმოადგენს.

ნინოწმინდის საეპისკოლოსო ტაძრის გალანის შიგნით დგას სასახლე, რომლიც ნინოწმინდელი ეპისკოპოსის საბა ტუსიშვილის მიერ 1774 -1777 წლებ-

შია აშენებული **(ს. ბარნაველი, საბა ტუსიშვილის „ ანდერძისებრი ღუწანი“, ქართული ხელოვნება, 1950 წ. გვ. 254.)**

გასული საუკუნის 50-იან წლებში აღნიშნული სასახლე ხელოვნებათმცოდნეების მიერ შესწავლილი და აღწერილი იყო. სასახლის აღწერისას ძირითადად მათ გამოკვლევას ვეყრდნობით.

სასახლის მშენებლობის ავტორი და ორგანიზატორი თვითონ საბა ტუსიშვილი ყოფილა: „ ვიღვაწე კვალად და აღვაშენე სასახლე ეკლესიისა ამის გავლენისა შინა ზღუდის კერძოდ, სამრეკლოსა და ბურჯს შუა მარნის გვერდით“ **(ს. ბარნაველი, დას. ნაშრომი, გვ.234.)**

სასახლე ორსართულიანია, ქვითკირის შენობაა და ექვსი ოთახისგან შედგება. ქვედა სართულზე სამი ოთახიაა: „ ორი საწოლი და ერთი დიდი, ხოლო ზედა სართულზე „სახლი სამი: თავსა და ბოლოს საწოლი და საშუალო აივანი. ტუსიშვილის სასახლე ბოლომდე დამთავრებულია, მოურთვია „ყოვლითა თვისითა „განწყობილებითა“ და დაუფენია სახლნი ესე აგურითა და კირითა“ **(ლ.რჩეულიშვილი, „საბა ტუსიშვილისეული სასახლე ნინოწმინდაში“, ქართული ხელოვნება, ტ.3, 1950 წ. გვ.239.).**

პირველი სართულიდან გადარჩენილ ორივე ოთახს აქვს როგორც დამოუკიდებელი შესასვლელი ეზოდან, ასევე ერთმანეთში გასასვლელი. ყველა ოთახში ბუხარია განთავსებული, დიდ ოთახში ბუხართან თახჩებიცაა დაყოლებული. მეორე სართულის დიდ ოთახში ბუხრის ორივე მხარეს ასევე თახჩებია დატანებული. მთლიანობაში შენობა ერთ მთლიან ბლოკშია წარმოდგენილი. მეორე სართული თავისი აჟურული აივნით მნიშვნელოვან შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. სასახლე თავისუფალია იმ დროს გავრცელებული ირანული არქიტექტურის გავლენისაგან, მასში ქართული დეტალებია გამოყენებული, რაც დასტურია იმისა, რომ დამკვეთს საკმაოდ გამოცდილი ხელოსნები და ქვის ოსტატები ჰყოლია მოწვეული.

სამონასტრო კომპლექსი მთლიანად შემოსაზღვრულია ქვითკირის გალავნით. კედელს საკმაოდ განიერი და ოთხივე კუთხეში ჩატანებული მაღალი კოშკები აქვს. თითოეულ კოშკს თავისი შესასვლელი აქვს. სავარაუდოა, რომ ეს

კოშკები სათვალთვალოდ გამოიყენებოდა. გალავანს დასავლეთიდან აქვს ცენტრალური შემოსასვლელი, რომელიც უფრო ფართო და დიდი ოთხკუთხა კოშკის შთაბეჭდილებას ტოვებს. თითოეულ კოშკს ჩატანებული აქვს სამ-სამი სარკმელი.

სამონასტრო კომპლექსში განთავსებული ნინოწმინდის საეპისკოპოსო V საუკუნიდან იღებს სათავეს და ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება. ამის შესახებ ცნობა მოიპოვება XI საუკუნის ისტორიკოსის ჯუანშერის თხზულებაში: „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, სადაც ნათვამია, რომ ნინოწმინდას უჯარმას კარსა დასუა, ერთი ეპისკოპოსად ..... ერთი ნინოწმიდას, უჯარმას კარსა, რომელი გორგასალმა აღაშენა.....“ **(მ. შაორშაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ნინოწმინდის საეპისკოპოსო, თბ. 2008, გვ. 20)**. უჯარმის კარად მოიხსენიებოდა მთელი საეპისკოპოსო, თითქმის მთელი გარე კახეთის ტერიტორია.

საეპისკოპოსოს შესახებ უძველესი წყაროები არ არის შემორჩენილი, მოგვიანებით, XIII საუკუნის „განგება დარბაზობის მიხედვით“ საქართველოში სულ 35 საეპისკოპოსო მოიხსენიება, სადაც ნინოწმინდელ ეპისკოპოსს მეცხრე ადგილი უკავია: შემოვიდეს ნინოწმინდელი ეპისკოპოსი და დაჯდეს ქისიყელსა ქუემოთ“ **(მ. შაორშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.24**).

„ნინოწმინდა მთელი ათას ორასი წლის განმავლობაში იყო ადგილ-საბრძანებელი ეპისკოპოზისა, რომელიც ჩვენს იერარქიაში იწოდებოდა ნინოწმინდელად. მას ეკავა ადგილი კუმურდოსა ეპისკოპოზის შემდეგ (მეფის მარცხნივ სხდებოდნენ ასეთი რიგით: ჭყონდიდელი, ქიზიყისა, კუმურდოსი, ნინოწმინდელისა და სხვა..)“ **(ჟურ.„მოგზაური“, გვ. 530**).

თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ საეპისკოპოსომ დროებით არსებობა შეწყვიტა. XV საუკუნის ბოლოს ლეონ კახთა მეფემ (1520-1574 წწ.) მეორედ განაახლა ტაძარი.

ნინოწმინდის საეპისკოპოსოში ყველაზე დიდი დავით – გარეჯის კომპლექსი იყო. გარეჯის სამი მონასტერი ყოველთვის მის სამწყსოში შედიოდა. ნინოწმინდის საეპისკოპოსოს ყოველთვის ღირსეული ადამინები ხელმძღვანე-

ლობდნენ. XI საუკუნის ათიან წლებში აქ მოღვაწეობდა ცნობილი მწიგნობარი მთარგმნელი და კალიგრაფი – არსენ ნინოწმინდელი. უფრო გვიან XVII-XVIII საუკუნეებში იოსებ ნინოწმინდელი (არაგვის ერისთავის ძე), ნიკოლოზ ნინოწმინდელი (ენდრონიკაშვილი), ზაქარია ნინოწმინდელი, ანტონ ბაგრატიონი, საბა ტუსიშვილი **(მ. შაორშაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.30)**.

საეპისკოპოსოში გამუდმებით მიმდინარეობდა სამეცნიერო და გადაწერითი სამუშაოები. მუდმივად იქმნებოდა წმინდა მამებისა და სამღვდელო პირთათვის სამოძღვრო ლიტერატურა. ეპისკოპოსი საბა ტუსიშვილის დროს 1772 წელს, მისი ლოცვა-კურთხევით შეიქმნა „კურთხევა ეკლესიისა და წესი სამღვდელო მთავრობისა“. აქვე მისი ლოცვა-კურთხევით შეიქმნა და 1901 წელს გამოიცა „დაუჯდომელი ჯვარისა, წმინდა ნინოისა და დაუჯდომელისა და მისი ლოცვისა“.

ნინოწმინდის ტაძარში შეიქმნა (სავარაუდოდ XVII, XVIII საუკუნეებში) და აქვე ინახებოდა წმინდა ნინოს საოცრად ლამაზი ხატი, რომელიც 1825 წელს, მიწისძვრის შემდეგ, თბილისის სიონის ტაძარში გადააბრძანეს. ხატის ქვედა ნაწილში, ბუდეში ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი იყო მოთავსებული. ხატს ორი კარედი ჰქონდა, რომელზედაც გამოსახული იყო: „იოანე ნათლისმცემელი, ჯვარცმა და ყოველნი წმინდანნი“. ხატი წმინდა თვლებით ყოფილა მოჭედილი: 37 მწვანე ზურმუხტით, 29 წითელი ლალით და 28 მარგალიტით. ხატს, მეფე არჩილისაგან (1664 -1675) შესრულებული ორი წარწერა ჰქონდა: „ ქ. წმინდაო მოციქულო ნინო, მეოხ მეყავ ორსავე ცხოვრებასა მეფესა არჩილს, რომელმან შევამკე ხატი ესე და შემოგწირე სულისა ჩემისა საოხად და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად“ **(თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 122)**.

ხატის შიგნით ოქროს ფირფიტის წარწერა შემდეგი შინაარსისაა:

„ქ. ძელო ცხოველისა, ცხოვრებისაგან ნუ ჰებულ მყოფ ვითარცა პირველსა მამასა ადამს, არამედ მცველ და მფარველ მეყავ ორსავე ცხოვრებასა; ეგრეთვე თქვენ სიმრავლეო მოწამეთაო მიოხეთ წინაშე მეფეს არჩილს. ქრონიკონიკოს ტნიე“.

წმინდა ნინოს ხატის ზურგზე 1759 წელს შესრულებულია წარწერა: „ქ. შეწევნისა წ ~ სა სამებასათა მე ყოვლად უღირსმან ნინოწმინდელმან მიტროპოლიტმან ტუსის – ძემან ფრიადითა გულისმოდგინებითა გამოვახატვინე სატრფიალო სასო ესე ჩვენი ხატი წმინდისა ნინო მოციქულისა ყოველ საქართველოსა მნათისა და კიდურნი ვერცხლითა პირველივე ჭედილნი კვალად განვაახლენ და ზენა კიდურთა ეპიფანია, მოოქროვილ ვყავ ფრიად მშვენიერად, მეფობისა ქართველთა ზედა თეიმურაზ ღვთივ ცხებულისა და სასურველისა ძისა მისისა ირაკლი კახთ მეფისასა, ხოლო აღმომკითხველთა გექეჰნები ყოველთა შენდობისა ყოფისათვის. განსრულდა თვესა ნოემბერსა ქრისტეს აქეთ წელსა ჩლინთ ქორონიკოსა“ **(თ. ბარნაველი, დასხ. ნაშრომი, გვ. 122.)**.

ტაძარში ყოფილა დაცული ასევე წმინდა ნინოს ორი, ფიცარზე შესრულებული და ძვირფასი ქვებით მორთული ხატი. ეს ხატები გასული საუკუნის დასწყისში ტაძრიდან გაიტანეს და მათი ადგილსამყოფელი უცნობი დარჩა. დიდი ქართველი პოეტი გიორგი ლეონიძე ამ ხატების ბედით შეწუხებული მიმართავდა საქართველოს სსრ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს: „გარე – კახეთში სხვა ეკლესიებთან ერთად დაკეტეს უძველესი ნინოწ-

მინდის (V საუკუნე) საკათედრო ტაძარი, საიდანაც სხვა ნივთებთან ერთად საგარეჯოს რევკომმა (ურმით წაიღეს) გაიტანეს ორი უძველესი ხატი.



ასსცსა, ფ. 300, აღ. N 3, საქ. 44, ფ. 2

1. წმინდა ნინოს სასწაულებისა, შეწირული არჩილ მეფისაგან (არჩილ I) .

2. წმინდა ნინოს ხატი ვერცხლის ჩუქურთმებით მოვლებული მიტროპოლიტის საბა ტუსიშვილის მიერ.

ორივე ხატი წარმოადგენდა დიდ ისტორიულ საუნჯეს და მე ვშიშობ, რომ უცოდინრობის გამო შეიძლება საგარეჯოს რევკომმა მოხსნას ხატებს სამკაულები და ჩუქურთმები, რომელიც ქართული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს“ **(სუიცა, ფ. 300, აღ.3, საქ. 44.)**.

საუკუნეების შემდეგ არსებობს ნინოწმინდის ტაძარი, ნინოწმინდა – საგარეჯოს ეპარქია, რომელსაც საქართველოში არსებულ 35 ეპარქიას შორის დღესაც თვალსაჩინო ადგილი უკავია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. სუიცა – ფონდი 300, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი ან.3, საქ. N 44;
2. თ. ჟორდანია – ქართლ- კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი,1903;
3. დ. ბაქრაძე – მირიან მეფე და წმინდა ნინო, თბილისი, ექ. 1879;
4. გ. ჩუბინაშვილი – ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1936;

5. ჩუბინაშვილისა და სევეროვის მოხსენება – ქართული არქიტექტურის გზები, თბილისი, 1936;
6. თ. ყაუხჩიშვილი – ბერძნული წარწერები საქართველოში, თბილისი, 1951;
7. თ.ბარნაველი -კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები,თბილისი, 1962;
8. ვ. ბერიძე – ქართული ხუროთმოძღვრება უძველესი დროიდან X საუკუნის დასაწყისამდე, თბილისი, 1967;
9. მ. შაორშაძე – საქართველოს ეკლესიის ისტორია, ნინოწმინდის საეპისკოპოსო, თბილისი, 2008;
10. ჟურნალი – „მოგზაური“ – N 6,7, თამარ ფალავანდიშვილი, სოფელი ნინოწმინდა და მისი ნაშთი, თბილისი, 1901;
11. ჟურნალი – „ქართული ხელოვნება“, N 3, ლ.რჩეულიშვილი, „საბა ტუსიშვილისეული სასახლე ნინოწმინდაში“, 1950;
12. ჟურნალი – „საბჭოთა ხელოვნება“, N 7, ბ. კერატიშვილი, ნინოწმინდის ქართული წარწერა, 1969.

Tinatin Jabadari
Nino bucinahsvili

Something about the Ninotsminda Monastery
Summary

The article tells about the history of Ninotsminda's Monastery based on published archival sources, such as unknown unknown materials.

თამაზ ფუტკარაძე

პაციფიზმი საქართველოში

ომისა და მშვიდობის პრობლემა ყოველთვის იყო საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი. პრობლემის აქტუალობამ ახალი შინაარსი შეიძინა გლობალიზაციის ეპოქაში, როცა კიდევ უფრო გამძაფრდა კამათი ძველი და ახალი ომებისა და ორგანიზებული ძალადობის ფორმების შესახებ. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში თანამედროვე სოციოლოგიის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და აქტუალური მიმართულების შესახებ არაფერი შექმნილა. არა და აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, რადგან ჩვენი რეგიონი (კავკასია) ომებისა და ეთნოკონფლიქტების მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე ცხელი რეგიონია თანამედროვე მსოფლიოში.

მშვიდობიანი თანაცხოვრების გარემოს შექმნისადმი მისწრაფება უძველესი დროიდანვე იყო ქართული პოლიტიკური ელიტისა თუ სრულიად საქართველოს მოსახლეობის უმთავრესი საზრუნავი. ეს არცაა გასაკვირი. საქართველოს ბუნებრივმა პირობებმა და გეოგრაფიულმა მდებარეობამ თავიდანვე განსაზღვრა საქართველოს ისტორიის ტრაგიკულობა. ქართველ კაცს ენატრებოდა მშვიდობა, მაგრამ ამავე დროს იძულებული იყო ყოველდღიურად ეზრუნა თავდაცვისა და უსაფრთხოებისათვის. ამ გზაზე საქართველომ მიაღწია გარკვეულ წარმატებას ისტორიის ძალზე მცირე პერიოდის განმავლობაში (XII-XIII სს. პირველი ნახევარი), მაგრამ არაეთრთხელ განიცადა მარცხი, რასაც ხშირად თან ახლდა მონობა და ტერიტორიული მთლიანობის რღვევა. ყოველივე ამის გამო ქართულ საზოგადოებას გაუჩნდა ომის შიში და „დამარცხებულის სინდრომის“ განცდა. ფაქტობრივად საქართველოსათვის არცერთი საუკუნე არ იყო მშვიდობიანი. სწორედ ამიტომ იქცა მშვიდობა ქართველი კაცისათვის ყვე-

ლაზე დიდ ფასეულობად. მიუხედავად ამისა, საქართველოში პაციფისტური იდეები მოძრაობის სახით არ ჩამოყალიბებულა. გამუდმებული ომიანობისა და შიშიანობის პირობებში ამ იდეების ქადაგებისათვის არავის ეცალა, თუმცა ქართველი ხალხის ტოლერანტული ბუნება, მშვიდობისმოყვარეობა, ანტისაომარი სულისკვეთება გამოიხატებოდა მათ საქმიანობაში, წეს-ჩვეულებებსა თუ ზოგადად ცხოვრების წესში. ანტისაომარი იდეები თავს იჩენდა მხატვრულ ლიტერატურაში, ფოლკლორში, ქართული სუფრის ტრადიციებსა და ეტიკეტში.

პაციფიზმის სიმბოლო

ქართული პაციფიზმის შესახებ საუბრისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ამ მოვლენის ისტორიული და სულიერი საფუძვლები, ასევე ქვეყნის ტრაგიკული ისტორია და თანამედროვეობა. ჩვენის აზრით, იგი დაკავშირებულია ერთის მხრივ **ქრისტიანულ მოძღვრებასთან, ქართული ეკლესიის ლიტურგიკულ მოძღვრებასთან** („მარჯვენა ყბაში რომ გაგარტყან, მარცხენა მიუშვირეო)“, რომელშიც ნათლად იყო გამოკვეთილი მშვიდობისადმი მისწრაფების სურვილი, მეორეს მხრივ კი **საქართველოს ტრაგიკულ ისტორიასთან**. ეს იდეები ირიბად გამოიხატა **აგრეთვე ქართულ აგიოგრაფიასა და ქართული მონასტრების წესდებებში**. ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში: „შუშანიკის წამება“, „აბო თფილელის წამება“, „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ მართალია არაპირდაპირ, მაგრამ უცხოელთა ბატონობისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლის ფონზე ირიბად გამოხატულია მშვიდობიანობის დამყარებისადმი მისწრაფება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კათოლიკებისაგან განსხვავებით **მართლმადიდებელ სასულიერო პირებს ეკრძალებოდათ იარაღის ხელში აღება და საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა. მათ არ ჰქონდათ აგრეთვე ნადირობის უფლება რადგან იგი მკვლელობასთან იყო დაკავშირებული** (ЯГОДОВСКИЙ А. П. Идеал мира в литургической практике Русской православной церкви. — Долгий путь Российского пацифизма, М.. ИВИ РАН, 1997. стр. 52).

პაციფიზმის სხვა სულიერ-ისტორიულ წყაროდ საქართველოში გვევლინება **ქრისტიანული სექტების ყოველდღიური ეთიკა, როგორც ქართველი ქრისტიანების, ისე უცხოური წარმოშობის დუხობორების, ბაპტისტების, მეშვიდე დღის ადვენდისტების, მალაკნების და სხვა სექტების წარმომადგენელთა ცხოვრების წესი და რელიგიური სწავლება**. ამ სექტებმა სოლიდური წვლილი შეიტანეს საქართველოში პაციფისტური იდეების გავრცელებაში.

ამ სექტებს შორის არიან **„სულისა და ჭეშმარიტებისათვის მებრძოლი“ დუხობორები**, რომელთა მრწამსი უახლოვდება მენონიტთა, კვაკერთა, სოცინინელთა მრწამსს, რომლის მიხედვით საკუთარი თემი „ღვთის რჩეულია“. **ისინი უარს ამბობენ სამხედრო სამსახურზე, ფიცის დადებაზე,** მიდრეკილება აქვთ საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან იზოლაციისაკენ (თ. ფუტკარაძე, 2002 წლის ივლისი).

დუხობორების სექტის დამაარსებლად ითვლება გლეხი **სილუან კოლესნიკოვი და ვაჭარი ილარიონ პობიროხინი**. ისინი ცხოვრობდნენ ეკატერინოსლავის (რუსეთი) გუბერნიაში (ლ. ხუციშვილი, 1998:63). 1820 წელს დუხობორების თემის სათავეში მოვიდა **ვასილი კაპუსტინი,** რომელმაც მთავრობის თვალის ასახვევად (მთავრობა სდევნიდა მათ) მიიღო სულიერი მამის მიერ შერქმეული გვარი – **კალმიკოვი**. იგი მკაცრი რელიგიური პოლიტიკით გამოირჩეოდა. მეფის მთავრობის მიერ შექმნილმა კომისიამ 1839 წელს არაერთი დანაშაული დააფიქსირა (ლ. ხუციშვილი, რელიგია ჰეტეროგენულ საზოგადოებაში. კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ. 1998, გვ. 63). სწორედ ამიტომ გადაასახლა რუსეთის ხელისუფლებამ ისინი 1839 წელს საქართველოს ციმბირად წოდებულ ჯავახეთში – ახალქალაქის მაზრაში, სადაც მათ დაუწესდათ მკაცრი მეთვალყურეობა.

ახალქალაქის მაზრაში დუხობორების თემის პირველი ხელმძღვანელი ილარიონ კალმიკოვი იყო, მოგვიანებით კი მისი ვაჟი პეტრუშა, რომლის გარდაცვალების შემდეგ თემს სათავეში მისი მეუღლე ლუკერია გუბანოვა ჩაუდგა. თემის რეზიდენცია იყო სოფელ გორელოვკაში. სახელმწიფო მოხელეებთან ურთიერთობა ევალებოდა დუხობორთა ბისმარკად წოდებულ ალიოშა ზუბკოვს. დუხობორები რეჟიმის დამრღვევებს სასტიკად უსწორდებოდნენ, მაგრამ დასჯილნი მთავრობაში არ მიდიოდნენ საჩივრებით, რადგან სწამდათ, რომ დუხობორების ხელმძღვანელი შეუმცდარი პიროვნება იყო.

1890-იან წლებში რუსეთში ფართოდ ვრცელდება ტოლსტოის მოძღვრება. **ლ. ტოლსტოი კრძალავდა ხორცის, როგორც მკვლელობის პროდუქტის ჭამას, უარყოფდა ცოლ-ქმრულ თანაცხოვრებას, ქადაგებდა ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობას, სამთავრობო გადასახადების გადახდაზე უარის თქმას** (ლ. ხუციშვილი, 1998:64; ვ. შუბითიძე, 1998:182). საქართველოში, როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენელ განაპირა მხარეში მცხოვრები სექტანტები ვერ აცდნენ ამ იდეებს. 1894 -1899 წლებში დაქორწინებულებმა აიკრძალეს სქესობრივი ურთიერთობა და პრაქტიკულად აღარ გაჩენილა ბავშვები, რამაც განაპირობა საქართველოში მცხოვრებ დუხობორთა ხელოვნური კლება (ვ. შუბითიძე, 1998:182).

გადასახლებაში მყოფი ვერიგინი ტოლსტოელი გახდა. შუამავლის მეშვეობით მან დაიწყო ჯავახეთში (საქართველო) ახალი იდეების ქადაგება. მათ შემოიღეს არტერული მეურნეობა, მოსავალს ანაწილებდნენ სულადობის მიხედვით, აიკრძალა ვაჭრობა, ქირაზე სიარული. ოჯახში ყველას თავისი შრომით უნდა მოეპოვებინა საარსებო საშუალება. იკრძალებოდა აგრეთვე შინამოსამსახურეობა და მოჯამაგირეობა. ქონებრივად ყველა თანასწორი უნდა ყოფილიყო. ჭარბი საქონელი თავისთვის არ უნდა დაეტოვებინათ, ვალდებულნი იყვნენ გაეყიდათ (ლ. ხუციშვილი, 1998:64). ამ მოთხოვნებმა საღად მოაზროვნე დუხობორების პროტესტი გამოიწვია. ისინი მიხვდნენ, რომ ახალი მოძღვრება ემუქრებო-

და მათ წეს-ჩვეულებებს. თვით ვერიგინის მომხრეებშიც კი მოხდა განხეთქილება მათი ლიდერის ფანატიკური იდეებით გატაცების გამო. **ტოლსტოის იდეების მიმდევრებმა 1895 წელს უარი უთხრეს მთავრობას სამხედრო სამსახურზე, სახლებიდან გამოიტანეს მეფის სურათები და გადაყარეს, ხოლო 29 ივნისს, ღამით შეაგროვეს იარაღი და დაწვეს** (ლ. ხუციშვილი, 1998:65), **ამასთანავე დადეს ფიცი, რომ არ მიიღებდნენ მონაწილეობას ომებში. ვერიგინელებმა თვითნებურად დატოვეს სამხედრო სამსახური.** ამ ამბოხების გამო დაიწყო მათი რეპრესიები, რის გამოც ბევრი გადასახლდა უცხოეთში (კვიპროსზე, კანადაში). **330 დუხობორი მოათავსეს მეტეხის ციხეში, 180 დუხობორი გააციმბირეს, 4300 დუხობორი კი გაასახლეს ჯავახეთიდან კახეთისა და ქართლის დაუსახლებელ, მალარიიან ადგილებში** (ვ. შუბითიძე, 1998:182). ადგილზე დარჩნენ ნინოწმინდის რაიონის სოფელ გორელოვკაში მცხოვრები დუხობორები და ვორობიოველები (ყოფილი ვერიგინელები), რომელთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ნინოწმინდის რაიონის დუხობორთა სოფლებში. მათი ყოველდღიური ყოფა მჭიდრო კავშირშია დუხობორთა რელიგიურ რწმენასა და მსოფლმხედველობასთან (ლ. ხუციშვილი, 1998:65; თ. ფუტკარაძე, 2002 წლის ივლისი).

დუხობორები განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან, ამიტომ სხვებთან შედარებით კარგად ცხოვრობენ. ზარმაცს თემში არ გააჩერებდნენ. ჯარში წამსვლელ დუხობორს (საყოველთაო სამხედრო სამსახურის დროს პროტესტის მიუხედავად მაინც უწევდათ წასვლა) მიქონდათ ბებიის ან დედის მიერ გადაწერილი **„იარაღის საწინააღმდეგო შელოცვა“** (თ. ფუტკარაძე, საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, რვეული N 3, 2002 წლის ივლისი).

1980-იან წლებში დუხობორთა ნაწილი დაბრუნდა რუსეთში, მაგრამ გორელოვკელთა უმრავლესობამ არ ისურვა ქართული მიწის მიტოვება. ისინი დღესაც აგრძელებენ ცხოვრებას ჯავახეთის რამოდენიმე სოფელში.

ქართულ პაციფიზმზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მხატვრულ ლიტერატურაში გამოხატულ მშვიდობისმოყვარულ იდეებს. როგორც ცნობილია, საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე უხდებოდა ბრძოლა საკუთარი თვითმყოფადობის დაცვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და წართმეული ტერიტორიების დაბრუნებისათვის. შესაბამისად წინა პლანზე იყო წამოწეული სამშობლოს დამცველი ჯარისკაცების აღზრდის თემა. ქართული მხატვრული ლიტერატურის შესანიშნავი ნაწარმოები **„ვეფხისტყაოსანი” ამ იდეის მხატვრული ხორცშესხმაა. მეგობრობისა და სიყვარულის ფონზე წინა პლანზე წამოწეულია სამშობლოს დაცვის ინტერესები. ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირები – თინათინი და ნესტან-დარეჯანი თავიანთ მიჯნურ რაინდებს სიყვარულის დასამტკიცებლად სამშობლოს სამსახურს სთხოვენ.** ეს თემა უცხო არ ყოფილა არც შემდეგდროინდელი ქართული მწერლობისათვის. მე-15 საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოს არ ჰქონია თავისუფალი ცხოვრების შესაძლებლობა, დაიშალა ერთიანი ფეოდალური მონარქია, ხშირი იყო თავდასხმები ოსმალეთის, სპარსეთის თუ სხვა სახელმწიფოების მხრიდან. ამას ემატებოდა ლეკთა თარეში – **ლეკიანობა და „ტყვის სყიდვა“,** როცა იტაცებდნენ პატარა ბავშვებს და მონათა ბაზარზე ჰყიდდნენ – გოგონებს ჰარამხანებისათვის, ვაჟებს კი მტრის ჯარში სამსახურისათვის. ასე გაიტაცეს ცნობილი ქართველი

პოეტი დავით გურამიშვილი, რომელმაც მხატვრულად აღწერა იმდროინდელი საქართველოს ტრაგიკული თავგადასავალი:

„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი დიდო ქისტი,
სრულად ქართლის მტრები იყვნენ, ყველამ წაჰკრა თითო ხიშტი“.
(დავით გურამიშვილი, „ქართლის ჭირი“. 1976:89)

ასე, რომ ქართველ კაცს ცალ ხელში ხმალი ეჭირა და მეორე ხელში გუთანი. შესაბამისად, პაციფისტური იდეების ქადაგებისათვის არავის ეცალა. სწორედ ამ მოტივითაც უნდა იყოს განპირობებული დიდი ქართველი პოეტის **გალაქტიონ ტაბიძის ლექსი „ძირს პაციფიზმი“:**

„ძირს პაციფიზმი, ძირს ღალატი, ძირს ომის ღმერთი!
ხომ სისხლითაა შეღებილი ველი და ფერდი,
დემონსტრანტების მიარღვევდა პროსპექტებს მკერდი,
მათ შორის, აი, ერთი მიდის, (რომელი ერთი)“
(http://poetry.ge/poets/galaktion-tabidze/poems/4416.dzirs-patsiphizmi.htm).

უნდა ითქვას, რომ გალაკტიონ ტაბიძე საბჭოთა პერიოდის პოეტია. შესაბამისად ლექსს აშკარად ეტყობა საბჭოური იდეოლოგიის გავლენა. პოეტი იძულებულია ანგარიში გაუწიოს დროის მოთხოვნებს. ამიტომაც ამბობს იგი: „მხოლოდ პროლეტარული რევოლუცია მიანიჭებს კაცობრიობას მშვიდობიანობას!“ (http://poetry.ge/poets/galaktion-tabidze/poems/4416.dzirs-patsiphizmi.htm).

მშვიდობის მაძიებელი და მოყვარული ხალხი ისტორიული ბედუკუღმართობის გამო იძულებული გახდა სამშობლოს დამცველი ჯარისკაცების აღზრდაზე ეფიქრა. მიუხედავად ამისა, ქართულ მწერლობაში ხშირად გამოითქმებოდა მშვიდობიანი თანაცხოვრების სურვილი. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე, ქართველი პოეტი **ალექსანდრე ჭავჭავაძეგმობს აგრესიული სახელმწიფოების სწრაფვას სხვათა მიწების დაპყრობისათვის,** წუხს, რომ სახელმწიფოები უმოწყალოდ ძარცვავენ ერთმანეთს, არბევენ და აჩანაგებენ ქვეყნებს და გამარჯვებულნი მდიდრდებიან „მდაბალთა ჩაგვრით“:

სამეფონი ურთიერთსა მქცევლობენ,
შეუწყალოდ, მხეცებს კაცთა მხევლობენ,
მდიდრდებიან, რომელნიცა მძევლობენ და ყვავილოვნებენ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობითა და ხვეჭით“
(ალექსქნდრე ჭავჭავაძე, „ვაჰ სოფელსა ამას“, 1977: 37)

პოეტი პროტესტს აცხადებს ამგვარი აგრესიისა და ტირანიის წინააღმდეგ.

მსგავსი იდეები გამოხატულია იმავე პერიოდის ქართველი პოეტის **გრიგოლ ორბრლიანის შემოქმედებაშიც**. მისი პოემა „სადღეგრძელო“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მშვიდობის ერთგვარი ჰიმნი. **სამშობლოსათვის დაღუპულ ადამიანთა მოხსენიების პარალელურად ავტორი უმღერს მშვიდობას**. იგი ერთმანეთს უპირისპირებს ბუნებაში არსებულ ჰარმონიასა და ადამიანთა გაუტანლობას და წუხს, რომ მშვენიერ დილას, როცა ყველა ხარობს ბუნების სილამაზით, ადამიანები საომრად ემზადებიან:

„განემზადება საომრად, რაზმი და რაზმი ჯარისა,
აი თოფიცა გავარდა... აი რბის ცხენი მხედრისა“

(გრიგოლ ორბელიანი, „სადღეგრძელო“, 1977:59).

პოეტი მრავალმნიშვნელოვნად სვამს რიტორიკულ კითხვას:

„ამ მშვენიერსა დილასა,

კაცს რად სურს სისხლი კაცისა“

(გრიგოლ ორბელიანი, „სადღეგრძელო“, 1977:59)

ქართველი რომანტიკოსები აიდეალებდნენ წარსულს და უკმაყოფილონი იყვნენ აწმყოთი, მაგრამ ისინი მარტო ამით არ კმაყოფილდებიან. რომანტიკოსები ეძებენ გმირს, რომელიც იხსნის სამშობლოს:

„ვინ აღჩნდეს გმირი, რომ მის ძლიერი,

ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?

რომელ მარჯვენით, ერთისა დარტყმით,

უსულოდ ვეშაპს მიწას დასცემდეს“

(გრიგოლ ორბელიანი, ქართული ლიტერატურა, 1977: 61)

მშვიდობის დამყარება და ქვეყნის თავისუფლება იყო ქართული პოლიტიკური ელიტის უმნიშვნელოვანესი საზრუნავი. ოსმალეთ-სპარსელების აგრესიისაგან დაუძლურებული დაშლილი საქართველო ეძებდა მოკავშირეს, რომელიც მფარველობის კალთას გადააფარებდა დათრგუნულ ქვეყანას. მეფე ერეკლეს ეს აზრი ნათლად გამოხატა ცნობილმა პოეტმა და საზოგადო **მოღვაწემ ნიკოლოზ ბარათაშვილმა:**

„ესლა კი დროა, სოლომონ რომა,

მშვიდობა ნახოს საქართველომა“

(ნ. ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“, 1977:104)

ქართულ პაციფიზმზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პუბლიცისტიკას, **ილია ჭავჭავაძისა და მათი თანამოზრეების იდეებს,** რომლებიც თავიანთ რელიგიურ-ფილოსოფიურ ნაწარმოებებში ავითარებდნენ ქრისტიანულ სწავლებას **შემწყნარებლობის, მშვიდობისა და ადამიანთა შორის სიყვარულის** შესახებ. თავად ილია პრაქტიკულად ეხმარებოდა სხვა რელიგიური მრწამსის მატარებელ ჯგუფებსა თუ ცალკეულ ადამიანებს. ამ მიზნით სათავადაზნაურო ბანკიდან, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა, თანხის გაღებასაც არ ერიდებოდა. მისივე ინიციატივით **ქართველი მაჰმადიენებისათვის ითარგმნა „ყურანი“** და ადრე გაჟღერებული ლოზუნგის „ენა, მამული, სარწმუნოების“ პარალელურად გაახმოვანა ახლადშემოერთებული ქართველი მუსლიმანების პატივსაცემად გამოთქმული დევიზი: **„ენა, მამული, სამაჰმადიანო საქართველო“** (ქართული ლიტერატურა, მე-9 კლასის სახელმძღვანელო, თბ. 1977, გვ. 196-198).

ილიას მოღვაწეობა დაემთხვა იმ პერიოდს, როცა **საზოგადოებრივი აზრი ოსმალეთის მიერ წართმეული ქართული მიწების დაბრუნებას რუსეთის იმპერიას უკავშირებდა.** სამშობლოს გაერთიანებაზე ოცნებობდნენ მუსლიმი ქართველებიც. ივანე კერესელიძესთან საუბარში შერიფ ხიმშიაშვილს უთქვამს კიდეც: „ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი. მე მზად ვარ მაშინვე ჩემი ქვეყნის ქართველ შვილებს შევუერთდე და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდესო“ (ზაქარია ჭიჭინაძე, 1912:230). ე.ი. **ქართული საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერდა ომს რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რადგან ამ ომს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს უკავშირებდა.** 1877 წ. 5 მაისს

დაეცა ქ. არტაანი და რუსებს მიეცათ შესაძლებლობა გოდერძის უღელტეხილის გავლით შესულიყვნენ აჭარაში. ამ მიზნით ახალციხეში თავი მოუყარეს დიდძალ ჯარს. ამ ამბით გახარებული ვინმე „ქართველი“ გაზეთ „დროებას“ ატყობინებს: „შეხედეთ ჩვენი ახალციხელების სიხარულს, რომ ქვეყნის ბორბალმა ასე დაგვიბრუნა საქმე. აჭარლების გადმოსვლას დიდი სიხარულით მოველით“ (ოთარ ფუტკარაძე, გაზეთი „დროება“ აჭარის შესახებ, ბათუმი, 1980, გვ.17). ცნობილია ისიც, რომ 1875 წ. აგვისტოში ოსმალეთის სულთანმა გამოსცა ფირმანი, რომელიც ავალდებულებდა დაპყრობილი ხალხების, მათ შორის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას (მაშინ ეს ტერიტორია ოსმალთა პოლიტიკური გავლენის სფეროში იყო მოქცეული) წასულიყვნენ აჯანყებული ბოსნიელების, ჰერცოგოვინელებისა და ბულგარელების დასასჯელად. **აჭარლებს არ უნდოდათ მათსავით დამონებული ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა და უარი განაცხადეს ჯარში წასვლაზე** (ოთარ ფუტკარაძე, 1980:12). ისინი მოუთმენლად ელოდებოდნენ იმ დღეს, როცა რუსეთი დაიწყებდა საომარ მოქმედებებს ოსმალეთის წინააღმდეგ, რასაც შედეგად უნდა მოყოლოდა მათი გათავისუფლება. ამდენად, ქართული საზოგადოებრივი აზრი 1870-იან წლებში მხარს უჭერდა რუსეთსა და თურქეთს შორის ომს, რაც სულაც არ ნიშნავს მოსახლეობის არამშვიდობისმოყვარეობას. ეს განწყობა ქართველთა ერთიანობის აღდგენისა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების სასიცოცხლო ინტერესებს უკავშირდებოდა.

ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი შემოქმედებით გამოდიოდა ძალმომრეობის წინააღმდეგ, მის მიერ **1877 წელს დაარსებული ჟურნალი „ივერია“-ც ამ იდეებს ქადაგებდა,** მაგრამ ქვეყნის გაერთიანების აუცილებლობა მის უმთავრეს საზრუნავად იქცა. ცხადია, მის ჟურნალშიც აისახებოდა ეს პრობლემები. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, როცა რეაქციის რისხვა დაატყდა უბრალო მოსახლეობას, **ილია გამოვიდა აგრესიის წინააღმდეგ** და თავის მოურავს მოსეს მიწერა: „მოსე, თუ ვინიცობაა მანდ, საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია, ჩემ მაგიერ თხოვე – ხალხი არ დააწიოკონ... თუ მაინც და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონ ვთხოვ უფროსს. მანდ არა იმოქმედონ-რა, ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭონ“ (ქართული ლიტერატურა, მე-9 კლასის სახელმძღვანელო, 1977: 199).

რევოლუციის დამარცხების შემდეგ მეფის ჯალათებმა და პოლიციელებმა გააჩაღეს თავიანთი სისხლიანი საქმიანობა. პოლონეთში, ლატვიაში, ესტონეთში, კავკასიაში, ციმბირში მძვინვარებდა დამსჯელი ექსპედიციები. ილიამ გაბედულად გაილაშქრა ამ ბოროტების წინააღმდეგ: **„რად გინდათ ეგ იარაღი რომ აგისხამთ? ვისთვის ამზადებთ თოფებსა? გლეხებისათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი იმათ, ვინც დაგირიგათ“** (ქართული ლიტერატურა, მე-9 კლასის სახელმძღვანელო, 1977:199).

1906 წელს ილია არჩეული იქნა სახელმწიფო სათათბიროს წევრად. იგი მიემხრო დეპუტატთა მემერცხენე წრეს და **გაილაშქრა ადამიანის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ,** და როცა, 1907 წ. აგვისტოში განხორციელდა ილია ჭავჭავაძის ვერაგული მკვლელობა, ილიას მეუღლე ოლღა გურამიშვილი **გამოვიდა მეუღლის მკვლელების სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, რადგან ილია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ იბრძოდაო** (ილია

ჭავჭავაძე, ბიოგრაფია. ქართული ლიტერატურა, მე-9 კლასის სახელმძღვანელო, თბ. 1977, გვ. 199). ამ ქმედებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მშვიდობისმოყვარული იდეების გავრცელებისათვის.

საქართველოს ტრაგიკული ისტორიული თავგადასავალი, დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, ქართული მიწების „გამოხსნის“ აუცილებლობა განაპირობებდა პატრიოტულ აღტყინებას, რაც აისახა კიდეც მხატვრულ შემოქმედებაში. სამშობლოს ინტერესებისათვის ბრძლა და თავგანწირვა იქცა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას და სხვა ქართველი კლასიკოსების შემოქმედების ლეიტმოტივად. ამიტომაც ათქმევინა ილიამ დედას თავისი ნორჩი შვილისათვის:

„ჩემის მამულისათვის, მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
მისი სიკეთისათვის, გაგწირავ და გაბრძოლებ,
მას დედის ძუძუ ტკბილი, შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი, ვისაც დაზარებია“
(ილია ჭავჭავაძე, ნანა. 1977:205).

ამ გრძნობას ავტორი განსაკუთრებული სიძლიერით გამოხატავს დრამატულ პოემაში „ქართლის დედა“. შვილის ომში წასვლით უპატრონოდ დარჩენილი მოხუცი, მომაკვდავი დედა, რომელსაც შინ მიწის მიმყრელიც კი არ დარჩენია, ყველაზე მაღლა სამშობლოს ინტერესებს აყენებს და დიდი მღელვარებით მიმართავს სამშობლოს:

„ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე მამულო შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი,
ჩემი სიბერის მისაყრდნობად ისღა მშთენია,
მაგრამ მამულო წაიყვანე, დღეს ის შენია“
(ილია ჭავჭავაძე, „ქართლის დედა“, 1977:205).

ცხადია, პატრიოტული იდეების ქადაგება არ იყო ომის პროპაგანდა. ილიას კარგად ესმოდა, რომ პაციფიზმი არ ნიშნავს უმოქმედობას და ქვეყნის ინტერესების დაცვა წარმოადგენს ყველაზე დიდ ფასეულობას. **სწორედ ილიამ, თანამოაზრეებთან ერთად შექმნა პაციფისტური აზროვნების გარკვეული ბაზისი.**

ქართველი ხალხის მშვიდობისმოყვარული ბუნება აისახა ყოფით კულტურასა და ცხოვრების წესში. ქართულ ლექსიკონში ჭარბადაა მშვიდობის სურვილის გამომხატველი სიტყვები: „დილა მშვიდობისა“, „საღამო მშვიდობისა“, შუადღე მშვიდობისა“, ღამე მშვიდობისა“, „მშვიდობა მოგცეს უფალმა“. მტრის ხშირ შემოსევებს უნდა უკავშირდებოდეს ქართულში დამკვიდრებული მისასალმებელი სიტყვა „გამარჯობა“//„გამარჯვება“ – რითაც თვისტომთ მტერზე გამარჯვებას უსურვებდნენ.

ქართველები ცდილობდნენ მომავალი თაობებისათვის ბავშვობიდანვე ჩაესახათ შემწყნარებლობის, ტოლერანტობის, მშვიდობიანობისაკენ მისწრაფების გრძნობები. ყველაზე ეფექტური ამ თვალსაზრისით იყო ქართული სუფრა. ცნობილია, ადრე სწავლება არ იყო ყველასათვის ხელმისაწვდომი. არ არსებობდა ან ძალზე ცოტა იყო სკოლები. ამიტომ ქართული სუფრა ადრიდანვე იქცა ახალგაზრდობის აღზრდის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურ საშუალებად. პურობის დროს უფროსებთან ერთად ესწრებოდნენ ბავშვებიც. ქართულ სუფრას კი ოდითგანვე მიიჩნევდნენ აკადემიად. სუფრაზე იხილებოდა საქვეყნო საქმეებიც კი, ამასთან თამადისა და სუფრის წევრების მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოებში გამოხატული იყო სამშობლოს, მშობლების, გარდაცვლილების, მომავა-

ლი თაობისა და სიცოცხლის, წინაპრების, სალოცავების, ოჯახის, დედმამიშვილების, მოდგმის, გვარის, სიყვარულის, კაი კაცის სიყვარული და პატივისცემა. სუფრაზე უფლის სადიდებლის შემდეგ მთავარი იყო და არის სწორედ **მშვიდობის სადღეგრძელო**. ამ სადღეგრძელოში თამადა მოკლედ მიმოიხილავდა ქვეყნის ტრაგიკულ ისტორიას, რაც ამძაფრებდა მშვიდობიანი ცხოვრების განცდას. დასკვნის სახით თამადა იტყვის ხოლმე: „უნდა გავუფრთხილდეთ მშვიდობას, კლდედ აღვიმართოთ ყოველგვარი ძალმომრეობის წინაშე, რომ ბედნიერების ღიმილი არ წაიშალოს ჩვენი პატარების, ჩვენი მომავალი თაობის სახეზე. ფეხზე ადგომით შევსვათ მისი უდიდებულესობის – მშვიდობის სადღეგრძელო“ (გურამ ურჩუხიშვილი, 2008:49). თავისთავად სადღეგრძელო შემოქმედებითი უნარის გამოხატულებაა. იგი არ არის სტანდარტული და დოგმატური. ნებისმიერ თამადას თუ სუფრის მონაწილეს შეუძლია თავისი შეხედულების მიხედვით წარმოთქვას სადღეგრძელო. ზოგჯერ მშვიდობას ადღეგრძელებენ უფლის დიდებასთან ერთად: „ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა“. მშვიდობის სადღეგრძელოს წარმოთქმა სუფრის ეტიკეტის აუცილებელი მოთხოვნაა.

სადღეგრძელოები ზოგჯერ ლექსადაც წარმოითქმება. ხალხურმა შემოქმედებამ ამ თვალსაზრისითაც გამოხატა მშვიდობისადმი საზოგადოებისა და ხალხის დამოკიდებულება:

„ვარ მშვიდობის მედროშე, მეგობრობის დამცველი,
ვენაცვალე ყველა ქართველს, ვინც არ არის მძარცველი.
ვის რად უნდა, ვის რად უნდა,
კაცის სისხლი, დედაკაცის ტირილი?!
ვის რად უნდა ბავშვის ცოდვა, მომაკვდავთა ყვირილი?!
მოვერიდოთ ავკაცობას, ერთმანეთის წყენასა,
ვუთხრათ „დილა მშვიდობისა“, ვინც შეგვხვდება ყველასა.
მაშ მშვიდობა მოგვცეს ღმერთმა, ოჯახში და ქუჩაში,
მშვიდობა და სამი ჯერი, რქაწითელი შუშაში.
სულ მშვიდობამ ინავარდოს საქართველოს მთა-ველზე,
ყველა ხალხში, ყველა სახლში, მიწის ყველა მტკაველზე“
(ვანო ხარაიშვილი, 1997:13).

ქართული სუფრა არა მარტო პარლამენტარიზმის სათავეებთან მიგვიყვანს, არამედ უფრო შორეულ ეპოქას უკავშირდება. მსოფლიოს არც ერთ სასუფრო კულტურაში არ არსებობს იმდენი რიტუალური დამოკიდებულება, რამდენიც საქართველოში. ქართულ ლხინს უზომო აღტაცებაში მოუყვანია უცხოელი მოგზაურები, მისიონერები, მწერლები და პოეტები (სოლომონ თეზელაშვილი, 2000:2), ხოლო კომუნისტების მმართველობის პერიოდში იგი გარკვეულწილად საბჭოურ ეტიკეტადაც იქცა.

პაციფიზმი, განსაკუთრებით სამამულო, დახურულ თემას წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათწლეულობის განმავლობაში. აგრესიული ბოლშევიკური იდეოლოგია გამორიცხავდა მშვიდობისმოყვარული იდეების ისტორიის ობიექტური შესწავლის შესაძლებლობას. „პაციფიზმის“ გაგებაში აუცილებლად გულისხმობდნენ რაღაც აბსტრაქტულს ან „ბურჟუაზიულს“. **იგი განიხილებოდა, როგორც კოსმოპოლიტური მიმდინარეობა, რომელიც უცხო იყო მარქსისტულ-ლენინურ დოგმატიკასთან პროლეტარიატის დიქტატურისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ** (მაგალითისათვის შეიძლება დავასახე-

ლოთ პ. იაგოდოვსკის სტატია: იხ. *Ягодовский А. П.,* Идеал международного и внутреннего мира в религиозно-философской и общественной мысли России. Долгий путь российского пацифизма. М. 1997).

საბჭოთა პერიოდში **სახელმწიფო ორგანოები იქცნენ სამხედრო ძალის პროპაგანდისტებად**. ეს პოლიტიკა გრძელდებოდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგაც. თავად სახელწოდება „მეორე მსოფლიო ომი" არ გამოიყენებოდა. იგი შენიღბული იყო სამამულო ომის სახელით, რაც ხაზს უსვამდა ამ ომის თავდაცვით ხასიათს, თუმცა 1930-იანი წლებიდან ღვივდებოდა მტრობა და ძლიერდებოდა მილიტარისტული ტენდენციები. ეს აშკარად ეტყობოდა სამხედრო აღლუმებსაც. ისმებოდა კითხვა – **საბჭოთა პროპაგანდა გმობს მილიტარიზმს, რეალურად კი თავადაა მილიტარისტული სახელმწიფო**. არმია და ფლოტი იქცა საბჭოეთის მთავარ მოკავშირედ.

მილიტარიზმის ინტერესებს დაექვემდებარა საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემაც. სკოლებში ინერგებოდა სამხედრო გაკვეთილები.

საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ სკოლები (მათ შორის საქართველოშიც) გათავისუფლდა იდეოლოგიური ბერკეტებისაგან. სამხედრო სწავლება თანდათან გაქრა სკოლებში, თუმცა საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო ძლიერდებოდა თავდაცვის გაძლიერების ტენდენციები, 2004 წლიდან კი, საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ არც თუ იშვიათი იყო სამხედრო რიტორიკა, რაც უპირატესად ე. წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაბრუნებისა და საქართველოს იურისდიქციის აღდგენის ინტერესებს ექვემდებარებოდა. ჩნდება ე.წ. სარეზერვო ჯარი. პრაქტიკულად, **საქართველო დღემდე ჩათრეულია გამოუცხადებელ ომში**. ამ ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული ის გარემოება, რომ **პაციფიზმის ფენომენის კვლევა დღემდე ვერ იქცა პრიორიტეტულ მიმართულებად საქართველოში**. მიუხედავად ამისა, ყოველდღიურად ძლიერდება ანტიმილიტარისტული განწყობა, ჩნდება შეხედულებები სამხედრო გაწვევისათვის უარის თქმისა და ალტერნატიული სახელმწიფო სამსახურის შესახებ. ხალხს კარგად ესმის ანტიმილიტარიზმის სარგებლობა საქართველოსათვის. საკმარისია გაანალიზდეს ამა თუ იმ ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) სამხედრო ბიუჯეტი და ნათელი გახდება ანტიმილიტარიზმის დადებითი შედეგები, რაც ცხადია შესაბამისად აისახება თითოეული მოქალაქის ცხოვრების დონესა და კეთილდღეობაზე. სწორედ ამიტომ ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომლებშიც ადექვატურადაა გამოხატული მოსახლეობის განწყობა. ერთ ერთი ასეთი იყო ნატოს დაარსების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის ფარგლებში თბილისში, ვაკის პარკში, ბრიტანული კუთხის ტერიტორიაზე გაიხსნა „მშვიდობის ბაღი" (ინტერნეტი, http://www.eunato.gov.ge/ge/news/6153).

ომის მიერ გამოწვეული მატერიალური ზარალისა და რელიგიური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზეგავლენის ადექვატური შეფასება, მისი წარმომშობი მიზეზებისა და საფუძვლების განსაზღვრა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. სხვადასხვა ეთნოსების, მათი კულტურების მიხედვით ომი და ანტისაომარი იდეოლოგია განსხვავებულია. ამიტომ აღნიშნული პრობლემატიკის კვლევა თავსდება ინტერდისციპლინარულ პრობლებათა წრეში, რომელსაც პერსპექტივაში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ნ. ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“, ქართული ლიტერატურა, მე-9 კლასის სახელმძღვანელო, თბ. 1977;
2. დავით გურამიშვილი, „ქართლის ჭირი“. ქართული ლიტერატურა, მე-8 კლასის სახელმძღვანელო. თბ. 1976;
3. გრიგოლ ორბელიანი, „სადღეგრძელო“, ქართული ლიტერატურა, მე-9 კლასის სახელმძღვანელო, თბ. 1977;
4. გურამ ურჩუხიშვილი, პირმა დაგლოცოთ ღვთისამა, თბ. 2008;
5. ოთარ ფუტკარაძე, გაზეთი „დროება“ აჭარის შესახებ, ბათუმი, 1980;
6. თ. ფუტკარაძე, საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური, რვეული N 2, N 3. 2002 წლის ივლისი;
7. ვანო ხარაიშვილი, ლექსად თქმული სადღეგრძელოები“, თბ. 1997;
8. ლ. ხუციშვილი, რელიგია ჰეტეროგენულ საზოგადოებაში. კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ. 1998 ;
9. ვ. შუბითიძე, ადაპტაციური პროცესები პოლიეთნიკურ რეგიონში. კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ. 1998;
10. ილია ჭავჭავაძე, ნანა. ქართული ლიტერატურა, მე-9 კლასის სახელმძღვანელო, თბ. 1977;
11. ილია ჭავჭავაძე, „ქართლის დედა“, ქართული ლიტერატურა, მე-9 კლასის სახელმძღვანელო, თბ. 1977;
12. ზაქარია ჭიჭინაძე, ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი, ბათუმი, 1912;
13. *Ягодовский А. П.,* Идеал международного и внутреннего мира в религиозно-философской и общественной мысли России. Долгий путь российского пацифизма. М. 1997.

ინტერნეტ მისამართები:

1. www.google.ge ქართული პაციფიზმი;
2. http://poetry.ge/poets/galaktion-tabidze/poems/4416.dzirs-patsiphizmi.htm;
3. http://poetry.ge/poets/galaktion-tabidze/poems/4416.dzirs-patsiphizmi.htm;
4. http://www.eunato.gov.ge/ge/news/6153.

Tamaz Phutkaradze

Pacifism in Georgia
Summary

The problem of war and peace has always been one of the most critical issues of public thinking. The importance of problem acquired a new meaning in the age of globalization. In Georgian scientific literature, nothing created about that one of the most important and actual issue. In this article are discussed these issues.

გუგული პატარიძე

ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის დირექტორი რევაზ ბოლქვაძე საარქივო დოკუმენტებში

აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდსაცავებში დაცულ პირად ფონდებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ცნობილი პედაგოგის, ბათუმის საპატიო მოქალაქის, მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის დირექტორის პირად კოლექციას (იხ. ასსცსა, ფონდი რ-632), რომელშიც მრავლადაა ფოტოდოკუმენტები (16 ფოტოალბომი). იგი თავად ფონდწარმომქმნელმა გადმოსცა საარქივო სამმართველოს 2005 წელს.



რევაზ ბოლქვაძე (ფონდი რ-632, საქმე 30)

ფოტოკოლექციის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1945-2007 წლებს და აერთიანებს 781 შესანახ ერთეულს. მათგან 739 ერთეული ფოტოა.

კოლექციაში ინახება აგრეთვე ქაღალდისფუძიანი დოკუმენტები, საგაზეთო სტატიები, ხელნაწერი პიესები, ნოველები, რ. ბოლქვაძის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები, რომლებიც არქივს ოჯახის წევრებმა მისი გარდაცვალების შემდეგ გადმოსცეს. წინამდებარე სტატიაც რეზო ბოლქვაძის პირადი ფონდის მიმოხილვის მცდელობაა.

რევაზ ბოლქვაძე დაიბადა 1927 წლის 26 ივნისს, ცნობილი პედაგოგების ქეთევან და კალე ბოლქვაძეების ოჯახში. მის მშობლებს დიდი ღვაწლი მიუძღვით აჭარაში სახალხო განათლების განვითარებაში. „კალეს გიმნაზიას" ეძახოდნენ იმ სკოლას, სადაც დირექტორად მუშაობდა რევაზ ბოლქვაძის მამა. ყოფილი მოსწავლეები ამბობდნენ, რომ იყვნენ კალეს გიმნაზიის კურსდამთავრებულები და ეამაყებოდათ, რომ ასეთი პედაგოგის შემწეობით შეიძინეს „არა მარტო ცოდნა, არამედ კაცობაც".

მშობლების შესახებ საუბრისას რეზო ბოლქვაძე ამბობდა: „მშობლებისაგან კაცმოყვარეობის, სტუმართმოყვარეობის, ხელოვნებისა და პედაგოგიური პროფესიის უსაზღვრო სიყვარული დამრჩაო".

რეზო ბოლქვაძემ ბავშვობიდანვე გამოავლინა ორგანიზატორული უნარი და თვითნაბადი ნიჭი, რომელიც შერწყმული იყო დიდ შრომისმოყვარეობასა და საქმის სიყვარულთან. მე-XI კლასის მოსწავლე ციხისძირის პიონერთა ბანაკის ხელმძღვანელად დანიშნეს, სადაც კარგად შესრულებული სამუშაოსათვის მიიღო პირველი ფულადი პრემია და ფასიანი საჩუქრები.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ რეზო ბოლქვაძე ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, რომლის სრული კურსი 1952 წელს დაამთავრა და მუშაობას დაიწყო ბათუმის პიონერთა პარკში- პედაგოგად. შრომისმოყვარეობითა და ბავშვების უსაძღვრო სიყვარულით გამორჩეული პედაგოგი მალე დირექტორის მოადგილედ, მოგვიანებით კი დირექტორად დანიშნეს, სადაც თითქმის ექვსი ათეული წელი მოუწია მოღვაწეობა.

რეზო ბოლქვაძე მეუღლესთან ერთად
(ფონდი რ-632, საქმე 31)

ბათუმელი დედები მადლიერებით ამბობდნენ: – „ბათუმის ყველა ქუჩა პიონერთა პარკისკენ მიდის, პარკი კი, ჩვენი შვილების მეორე ოჯახიაო". მართლაც, პიონერთა და მოსწავლეთა პარკი ბათუმელი ნორჩებისათვის სულიერი და ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთი უმშვენიერესი კერა იყო, სადაც ახალგაზრდობას მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულს უნერგავდნენ, სულს ულამაზებდნენ და სრულყოფილ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში უწყობდნენ ხელს.

რეზო ბოლქვაძის ბიოგრაფიული შტრიხების შესახებ საუბრისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ პარკის განვითარების ისტორის საკითხებსაც. სწორედ ამ პარკში დაფრთიანდა უამრავი ბათუმელი, სწორედ აქ ჩამოყალიბდა ცნება – "ნამდვილი ბათუმელი", აქ შეიგრძნო ბევრმა პირველი სიყვარულის ხიბლი. ბათუმელი თუ ბათუმის სტუმარი პირველი პარკს მიაშურებს, რომ ღრმად შეისუნთქოს ქალაქის ჰაერი და დატკბე აქ არსებული სილამაზით.

მოსწავლე ახალგაზრდობის პარკი
(ფოტოფონდი რ-632, საქმე 42)

დღეს ყველასათვის საყვარელი ადგილი 1800-იან წლებში გარეულ ღორებზე სანადირო ადგილს წარმოადგენდა. ადგილობრივი მოსახლეობისა და ინტე-

ლიგენციის მოთხოვნით 1881 წელს ეს ტერიტორია ბაღის მშენებლობისათვის გამოიყო. დაჭაობებული ადგილის პირველდაწყებითი სამუშაო მთელ რიგ წინააღმდეგობასთან იყო დაკავშირებული. „ნური-გელის" ტბის მიმდებარე ტერიტორია გაიწმინდა და ნაწილობრივ გაშენდა. მუშაობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა, რადგან ქალაქის თვითმმართველობა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II ჩამოსვლას ელოდებოდა.

ალექსანდრე II ბათუმს 1881 წელს ეწვია. იმპერატორის პატივსაცემად ქალაქის თვითმმართველობამ ბაღს „ალექსანდროვის ბაღის" სახელი მიაკუთვნა. 1885 წელს ბაღის მშენებლობა განახლდა. ამ მიზნით მოიწვიეს გერმანელი სპეციალისტი **მ. დალფონსი**. იგი პროფესიით მებაღე იყო. მან პირველმა დაიწყო მანდარინის ბაღების გაშენება ბათუმის გარეუბნებში. მანვე ჩაუყარა საფუძველი აგარაკების მშენებლობას მწვანე კონცხზე.

ალექსანდრეს ბაღის კეთილმოწყობის საკითხებს 1889 წლის 11 მარტს, მიეძღვნა ბათუმის თვითმართველობის საგანგებო სხდომა მ.დალფონსის ხელმძღვანელობით. ქალაქის დუმა იყო უკმაყოფილო, დალფონსის საქმიანობით, რადგან ალექსანდრეს ბაღის გაშენებაზე მეტად იგი დიდ დროს უთმობდა ჩაქვის მეურნეობის მოვლას. ამიტომ დაისვა ახალი მებაღის შერჩევის საკითხი (ასსცსა, ფონდი ი-7; ან 1; საქმ.37-ა, ფურც.10-13.). დაწყებული საქმე გააგრძელა პრუსიელმა მებაღემ – **რესლერმა**. მან იკისრა დალფონსის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების პრაქტიკულად განხორციელება და დაიწყო ბაღის დაგეგმვა-გაშენება. ბაღის კეთილმოწყობის საქმეს 1895 წლიდან სათავეში ჩაუდგა **ლ. ტყებუჩავა,** რომელმაც მებაღის თანამდებობაზე მოიწვია ნიკიტინის სასწავლებლის კურსდამთავრებული **აკაკი ხოშტარია**.

XX საუკუნის პირველივე წლებიდან ბაღის კეთილმოწყობისა და განვითარების ხელმძღვანელობა დაევალა **ი. ლეონიძეს** და სხვა ქართველ მებაღეებს, რომლებიც დაუკავშირდნენ ჩინეთიდან ჩამოსულ ჩაის კულტურის სპეციალისტებს. მათი ხელშეწყობით ქალაქის ბაღში დარგეს სუბტროპიკული მცენარეები – ბანანის ხეები, ფინიკის პალმები, დრაცანები, ტროპიკული ხეები და სხვადასხვა ჯიშის წიწვოვანი მცენარეები.

ბაღის განაშენიანებაში უდიდესი წვლილი შეჰქონდათ ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლებს: **ივ.მესხს** – ბათუმის თვითმმართველობის მდივანს; **ა. დერჟავინს** – ბათუმის მეტეოროლოგიური სადგურის უფროსს, სპეციალობით ბიოლოგს; **გრ. ვოლსკის** – პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს.

ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით 1933 წლიდან ქალაქის ბაღი პიონერთა პარკად გადაკეთდა, რომელსაც შემდგომში ლენინის სახელი მიენიჭა.

1934 წლის გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანის" ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნდა დადგენილება პიონერთა და ბავშვთა კულტმომმსახურების შესახებ. დადგენილებაში ვკითხულობთ: „დაევალოს ქალაქის საბჭოს, მოაწყოს კულტურისა და დასვენების ბაღში, ბულვარებში და სკვერებში ბავშვთა გასართობი მოედნები". ამ დადგენილების შემდგომ პარკში ჩამოყალიბდა **პირველი საზაფხულო ბანაკი, მოეწყო გასართობი მოედნები, დაიდგა ატრაქციონი**.

1936 წელს პარკის პირველ დირექტორად დაინიშნა **შ. მაქაცარია,** რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა პარკის მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და აღმზრდელობითი მუშაობის გააქტიურებაში.

პარკის შესასვლელთან და ტბის სანაპიროზე **1936 წელს აშენდა კოლონადები,** გაიწმინდა ტბა, მოეწყო სპორტული მოედნები, შეიქმნა კულტურული დასვენებისა და გართობის კერები, აგრონომ **ი. გორდეზიანის** ინიციატივით დაირგო ასობით სხვადასხვა ჯიშის ძვირფასი მცენარე. საპატიო აქტივისტი ი. გორდეზიანი იყო აგრეთვე ი.გორდეზიანი ბათუმის ბოტანიკური ბაღის გაშენების აქტიური მონაწილე, აჭარის გამწვანების ტრესტის უფროსი, ქალაქის კეთილმოწყობისა და პიონერთა პარკის დიდი მოამაგე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესი დეპუტატი, რომელიც გარდაიცვალა 1959 წელს.

ბავშვების გასართობად 1936 წლის მაისში პარკში მოეწყო **სახედრით სეირნობა.** იმავე დროს (1936 წ. 18 მაისს) დაიდგა **საპარაშუტო კოშკი,** რომლის ხშირი სტუმარი იყო შემდგომში საბჭოთა კავშირის გმირი ი. ჯინჭარაძე. დღეს მისი ბიუსტი ამშვენებს პარკს.მოგვიანებით, **1938 წელს პარკში აშენდა „მწვანე თეატრის" სახელით ცნობილი საზაფხულო თეატრი,** რომელიც პარკის სავიზიტო ბარათად იქცა.

„მწვანე თეატრი"

პარკში არსებულ **„ნური-გელის " ტბაში 1946 წელს ჩაუშვეს თბომავალი „პიონერი". 1960 წელს ბათუმის გემთმშენებელ ქარხანაში აიგო კომფორტაბელური გემი – „პიონერი",** რომელიც ბათუმელი მოზარდებისათვის ტბაზე გასასეირნებლად და მეზღვაურის პროფესიის დასაუფლებლად გამოიყენებოდა. მისი **უცვლელი კაპიტანი კი იყო რეზო ბოლქვაძე.** „არ იქნებოდა მეზღვაურთა კლუბის მუშაობა საინტერესო, თუ არ იქნებოდა „გემის კაპიტანი" რეზო ბოლქვაძე" – ვკითხულობთ ჟურნალ „პიონერის" 1967 წლის № 3 ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში.

რეზო ბოლქვაძის „კაპიტნობა" მოსწავლე ახლგაზრდობის პარკში მრავალი ბათუმელისათვის სასიამოვნო მოგონებად იქცა. ამ თვალსაზრისით საკმარისია გავიხსენოთ მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი, აჭარის ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი აწ გარდაცვლილი **თამაზ ბეჟანიძე,** რომელმაც პირველად გაიყვანა ანსაბლი კანადაში, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის რეპეტიტორი **ვ. მეფარიშვილი,** ბათუმის კულტურის კოლეჯის ქორეოგრაფი **ზაურ ლაზიშვილი,** რომელმაც პირველად გაიყვანა ანსამბლი ევროპაში, კერძოდ ბულგარეთში, სახელმწიფო დრამატური თეატრის მსახიობები **ც. აბზიანიძე, ბ. მიქაუტაძე** და მრავალი ბათუმელი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

ბათუმელი ბავშვებისათვის პარკში **1947 წელს აიგო პირველი კარუსელი.** პიონერთა პარკი იქცა კულტურული დასვენებისა და გართობის ადგილად. იქ დასვენებასთან ერთად ბავშვებთან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობაც მიმდინარეობდა. პარკში ფუნქციონირებდა **ნორჩ მეზღვაურთა კლუბი, წყლის სპორტის, ჭადრაკისა და შაშის წრეები, ნორჩ ნატურალისტთა და მხატვრული**

კითხვის წრე, ფოლკლორული და თეატრალური წრეები, სადაც ასობით მოზარდი იღებდა განათლებას, იძენდა პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

გემი – „პიონერი“ (ფოტოფონდი რ-632, საქმე 41)

ნონა გაფრინდა შვილი ბათუმში (ფოტოფონდი რ-632, საქმე 44)

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა საჭადრაკო კლუბი **„ციცინათელა",** სადაც 1953 წელს პარკში, ღია ცის ქვეშ ჩატარდა მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში. **ბათუმის პიონერთა პარკში საჭადრაკო ტურნირში პირველად მონაწილეობდა ბაფთიანი გოგონა, შემდგომ ჭადრაკში ხუთგზის ჩემპიონი ქალთა შორის. ეს გოგონა ნონა გაფრინდაშვილი იყო.** მოგვიანებით იგი პიონერთა პარკს ხშირად სტუმრობდა. სწორედ ამიტომ საჭადრაკო კლუბ „ციცინათელას" შემდგომში „ნონა" ეწოდა. ფოტოკოლექციაში ნონა გაფრინდაშვილის ბათუმში ვიზიტებს მიეძღვნა ფოტოალბომი – **"მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში სტუმრად ბულგარეთის დელეგაცია და მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი"** (ასსცსა, ფოტოდოკუმენტები. ფოტო №566-650).

პიონერთა პარკის ისტორიის მიმოხილვისას არ შეიძლება არ შეეხო სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ანსამბლის „გაზაფხულის" დამსახურებას ბათუმელი მოზარდების ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში. ანსამლს წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ საქართველოს და აჭარის დამსახურებული ქორეოგრაფები: ე. ხაბაძე, ზ. ლაზიშვილი და თ. ბეჟანიძე, სიმღერის გუნდის ლოტბარი ც. ჩიჩუა. ჯერ კიდევ პატარა გოგო-ბიჭები ქართული ფოლკლორული საუნჯით მოგზაურობდნენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნებში. გასტროლებით ანსამლი „გაზაფხული" იყო პოლონეთში, ბულგარეთში, კანადაში, ხოლო მოსკოვის საკავშირო ტელევიზიამ 1986 წელს ანსამბლ „გაზაფხულს" სპეციალური გადაცემა მიუძღვნა.

1967 წელს პარკში ჩამოყალიბდა პიონერული თეატრი. მისი პირველი პიესა „თავფარავნელი ჭაბუკი" იყო, რომლის დამდგმელი რეჟისორი გახლდათ ახალგაზრდა **ლევან ღლონტი.** პიონერთა პარკის თეატრალურ წრეში იდგმებოდა ნოდარ დუმბაძის, გიორგი ლორთქიფანიძის პიესები.

პიონერთა პარკს სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ გამოჩენილი ადამიანები შ. დადიანი, ლ. გუდიაშვილი, გ. ლეონიძე, მ. ბაჟანი, ო. გონჩარი, ი. კოზლოვსკი, ვ. კუპრაძე, მსოფლიო ექსჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის ოლდა რუბცოვა, ჰოლანდიელი მოშაშე ტონი სეიბრანდსი და სხვა ცნობილი ადამიანები, რომლებიც პატარა ბათუმელებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ.

პარკის აღსაზრდელებმა **1974 წლის 10 დეკემბერს მოსკოვიდან საჩუქრად მიიღეს ნამდვილი საბრძოლო თვითმფრინავის ასლი, რომელიც სპეციალურად პიონერთა პარკისათვის დაამზადა ავიაკონსტრუქტორმა ა. ბელიაკოვმა.**

პიონერთა პარკში ხშირად იმართებოდა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის და საქართველოს სხვადასხვა კუთხის პიონერებთან, რომლებთანაც მეგობრობა მრავალი ათეული წელი გრძელდებოდა.

რეზო ბოლქვაძის დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ბათუმელი მოზარდებისათვის პარკი გახდა ერთ-ერთი საინტერესო სკოლისგარეშე დაწესებულება. ყოველდღიურ მუშაობაში სიახლეთა დანერგვის საფუძველზე რესპუბლიკის მასშტაბით განავრცო სასწავლო წრეების საქმიანობა, უფრო შინაარსიანად დაუკავშირდნენ ერთმანეთს სკოლები და პიონერთა პარკი, მოიძებნა მოსწავლეთა პროფესიული ფორმირების ერთობლივი მუშაობის ეფექტური ღონისძიებანი. სწორედ ამან განაპირობა პარკში არსებული წრეების, სტუდიების თუ ანსამბლების დიდი წარმატება.

რეზო ბოლქვაძე, რომ კარგი პედაგოგი, ახალგაზრდების კარგი აღმზრდელი იყო ამის საუკეთესო დადასტურებაა მის მიერ წლების განმავლობა-

ში ნაგროვებ- ნაფერები ფოტოდოკუმენტები, მისივე წარწერებით: „...ამ სურათებში ფეთქავს დღე ყოველი ჩემი ცხოვრებისა". ფოტოდოკუმენტები, რომლებიც 1945-2003 წლეებს მოიცავს, ნათლად წარმოაჩენს კოლექციონერის მიერ განვლილ გზას, რომელიც პიონერთა პარკს, მის აღსაზრდელებსა და სტუმრებს უკავშირდება.



ავიაკონსტრუქტორ ბელიაკოვის მიერ დამზადებული თვითმფრინავი ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში

ა. ბელიაკოვი ბათუმში (ფოტოფონდი რ-632, საქმე 47)

რ. ბოლქვაძე თანამშრომლებთან ერთად
(ფონდი რ-632, საქმე 32)

ბათუმელი მოზარდების სულიერი მოძღვარი, მათი ცხოვრებით ცხოვროვდა, ზრუნავდა მათ გონებრივ განსწავლულობასა და ზნეობრივ სრულქმნაზე. ყოველი ღონისძიება ჭკვიანურად მოფიქრებული და ღრმაშინაარსიანი იყო. რეზო ბოლქვაძის ფოტოკოლექციის ყველა შესანახი ერთეული პარკის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მის ყოველდღიურ შემოქმედებით სუნთქვასთან არის დაკავშირებული: რეზო ბოლქვაძე ოჯახის წევრებთან ერთად პარკში, მეგობრებთან ერთად, თავისუფალ დროს, აღსაზრდელებთან და მათ მშობლებთან ერთად, თანამშრომრომლებთან და პარკის აღსაზრდელებთან ერთად ექსკურსიაგასტროლებზე, პარკში ნარგავების დარგვის დროს, ზოოკუთხის ბინადრებთან, კლუბ "ნონა"-ს აღსაზრდელებთან და პარკის საპატიო სტუმრებთან ერთად.

რეზო ბოლქვაძეს, როგორც შესანიშნავ პადაგოგსა და აღმზრდელს **"ყრმათა სარდალი"** შეარქვეს.

ახალგაზრდებთან მოფუსფუსე, ბუნებით რომანტიკოსი პედაგოგიურთან ერთად საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ქვეყნდებოდა წერილები, სტატიები, ნარკვევები, პიესები, რომელთა ხელნაწერები დაცულია რ. ბოლქვაძის პირად კოლექციაში. პარკის განვითარების ისტორიას ასახავს რეზო ბოლქვაძისა და ზურაბ კომახიძის თანაავტორობით გამოცემული წიგნი – "ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი".

რეზო ბოლქვაძეს ჯილდოები და რეგალიებიც არ აკლდა: საბჭოთა კავშირის წარჩინებული პიონერხელმძღვანელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მუშაკი, სახალხო განათლების წარჩინებული მუშაკი, მასწავლებელთა ყრილობების

დელეგატი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ღირსების ორდენის კავალერი, საპატიო ბათუმელი, ყველა ეს წოდება თუ ჯილდო მაშინ ამშვენებს ადამიანს, როცა ის კაცურ – კაცობის ღირსეულ სახელს ატარებს, სწორედ ასეთი იყო ბათუმის საპატიო მოქალაქე, კარგი მეგობარი, მეუღლე, მამა და ბაბუა -მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის დირექტორი რეზო ბოლქვაძე.

„ყრმათა სარდალი“ მოსწავლეებთან
(ფონდი რ-632, საქმე 41)

რეზო ბოლქვაძე თავისი ცხოვრების განვლილ გზას შემდეგი სიტყვებით აღწერს: ”პიონერთა და მოსწავლეთა, ახლა მოსწავლეთა ახალგაზრდობის პარკი – აქედან დაიწყო ჩემი ცხოვრების აღმართ-დაღმართიანი, სიხარულისა და ცრემლიანი გზები, იყო ამაღლება ...ოი...მონატრებავ, ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა....აქ შევხდებით ჩემი ბათუმის ღიმილიან ადამიანებს, ახალგაზრდობას, ღვაწლმოსილ მოხუცებს, შრომისა და სამამულო ომის ვეტერანებს, ხელებდაკოჟრილ მუშებსა და გლეხებს, პოეტებსა და მწერლებს, კულტურისა და ხელოვნების აღიარებულ ადამიანებს, სახელმოხვეჭილ სპორტსმენებს, მსოფლიო ჩემპიონებს, საზოგადო მოღვაწეებს, მთავრობების ხელმძღვანელებს, საზღვარგარეთელ ტურისტებს, სტუმრებს....ჩემი ოჯახის შემადგენლობას, უახლოეს მეგობრებს...პატარებს, ბავშვებს, რომლის გარეშე სიცოცხლე არარაობაა. ჰოი მონატრებავ, მართლაც მასზე ვერაფერს გავცლი. სანატრელი წუთების მხილველი თქვენც იქნებით, იქნებით... გულს ვიჯერებთ მოგონებებით....” მისი გულიდან ამოსული ეს სიტყვები, საკმარისია რ. ბოლქვაძის განვლილი გზის დასახასიათებლად.

რეზო ბოლქვაძეს მრავალ ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ადამიანთან ჰქონია ურთიერთობა, მაგრამ ის ყოველთვის განსაკუთრებულად ამაყობდა მწერალ

გიორგი ლეონიძესთან, მხატვარ ლადო გუდიაშვილთან, აჭარის მიტროპოლიტ მეუფე დიმიტრისთან, მოჭადრაკეებთან მაია ჩიბურდანიძესთან, ნანა ალექსანდრიასთან, გარი კასპაროვთან, ნონა გაფრინდაშვილთან ურთიერთობებით. საარქივო მასალებში მრავლადაა მათ მიერ დატოვებული ჩანაწერები. პარკში ნონა გაფრინდაშვილის ვიზიტებს ეძღვნება სპეციალური ფოტოალბომი.

შეხვედრა მაია ჩიბურდანიძესთან
(ფონდი რ-632, საქმე 44)

გარი კასპაროვი ბათუმში (ფონდი რ-632, საქმე 44)

შეხვედრა ნანა ალექსანდრიასთან
(ფონდი რ-632, საქმე 44)

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა საქართველოს პატრიარქთან, რომლის შესახებაც პირად ფონდში დაცულია უნიკალური ფოტოდოკუმენტი:

საქართველოს პატრიარქი ილია მეორე ბათუმში
(ფონდი რ-632, საქმე 59)

მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში სტუმრობისას (1965 წლის 29 სექტემბერი) გიორგი ლეონიძემ რეზო ბოლქვაძეს უწოდა **„ყრმათა სარდალი":** „შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ბათუმის პიონერთა პარკმა... ლამაზი, მკვირცხლი, მალხაზი, ნიჭიერი ბავშვები..... მათი ტკბილქართულობა, მამულის სიყვარული, ცოდნა, წყურვილი მეტი წარმატებისა, – მალამოდ დაედო ჩემს გულს....და ეს იქ, სადაც სამასი წლის განმავლობაში ქართველი ბავშვი მოწყვეტილი იყო თავის კულტურას, თავის დედა-სამშობლოს... პიონერებო! **არა მგონია დაივიწყოთ თქვენი მზრუნველი ან მოამაგე, ყრმათა სარდალი, ჩვენი საყვარელი რეზო ბოლქვაძე, ნიჭიერი, ხალისიანი, დაუზარელი, დიდად განათლებული, გულითადი ადამიანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი**. ბედნიერებაა ასეთი ხელმძღვანელის ყოლა, დააფასეთ იგი და მიბაძეთ მას..."

ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის აღსაზრდელებს 1974 წლის 23 მაისს სტუმრად ჰყავდათ ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილი, რომელმაც ბათუმელებს კეთილი სურვილები დაუტოვა :

„...პარკის მთელი სანახაობა მეტყველებს დიდებული ორგანიზაციის არსებობაზე, სადაც იზრდებიან ჩვენი ნორჩი თაობები, აქ ყველაფერი ფრიად მაღალ საფეხურზე არის აყვანილი: მოზარდთა სწავლა-განათლება, მათი მორალური, ზნეობრივი, ფიზიკური წვრთნა, აქ მათ სულიერ მხატვრულ და ესთეტიკურ დავაჟკაცებას ყოველმხრივი ხელშეწყობა აქვს.....მწამს, რომ თქვენს მიერ აღზრდილი მომავალი ახალგაზრდა თაობები ასახელებენ ჩვენს საყვარელ სამშობლოს, ვუსურვებ ახალგაზრდობას სწავლაში წარმატებებს, მომავალში მრავალ სიხარულს და ყოველივე კეთილს. ვესალმები უღრმესი მადლობის გრძნობით ხელმძღვანელთა, მასწავლებელ-პედაგოგთა მთელ პერსონალს ვუსურვებ მრავალ გამარჯვებას მათ შემდგომ საქმიანობაში."

1991 წლის 25 ოქტომბრითაა დათარიღებული ბათუმის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის რექტორის, დეკანოზ დავით შიოლაშვილის მიმართვა, რომელიც წმინდა ეგნატე ღმერთშემოსილის სიტყვებით ლოცავს მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის აღსაზრდელებს: **-„სასოება გფარავდეთ ვითარცა მახვილი, სიყვარული ვითარცა ფარი, სარწმუნოება ვითარცა ჩაფხუტი, სიკეთე ვითარცა სრული საბრძოლო აღჭურვილობა," ამინ**. ამ დოკუმენტების ფასეულობა არის ის რომ ისინი ხელნაწერის სახით ინახება კოლექციაში.

რეზო ბოლქვაძე ბუნებით რომანტიკოსი რომ იყო. საარქივო დოკუმენტებში დაცულია მის მიერ შექმნილი პიესების ხელნაწერები, რომელიც სიყვარულს, მოვალეობას, ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემას ასახავს. პიესის ხელნაწერი „სიყვარული და მოვალეობა" – რამოდენიმე ეგზემპლიარია დაცული, რომელზეც ავტორისეული მინაწერებით. ერთ-ერთ ეგზემპლიარზე მიწერილი აქვს: „ვუძღვნი ლია ელიავას, კინო მსახიობს" და აქვეა მიუწერია რუსი პოეტის ალ. პუშკინის სიტყვები:

„მე შენ მიყვარდი მთელი არსებით,
ისე მხურვალედ, ნაზად, ძლიერად, -
ნეტამც ჩემსავეთ სხვამ შეგიყვაროს
და გყოს განგებამ სვებედნიერი"

რეზო ბოლქვაძის პირად ფონდში სათუთადაა შენახული 1974 წლის 30 სექტემბრით დათარიღებული ექსპრონტი, რომელიც ქაღალდის ხელსახოცზე დაუწერია უცნობ ავტორს:

„ქორეოგრაფის ჩუსტებით, გაცვითე მთელი აზია
-ყველა ხმამაღლა იძახდა შეხედეთ რა ლამაზია,
მერე ეკვეთე ამ ჩვენს პარკს, დირექტორი ხარ უცვლელი,
არ მოინახა-არც გვინდა, სხვა ვინმე შენი შემცვლელი
და გეფერებით სუყველა – და ვერვინ გეტყვის თუ რატომ
შენთან ვართ ჩვენო რეზიკო, ათასი წელი „გეყოფა"

1970-2003 წლების პერიოდული პრესის ფურცლებს გამოქვეყნებულ საგაზეთო სტატიებში, მოგონებებში ნათლად ჩანს ის უშრეტი ენერგია, სიყვარული, კაცურ-კაცობა, მეგობრობა, მშობლიური ქალაქის სიყვარული, რასაც მთელი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა რეზო ბოლქვაძემ. ყოველივე ამას იგი კარგად უთავსებდა კარგი შვილის, მეუღლის, მშობლის და ბაბუის როლს.

1999 წლის 25 დეკემბრის „საბჭოთა აჭარის" ფურცლებზე გამოქვეყნდა ჟურნალისტ გულო ნაკაშიძის ინტერვიუ. შეკითხვაზე: „გნებავთ ბატონო რეზო, რაიმეს დამატება?" რეზო ბოლქვაძემ განაცხადა: „.....იმედია, ოდესღაც „მწვანე თეატრის" ადგილზე აშენდება ბავშვთა გართობის ცენტრი ღია ესტრადით....." ამ სიტყვებით ნორჩთა სარდალმა გამოხატა „მწვანე თეატრის" შენობის დანგრევით განპირობებული გულისტკივილი და ჩვენი თაობის ყველა ბათუმელის სურვილი გამოთქვა.

2007 წლის 6 ივლისს განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ სახლში ბათუმის ინტელიგენციამ აღნიშნა ბათუმის საპატიო მოქალაქის რეზო ბოლქვაძის დაბადებიდან 80 და პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წელი. საღამოს უძღვებოდა ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ბიძინა მიქაუტაძე. შთამბეჭდავი იყო იუბილარის შვილთან ქეთევან ბოლქვაძესა და დათო გორგილაძესთან ერთად შესრულებული „განდაგანა". საღამოს დასასრულს იუბილარს მიართვეს შვილებისა და შვილიშვილების მიერ 80 სანთლით გაჩირაღდნებული ტორტი.

რეზო ბოლქვაძე გარდაიცვალა 2007 წლის 25 მაისს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ზ. კომახიძე, რ. ბოლქვაძე , „ვ.ი. ლენინის სახელობის ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი", ბათუმი 1984;
2. ჟურნალი „პიონერი" 1967 წელი, № 3;
3. ასსცსა – ფონდი რ-632, ფოტო: № 30, 31, 32, 41, 42, 44, 47, 59;
4. ასსცსა, ფონდი ი-7; ან 1; საქმ.37-ა, ფურც.10-13.

Guguli Pataridze

Revaz Bolkvadze – director of Batumi youth park

Summary

Among private funds in Archives Administration of Ajara kept private fund of a famous teacher, honorary citizen of Batumi, director of Batumi youth park – Revaz Bolkvadze. Chronological framework covers 1945-2007 years and combines 781 units. Among them are 739 photos.

In collection also kept paper documents, newspaper articles, manuscripts, novels, biography and activities of R. Bolkvadze.

მალხაზ აფრიდონიძე

რაინდობა და საქართველო

„კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო, ნათქვამი არა გვცხვენოდეს,
მსმენლის გულს აბორგოვებდეს, არავის არა სწყენოდეს?“

ჩვენ აქ განვიხილავთ ისეთ საჭირბოროტო საკითხს, როგორიცაა – არსებობდა თუ არა რაინდთა ინსტიტუტი საქართველოში. სხვათა შორის, ეს თავის მხრივ აგვიხსნის, თუ რატომ არ შეიქმნა საქართველოში გერბი.

პირველმა, ვინც აღნიშნა საქართველოში არსებული რაინდული მორალურ–ზნეობრივი პრინციპების მსგავსება ევროპულთან ფრანგი ორიენტალისტი და ქართველოლოგი მარი ბროსე (1802–1880წ.წ.) გახლდათ, რომელმაც 1837 წლის სექტემბერში რუსეთის საიმპერატორო აკადემიის სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში გააკეთა კურტუაზიული ლიტერატურული ნაწარმოების (სათავგადასავლო–საგმირო რომანის) „ამირან–დარეჯანიანის“ ანალიზი, ხოლო მომდევნო, 1838 წელს ეს მოხსენება დაბეჭდა აკადემიის სამეცნიერო ორგანოში – Bulletin Scientifique de L'Academie imperiale des Scieces, III, 1838, Melanges asiaques. მოხსენებაში მ. ბროსე „ამირან–დარეჯანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მაგალითზე აღნიშნავდა ქართველ ერში რაინდული იდეალებისა და ზნე–ჩვეულებების არსებობას, გატარებული იყო აზრი, რომ ორივე ეს ნაწარმოები ქართულ ისტორიულ სინამდვილეს ასახავს და, რომ მათ ბევრი რამ აკავშირებთ დასავლეთ ევროპის რაინდულ მორალურ–ზნეობრივ პრინციპებთან და იდეალებთან. უფრო მოგვიანებით ივ. ჯავახიშვილს მოყავს ტერმინების „ლაშქრისა“ და „სპის“ ძველ ქართულ წყაროებში ხმარების მაგალითები და ასკვნის, რომ ლაპარაკია არა უბრალოდ ჯარზე – „არამედ რომელიღაც მაღალსა და გავლენიან სამხედრო წრეზე, რომელსაც შეუძლიან მეფეს გაუბედოს და თავისი წადილი მოახსენოს“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კ. კეკელიძის მოსაზრება: „იმ სადევგმირო და სამიჯნურო რომანტიკული მოტივების დამუშავება, რომელნიც ასაზრდოებენ ახლად აღმოცენებულ საერო ლიტერატურას, ის „ქალის კულტი“, რომელიც დამახასიათებელია აბსოლუტური მონარქიის ცხოვრებისა და რომელიც ქვაკუთხედია ამდროინდელი საერო ლიტერატურისა, შესაძლებელი იყო მხოლოდ ფეოდალურ–რაინდული საზოგადოების პირობებში“ და საბოლოოდ ასკვნის, რომ „რაინდთა ინსტიტუტი გარკვეულად ჩამოყალიბდა თავისი კორპორატიული ეტიკეტითა და წოდებრივი ტრადიციებით XII საუკუნის ნახევრიდან“. ამგვარ აზრს იზიარებს და კიდევ უფრო შორს მიდის გ. აკოფაშვილი, რომელიც თავის ნაშრომში „რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში“, ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებზე დაყრდნობით, შეეცადა დაემტკიცებინა საქართველოში რაინდთა ინსტიტუტის არსებობა. იგი, ილაშქრებს რა პ. შარიას წინააღმდეგ, რომელიც დაუპირისპირდა ამგვარ შეხედულებებს, არ თვლის საჭიროდ არც რაინდად კურთხევის პროცედურას, უწოდებს რა მას ფორმალურს, და არც კორპორაციების არსებობას: რაინდული ინსტიტუტის დამადასტურებელ მთავარ არგუმენტად მოჰყავს ის, რომ „ყოველი რაინდის კურთხევა იმდენად უმნიშვნელო მოვლენა იყო, ისტორიამ არ შემოგვინახა და გარდა ამისა ისტორიამ არც ვასალად მიღების ცერემონიალი არ შემოგვინახა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვასალიტეტი

საქართველოში არ არსებობდაო“, და საბოლოოდ ასკვნის, რომ საქართველოში „იქმნება ვასალიტეტის სისტემა, ყალიბდება რაინდობა“. (სხვათა შორის, გ. აკოფაშვილი დროსაც მიუთითებს – „VIII საუკუნის დამლევს IX საუკუნის დასაწყისში“. როგორც ვხედავთ გ. აკოფაშვილი კიდევ უფრო შორს წავიდა და კ. კეკელიძისგან განსხვავებით, რაინდული ინსტიტუტის არსებობა საქართველოში 3–4 საუკუნით წინ გადასწია).

ამრიგად, მოსაზრებების საწინააღმდეგოდ შევეცადოთ დავასაბუთოთ ჩვენი შეხედულებები:

I – მ. ბროსე აღნიშნავს საქართველოში რაინდული იდეალების, ე.ი. რაინდული მორალურ–ზნეობრივი პრინციპების არსებობას ქართულ კურტუაზიულ ლიტერატურაში (სარაინდო–საგმირო–სათავგადასავლო „ამირან–დარეჯანიანზე“ და „ვეფხისტყაოსანზე“ დაყრდნობით). ხოლო, ჩვენი აზრით, მორალურ–ზნეობრივი, ეთიკური და ესთეტიკური პრინციპების (თუნდაც რაინდულის) არსებობა ამა თუ იმ ერის ლიტერატურაში ან თავად ერის სოციალურ გარემოში, ან „გავლენიან სამხედრო წრეში ეს ჯერ კიდევ არ ნიშანვს რაინდული ინსტიტუტის არსებობას. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ მსგავს პრინციპებს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში და განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ხალხთა ისტორიაშიც კი ვხვდებით. მით უმეტეს, რომ აკოფაშვილის მიერ რატომდაც მაგალითად მოყვანილ ნ. მარის ნაშრომში სავსებით ნათლად აღინიშნება (რომლის აზრი გ. აკოფაშვილმა უნდა ითქვას, რომ საკმაოდ უცნაურად გაიგო და გადმოგვცა) – "Хочу надеяться, что из-за этого в Грузии не станут а-приорно предпологать польноту европейского рыцарства со всеми его атрибутами"

II – იგივე შეიძლება ითქვას „გავლენიან სამხედრო წრეზეც“;

III – „ქალის კულტი“ არა მარტო აბსოლუტური მონარქიისათვის არის დამახასიათებელი. მას ფეოდალური დაქუცმაცებულობის დროსაც ვხვდებით (სხვათა შორის, უფრო ხშირადაც);

IV – ისეთ „ფეოდალურ–რაინდული“ საზოგადოების პირობებში“, სადაც მოქმედებს ცნობილი ფორმულა – „ჩემი ვასალის ვასალი – ჩემი ვასალი არ არის“, ლაპარაკიც კი ზედმეტია აბსოლუტური მონარქიის, თუნდაც ემბრიონის დონეზე არსებობის შესახებ;

V – გ. აკოფაშვილი არ ითვალისწინებს, რომ საუბარია არა რომელიმე ცალკეული კეთილშობილის რაინდად კურთხევის ცერემონიის შესახებ, უფრო სწორად ამასთან დაკავშირებით ცნობების არარსებობის შესახებ (რომლის ფაქტობრივი მასალა, საქართველოსაგან განსხვავებით, მრავლად შემოგვინახა დასავლეთ ევროპის ისტორიოგრაფიამ), არამედ საერთოდ რაინდული ინსტიტუტის (მისთვის დამახასიათებელი ყველა აუცილებელი ნიშან–თვისებებით, რომელშიც რაინდული მორალურ–ზნეობრივი პრინციპების გარდა, სხვაც ბევრი რამ შედის, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი) შესახებ რაიმე ცნობის უქონლობაზე და არარსებობაზე. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ისტორიამ არ შემოგვინახა ვასალად მიღების ცერემონია, სამაგიეროდ შემოგვინახა ისტორიკოსთა ცნობები და სამართლის ძეგლები, რომლებიც გვაუწყებენ საქართველოში პატრონყმობის ინსტიტუტის ყველა დანარჩენი პრინციპების არსებობას;

VI – განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოთ ნახსენები ავტორი (ივ. ჯავახიშვილის გარდა) სინამდვილეში ეხება ზნეობრივ და არა სოციალურ კატეგორიებს.

ფეოდალურმა ევროპამ რაინდობის ინსტიტუტი წარმოშვა და, მართალია, ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას ამგვარი ინსტიტუტი არ შეუქმნია, მაგრამ არისტოკრატიულ–ელიტარული ფენის ქონებრივ და, რაც მთავარია, გვაროვნულ–ელიტარული უპირატესობის თვითშეგნებამ და მისი დაცვის აუცილებლობამ, მაინც წარმოშვა რაინდული მორალურ–ზნეობრივი პრინციპები, რომელთაც საქართველოშიც განსაკუთრებულად აქცევდნენ ყურადღებას, როგორც კეთილშობილებისა და არისტოკრატობის აუცილებელ და ნიშანდობლივ თვისებას დასასრულ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ: რაინდული მორალურ–ეთიკური და ესთეტიკური პრინციპების ჩამოყალიბება რომელიმე ერში და „გავლენიანი სამხედრო წრის“ არსებობა, არ ნიშნავს და არ გვაძლევს უფლებას, ვისაუბროთ რაინდული ინსტიტუტის ჩამოყალიბებაზე, მით უმეტეს, რომ ამის შესახებ არავითარი ფაქტობრივი მასალა არ მოგვეპოვება.

თითქოს ყველაფერი მზადაა, ყველა პირობა არსებობს, რომ საქართველოში შეიქმნას რაინდთა ინსტიტუტი; ყველაფერი მეტყველებს, რომ საქართველოში არსებობს რაინდული მორალურ–ზნეობრივი კოდექსი; ამაზე მეტყველებს თუნდაც ამ კოდექსის ბრწყინვალე გამოხატულება „ვეფხისტყაოსნი“, მაგრამ მაინც არ ხდება რაინდობა–მხედრობის ინსტიტუტიზაცია. რატომ? – ჩვენი აზრით, ამის ერთ–ერთი მიზეზი გიორგი III მიერ ტახტის უზურპაცია გახლავთ. ვინ არის ამ დროისათვის მეფე – „პირველი თანასწორთა შორის“. ამ დროისათვის ლაპარაკიც ზედმეტია აბსოლუტურ მონარქიაზე, ის რომ დავით აღმაშენებელმა გააერთიანა სახელმწიფო, შეძლო სამეფო ხელისუფლების დაქვემდებარებაში მოექცია სასულიერო ხელისუფლება და ა.შ. ეს მეფე დავითის, როგორც ძალზე ძლიერი პიროვნების, გამოვლინება გახლავთ მხოლოდ; მოკვდა დავითი – „მოკვდა აბსოლუტური მონარქიაც“. ამ დროისათვის არის სენიორი და არის ვასალი, სადაც მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ ნათესაურ კავშირში არიან ისინი – ვასალი შეიძლება იყოს ძმა, შვილი და ა.შ.; რა აკავშირებთ მათ ერთმანეთთან? – „ერთგულების“ ცნება, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, სოციალური იერარქიის მთავარი დასაყრდენი დედაბოძია. გიორგი III შეძლო ამ დედაბოძის შერყევა, შერყვნა და წაბილწვა. ამით დამთავრდა ყველაფერი. ამას მოჰყვა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული „ერთგულების“ ცნების შემქმნელი საზოგადოებრივი სოციალურ–ელიტარული ფსიქოლოგიის სრული განადგურება, რომლის აღდგენისათვის, ისევ საუკუნეები იყო საჭირო. ისტორიის ასპარეზიდან წავიდნენ და გაჰქრნენ „ერთგულების“ იერარქიულ კიბეზე მეფისა და არადიდგვაროვან აზნაურთა შორის მდგარი „შუალედური“ კეთილშობილთა ფენა, დიდგვაროვანნი, რომელთაც თვითონ გიორგი III ეკუთვნოდა და რომელიც თავის მხრივ წარმოადგენდა არა პირველს თანასწორთა შორის, არამედ თანასწორთა შორის თანასწორს, ხოლო, ელიტარულ ფენაში აღმოჩნდნენ არადიდგვაროვანი აზნაურები, რომლებმაც უნდა აღადგინონ ერთგულების ცნება, რაც საზოგადოებაში შექმნილი ფსიქოლოგიის გამო ძალზე რთული და, როგორც შემდგომში გამოჩნდა, აღუსრულებელი ამოცანა გახლდათ. რადგან ახლად შექმნილ „დიდებულებს“, მართალია, პრეტენზია არ ჰქონდათ იმისა, რომ მეფე წარმოადგენდა მათ შორის პირველს, მაგრამ არც უნარი, არც სურვილი და გარკვეული თვალსაზრისით არც დრო არ ჰქონდათ იმისა, რომ სრულად ყოფილიყო აღდგენილი ძველი სოციალურ–იერარქიულ–ფსიქოლოგიური ატმოსფერო; ერთგულების

პრინციპი მათ მიერ შენარჩუნებულ იქნა ზოგადად და ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ მათ არ დავიწყებიათ ტახტის უზურპაცია, რაც სულ მალე, მეფე თამარის დროს გამომჟღავნდა. გავიხსენოთ ინგლისის მეფე ჯონ უმიწაწყლო (1199–1216 წწ.). იგი იყო მეფე ჰენრი II პლანთაგენეთის (1133–1189წ.წ.). უმცროსი შვილი. მისი უფროსი ძმის, ინგლისის მეფის რიჩარდ I ლომგულის სიკვდილის შემდეგ ინგლისის სამეფო ტახტი მემკვიდრეობით ეკუთვნოდა ჰენრი II მეოთხე შვილის, ჟოფრუა ბრეტანელის შვილს – ართურს. ჯონმა ისარგებლა ძმისწულის უასაკობით და ხელთ იგდო სამეფო ტახტი. მეფე ჯონის ტახტის უზურპაციას „თავისუფლებათა დიდი ქარტია“ (The Great Charter. Magna Charta Libertatum) მოჰყვა, მეფე გიორგისას კი – „მეკარვეები“.

ამაზე მეტყველებს იმ დროს შექმნილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც შუა საუკუნეებში შექმნილი რაინდული მორალური კოდექსის მხატვრულად გადმოცემა გახლავთ და ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა მისი ავტორის ვინაობა. ე.ი. ელიტარული ფენის სოციალური იერარქიის რომელ საფეხურზე იდგა შოთა რუსთველი. თუ გავითვალისწინებთ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს და, რაც მთავარია, იმ სოციალურ გარემოს, ეთოსს – იგი აუცილებლად დიდებულია, უფრო დაზუსტებით – დიდებულთა ოჯახის მესამე, უფრო კი მეოთხე შვილი. ვინაიდან სწორედ მხოლოდ მესამე-მეოთხე შვილს, რომელსაც სასულიერო კარიერისათვის ამზადებდნენ (განსხვავებით პირველი, მეორე და ხშირად მესამე შვილისაგან, რომლებიც ერის /საერო/ კაცებად რჩებოდნენ) შეეძლო მიეღო ისეთი ჭეშმარიტად დიდებული განათლება, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი ამჟღავნებს. ე.ი. რუსთველი ელიტარული იერარქიის უმაღლეს საფეხურზე დგას, ანუ იგი თანასწორია, აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმ დროის ავტორს და თანაც დიდებულს, ასეთი ხოტბა ეძღვნა „ერთგულების ფიცის“ დამრღვევი უზურპატორისათვის (ან ჩვენ ვცდებით „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღის დადგენისას და იგი ბევრად უფრო გვიან შეიქმნა). გიორგი III, თუ მართლაც არის გამოყვანილი „ვეფხისტყაოსანში“, ყოველ შეთხვევაში, არა როსტევან მეფის, არამედ ნესტან–დარეჯანის მამის ფარსადანის სახით, ხოლო ტარიელი გიორგი III უფროსი ძმის დავით V (საქართველოს მეფე 1155 წელს. იმეფა 6 თვე) შვილს, ტახტის კანონიერ მემკვიდრეს – უფლისწულ დემეტრეს განასახიერებს. გავიხსენოთ “ხვარაზმშას შვილის ინდოეთს მოსვლა. საინტერესოა ფარსადანის შეკითხვა–საყვედურზე – „თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?“, როგორ ამართლებს თავის საქციელს ტარიელი:

„მე შევუთვალე: „მეფეო, ვარ უმაგრესი რვალისა,
თვარა რად მიშლის სიკვდილსა ცეცხლი სირცხვილთა ალისა,
მაგრა თვით იცით, ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართალისა,
მე თქვენმან მზემან მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა“. (563)
„იცით ინდოთა სამეფო რატომი სრა–საჯდომია!
ერთი და მე ვარ მემკვიდრე; ყველაი თქვენ მოგხდომია.
ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომია;
სამართლით ტახტი უჩემოდ არავის მისახდომია!“ (564)
„ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არ მართალია:
ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გიზის ერთაი ქალია,
ხვარაზმშა დაჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია?
სხვე მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია?!(565)

შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე;
ინდოეთი ჩემი არის, არვის მისცე ჩემგან კიდე.
ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოვფხვრიდე,
სხვას მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე" (566)

სხვას ვის შეეძლო იმ დროის საქართველოში, თუ არა უფლისწულ დემეტრეს, ეთქვა: "სამართლით ტახტი უჩემოდ არავის მისახდომია!". ვის მიმართ შეეძლო შოთა რუსთველს ეთქვა: "მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი; მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!" გარდა ამისა, თუ ავტორი ტარიელში უფლისწულ დემეტრეს არ გულისხმობს, მაშინ საკმაოდ უხერხულ და ორჭოფულ მდგომარეობაში ჩაუყენებია თავისი ნაწარმოების გმირი, რადგან ძალზე "უცნაური" ჭკუისა და ცხოველი ფანტაზიის პატრონი უნდა იყოს კაცი, ცოცხალი მეფის დროს ამტკიცოს, "ინდოეთი ჩემი არის"-ო (აქვე გავიხსენოთ – "ესე ამბავი სპარსული". ტახტის უზურპაცია, თანაც სწორედ ასეთი სახით, რომ სწორედ იმ დროის სპარსეთისათვის იყო დამახასიათებელი). სავსებით შესაძლებელია, რომ ავტორს მხედველობაში აქვს გიორგის III ასულის გათხოვების საკითხი, რამაც უფლისწულისა და დიდებულთა "გამოსვლა" გამოიწვია. დავუბრუნდეთ ისევ ავტორს. ჩვენ ვიცით, რომ გიორგის "გადაუდგა" და უფლისწულს მიემხრო ქართველ დიდებულთა ელიტის აბსოლუტური უმრავლესობა, ვიცით ისიც, თუ როგორ სავალალოდ დამთავრდა ეს ამბავი: უფლისწული დემეტრე სამარცხვინოდ არის მოკლული, ხოლო ყველა დიდებული – დასჯილი, ან გაძევებული; როგორც ჩანს, ავტორიც ამ უკანასკნელთა რიგებშია. და, თუ პალესტინაში აღმოჩენილ ფრესკაზე მართლაც შოთა რუსთაველია, მაშინ ეს ვარაუდი ჭეშმარიტად მისაღებია. გარდა ამისა, ძნელია დაიჯერო ადამიანმა, რომ სამეფო კარმა შთამომავლობას არ შემოუნახა მეფისადმი ასეთი მშვენიერი და განუმეორებელი "ხოტბა-მიძღვნის" ავტორის სარწმუნო ვინაობა.

საქართველოში ვასალიტეტთან, რაინდობასთან და ერთგულების ცნებასთან დაკავშირებით მინდა შევჩერდე სომეხი მემატიანის სტეფანოს ორბელიანის (XII-XIIIსს.) მეტად საინტერესო ცნობაზე, რომელიც გვაწვდის არა მარტო ქართული პატრონყმობის საოცარ მსგავსებას დასავლეთევროპულ ვასალიტეტთან, არამედ გვაფიქრებინებს, რომ ვასალური ერთგულების ფიცი საქართველოშიც დიდად ფასობდა, ვასალიტეტის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი გახლდათ, სრულდებოდა სათანადო, დასავლეთ ევროპის მსგავსი რიტუალით და ისევე წარმოადგენდა სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომ პირთა დამაკავშირებელ რგოლს, რომლისაგან გადახვევა და შერყვნა არღვევდა ვასალიტეტის ყველა დანარჩენ პრინციპს, რომლებზეც აგებული იყო არსებული საზოგადოებრივი სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურა:

" და მიიღო მეფობა მისი დავით, მსგავსმან მამისამან, კაცმან ძლიერმან და ბრძენმან, და ცხოვნდა წელსა ორსა და მოკვდა. და ჟამსა აღსრულებისასა მოუწოდა კათოლიკოსსა და დიდ-დიდთა დიდებულთა და ძმასა თვისსა გიორგის და მცირესა ყრმასა თვისსა დიმიტრის და დაიდვა წინაშე თვისსა თავადი ხატი და განმაცხოველებელი ჯუარი და სახარება და თქვა:

"ჰოი დიდებულნო ქართველო ."

"და მოუწოდა წინაშე იოვანე ორბელიანს, ძესა სუმბატისასა, და აფუცა ყრმისა მისთვის დამარხვად აღთქმისა მის ანდერძისა, და უპყრა ხელი

ყრმასა და მისცა ხელთა იოვანესთა და შევედრა და ყოველნივე იგი დიდებულნი აფუცა, რამეთუ არა ზაკვა ყონ ყრმასა მას ზედა და ოდესცა ასაკულ იქმნეს, სცხონ მას მეფობა. ესე იყო და აღესრულა, და დაიდვა გელათს მამათა თვისთა თანა”.

აქედან ჩანს, როგორც ევროპაში, ასევე საქართველოშიც ვასალური ერთგულების დარღვევა არ ეპატიებოდა არავის, თვით მეფესაც. სტეფანოს ორბელიანის მიერ მოწოდებული ცნობა გვიხსნის იმას, თუ რატომ გადაუდგა გიორგი III (1156-1184წ.წ.) და თამარს თითქმის ყველა დიდებული, რომ ტახტისათვის ბრძოლა მხოლოდ მიზეზს წარმოადგენდა, ხოლო მთავარი უნდა ვეძიოთ არა უფლისწულ დემეტრეს მიერ ტახტის კანონიერ ძიებაში, არამედ ვასალიტეტის ძირითადი და მთავარი პრინციპის – ერთგულების დარღვევაში, რაც არყევდა და საფუძველს აცლიდა პატრონყმობის სოციალურ-პოლიტიკურ და მორალურ კოდექსს.

მეორე მიზეზი, ერთი შეხედვით უცნაური, მაგრამ შესაძლებელია მთავარი მიზეზი, რამაც რაინდობის ინსტიტუტი არ შექმნა, გახლავთ ჯვაროსანთა ლაშქრობები. საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია, ისევე როგორც რელიგიური იდეოლოგია, მიმართული იყო ბიზანტიისაკენ, რომელმაც, მართალია, ჯვაროსნული ლაშქრობების პროვოცირება გამოიწვია, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ბიზანტიაში თავიდანვე ალმაცერად უყურებდნენ ჯვაროსანთ, რაც შემდეგ აშკარა მტრობაში გადაიზარდა.

თავისთავად ცხადია, რომ ჩამოთვლილ მიზეზთა (ვასალური პრინციპების დარღვევისა, პოლიტიკური და რელიგიური იდეოლოგიური ორიენტაციის) გამო საქართველოში არ შეიძლებოდა შექმნილიყო გერბი, რადგან მისი შექმნა სწორედ რაინდობისა და, რაც მთავარია, მისი ინსტიტუტიზაციის შედეგია.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აკოფაშვილი გ. რაინდობა შუა საუკუნეების საქართველოში. თბ.,1992;
2. იასტრებიცკაია ა. XI-XIII საუკუნის დასავლეთ ევროპა. ეპოქა, ყოფა, ჩაცმულობა. თბ.,1981;
3. კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურეს ისტორია. თბ.,1952;
4. სტეფანოზ ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას“-ს ძველი ქართული თარგმანები;
5. რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. თბ.,1941;.
6. ჩხატარაიშვილი ქ. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში. თბ.,1979;
7. ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია. წ.II, თბ.,1928;
8. Бессмертный Ю.Л. Рыцарство и знать X-XII вв. в представлениях современников. -Сб. ИНИОН АН СССР "Идеология феодального общества в Западной Европе: проблемы культуры и социально культурных представлений средневековья в зарубежной историографии". М.,1980;
9. Кардини Ф. Истоки средневекового рыцарства. М.,1987;
10. Шария П. К вопросу о жанровой принадлежности Руставели ииеместовистории мировой литературы. "Литературная Грузия", 1970, № 8;

11. Марр Н. Вступительные и заключительные строфы "Витяза вбарскойкоже". Тексты и разискивания по армяно-грузинской филлологии. СПб.,1910, кн.XII, с.XIII;
12. Оссовская А.П. Рыцарь и буржуа. М.,1987;
13. Barber M. The New Knighthood, Cambridge, 1998;
14. Garnier A.E. -Peerage, baronetage, Knightage. London, 1900;
15. Gautier L. La Chevalerie. Paris 1960;
16. Cohen G. Histoire de la Chevalerie en France au Moyen Age. Paris 1949.

Malkhaz Aphridonidze

Knighthood and Georgia

Summary

Tackles the key issue would be discussed in the article, such as the Knights of the Institute in Georgia. By the way, this, in turn, explains, why a coat of arms didn't not set up in Georgia. Based onmiddle Ages and Armenian and Georgian sources and, also, the Georgian literature discuss the chivalrous ideals of Georgia, that means Chivalrous moral existence (chivalric-heroic-adventure works – "Amirandarejaniani" and "Night in the Tiger's Skin"). In our opinion,moral, existenceethical and aesthetic principles (even chivalrous) among other nations does not mean the institution of chivalry.

თენგიზ პარმაქსიზიშვილი

აკაკის იუბილე სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში

აკაკი წერეთლის სახელი და ავტორიტეტი ყველა ქართველის გულში პოულობდა ბინას. მისი ხასიათი და ბუნება ხალხის სიყვარულს აორკაცებდა. აკაკი ყველგან და ყოველთვის ხალხთან იყო. არც ერთ ქართველი პოეტს საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ იმდენი არ უმოგზაურია, რამდენიც აკაკის. ილია და აკაკი იყვნენ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებაირახტრეები. მათ ჰქონდათ ისეთი მაგიური ძალა, რომელიც სხვადასხვა სარწმუნოებრივი და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად ახდენდა ქართველი ერის კონსოლიდაციას. ილიას მუხანათური მკვლელობის შემდეგ აკაკი წერეთელზე უფრო დიდი ფიგურა ეროვნული ერთიანობის გზაზე არ ჩანდა.

1861 წლიდან სტამბოლში მოქმედებდა ქართველ კათოლიკეთა სავანე, რომელიც დაარსებული იყო მამა პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ. ეს სავანე იყო არა მარტო სასულიერო დაწესებულება, არამედ ეროვნულ-პოლიტიკური და კულტურული ცენტრი. იგი იღწვოდა ოსმალეთის ქვეშევრდომი, თუ იქ ემიგრანტად მყოფი კათოლიკე, მაჰმადიანი და მართმადიდებელი ქართველების გაერთიანებისათვის. საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე (1862-1982 წწ.) სტამბოლის სავანე იმედად ეგულებოდა სამშობლოდან გადახვეწილ, ოსმალეთს შეხიზნულ მილიონობით ქართველს. ამ სავანემ თავდადებით იღვაწა ქართველი მუსლიმების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. იგი იყო ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი და ძმობის ტაძარი.

ქართველთა რიცხვმა სტამბოლში განსაკუთრებით იმატა 1828-1829 და 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების შემდეგ. სამცხე-ჯავახეთის, აჭარის, ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ლტოლვილად იქცა და ოსმალეთში იძულებით გაიხიზნა. ისინი უმეტესად სტამბოლისა და მის გარეუბნებში დასახლდნენ. მონასტერი და მისი საძმო დიდად ეხმარებოდა ყველა ხელმოკლე ქართველს, მიუხედავად სარწმუნოებისა. ბევრი ქართველი მაჰმადიანი ისე დაუახლოვდა მონასტრის საძმოს, რომ ეკლესიაში დადიოდა ქართული ქადაგების მომსასმენად.

1908 წლის 26 აპრილს მონასტერში დიდი ზეიმით აღნიშნეს აკაკი წერეთლის იუბილე. იუბილეზე თავიანთი ოჯახებით მოვიდნენ სტამბოლსა და მის შემოგარენში მცხოვრები ქრისტიანი, თუ მაჰმადიანი ქართველები, რომელთა საგრძნობი ნაწილი აჭარიდან იყო გადახვეწილი ოსმალეთში. ზოგიერთმა მათგანმა დიდ წარმატებას მიაღწია სამხედრო თუ პოლიტიკურ ასპარეზზე. სტამბოლის სავანეს ხშირად სტუმრობდნენ ოსმალეთში მოღვაწე სახელოვანი ქართველები: მარშალი შაქირ-ფაშა ერთგულაშვილი, ახალციხელი, რიზა-ფაშა ათაბეგაშვილი, ოსმალეთის საზღვაო მინისტრი, ართვინელი, ქობულეთელი ისმაილ ელიაშვილი-მსაჯული ოსმალეთის მთავარ კომიტეტში, ოსმან-ფაშა და ალი-ფაშა თავდგირიძეები, შტაბის გენერალი მაჰმუდ-ფაშა თავდგირიძე, მარადიდელი ხასან ფეშმი-ფაშა-პროფესორი, სენატორი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, ოსმალეთის მთავარი მუფთი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ხასან ფეშმი ირემაძე, ზემო აჭარიდან და სხვები.

სტამბოლის ქართველობამ დიდი ხალხმრავლობით და ზეიმით აღნიშნა აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლის იუბილე. აქვე გადაწყდა, რომ მონასტერში გახსნილიყო აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით. ამ ბიბლიოთეკაში დღემდე დაცულია უნიკალური ქართული და უცხოური გამოცემები.

გაზეთი „დროების" კორესპონდენციიდან ვგებულობთ, რომ: „აკაკი წერეთლის იუბილეს ჩასატარებლად და მისი სახელობის ბიბლიოთეკის დასაარსებლად შეწირულობა გადაიღეს: მონასტრის საძმომ, მამა ანდრია წინამძღვრიშვიმა, მაირ-ბეი მემარნემ, კონსტანტინე მირაქიშვილმა, ივანე ბეჟანიშვილმა, პეტრე გიზალიშვილმა, იაკობ და სიმონ ფილოშვილებმა, ანტონ წინამძღვრიშვილმა, პატრი მერაბიმ, მამედ თავდგირიძემ, ვლადიმერ წერეთელმა და სხვებმა" (გაზეთი „დროება" 1909 წ. №25).

გაზეთი „დროება" 1909 წლის 9 მაისს (№101) აქვეყნებს იუბილეს შესახებ ვრცელ კორესპონდენციას. კორესპონდენციას ხელს აწერს „ქართველიშვილი".

იუბილეზე პარაკლისი გადაიხადა მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა პატრი **სტეფანე გიორგაძემ**. სიტყვა წარმოთქვა და საკუთარი ლექსი წაიკითხა სტამბოლში მცხოვრებმა ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ, მწერალმა **იასე რაჭველიშვილმა (მეხუზლამ)**. იუბილეზე დიდებული სიტყვა წარმოთქვა **დომინიკე მოდაშაშვილმა**. მან აღნიშნა: „მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე აკაკის მარტო ეკალი ხვდებოდა გზაზე, მაგრამ მისი დროშა ერთხელაც არ დაწეულა დაბლა და ამიტომაც დაიდგა გვირგვინი ერის სიყვარულისა".

1911 წელს სავანესთან დაარსდა ქართველთა კლუბი. მასში გაერთიანებული იყვნენ სტამბოლში მცხოვრები ქართველები განურჩევლად რწმენისა და ხარისხისა. ისინი ეცნობოდნენ ქართული კულტურის მიღწევებს, სწავლობდნენ ქართულ წერა-კითხვას. იმართებოდა შეხვედრები. ამ შეხვედრებს სულ მცირე 150 ქართველი მაინც ესწრებოდა. მასზე დასასწრებად საქართველოდანაც ჩადიოდნენ ცნობილი ადამიანები: ვახტანგ ღამბაშიძე, მიხეილ და ვლადიმერ წერეთლები, დავით ჩიქოვანი, გერასიმე ნადარეიშვილი, მემედ-ბეგ, ასლან-ბეგ, აბიდინგ-ბეგ აბაშიძეები, ჰაიდარ-ბეგ ბეჟანიძე, ისკენდერ-ეფენდი ცივაძე, ნური-ეფენდი ბერიძე, გიორგი მაჩაბელი, მელიტონ ქარცივაძე, პეტრე სურგულაძე, აკაკი ხოშტარია, ლეო კერესელიძე, ივანე ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები.

1909 წლის აგვისტოში ცნობილი გახდა, რომ ევროპაში მიმავალი აკაკი გზად სტამბულში გაივლიდა. ამ ცნობას სტამბოლის ქართველობა სიხარულით შეხვდა. დაიწყო მზადება მგოსანთან შესახვედრად. 1910 წლის აგვისტოში საფრანგეთში მიმავალი აკაკი წერეთელი სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა მონასტერში გაჩერდა. მონასტრის სასტუმროში აკაკის სპეციალური ოთახი მოუწყვეს, ხოლო მეორე დღეს მასთან შეხვედრის საღამო გაიმართა. საღამოზე პოეტს საკუთარი ლექსი წაუკითხა მონასტერთან არსებული სკოლის მოსწავლემ სოსო ვარდმანიძემ, რომელშიც მგოსანი ქართველთა სულის მნათობად მოიხსენია. ამ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

აკაკის ჩასვლას ელოდნენ რომშიც. მას მიმოწერა ჰქონდა იქ მოღვაწე მიხეილ თამარაშვილთან. რომში მყოფი ქართველი სტუდენტები მოუთმენლად ელოდნენ მგოსანთან შეხვედრას, მაგრამ სამწუხაროდ ეს ვერ მოხერხდა. რუსეთის ხელისუფლება ფხიზლად აკვირდებოდა აკაკის შეხვედრებს. ეს შეხვედრები მიუღებელი იყო მათთვის. ამიტომ იგი სასწრაფოდ გაიწვიეს. მას იმის ნებაც არ მისცეს, რომ სტამბოლის გზით დაბრუნებულიყო საქართველოში. იგი პოლონეთის გავლით უკან გაიწვიეს. აკაკი წერეთლის იუბილეს ფართოდ აშუქებდა გაზეთი „დროება".

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „დროება" 1909 წ. №25;
2. „დროება" 1909 წლის 9 მაისი, №101.

Tengiz Parmaksizishvili

Akaki anniversary in monastery of Istambul Georgian catholics
Suumary

Monastery of Istambul Georgian catholics represented Muslim and Christian Georgians gathering place. There was held a great poet – Akaki Tsereteli anniversary event. This article is dedicated to this event.

თამაზ ფუტკარაძე
ქეთევან ფუტკარაძე

საცხოვრებელი ნაგებობანი არტაანში

(ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის (NFR/196/2-105/14) „არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების“ფარგლებში)

ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და მიკროკლიმატის განსხვავება-კონტრასტულობა უხსოვარი დროიდან ადამიანისათვის სხვადასხვა საცხოვრებელ გარემო პირობებს ქმნიდა.აღნიშნულმა ფაქტორებმა ხელი შეუწყო თანამედროვე და ისტორიული საქართველოს საკმაოდ მცირე ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი ნაგებობების წარმოშობა-განვითარებას ადამია ი., 1967:3) საცხოვრებელი სახლების ტიპების დასადგენად უამრავი მასალა არსებობს, მაგრამ უძველეს ტიპებთან მათი დამაკავშირებელი ხაზი, თავდაპირველი ტიპის თანმიმდევრული ევოლუცია სრულად არაა გამოკვეთილი (დავითაშვილი გ., 1974:3). ამიტომ საკითხის შესასწავლად ავირჩიეთ რამოდენიმე სახლის ტიპი.

ზოგადად, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ადრეული სახეები (XIX საუკუნის ჩათვლით) თანამედროვე ნაგებობათა სახეებთან ერთობლიობაშია წარმოდგენილი.

როგორც ცნობილია, სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს ადრეულ-დასახლების ფორმები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში ადრეული ხანის დასახლებისათვის ნიშანდობლივია ძირითადად მიწურბანიანი საცხოვრებელი სახლები სამეურნეო ნაგებობებით. ფაქტობრივად ყველა კომპლექსი მიწაშია განთავსებული.

დასავლეთ საქართველოსათვის კი დამახასიათებელია ნაგებობათა განაშენიანება მიწის ზედაპირზე.

საკვლევ რეგიონში წარმოდგენილია, როგორც ადრეული ტრადიციული მიწურბანიანი საცხოვრებლები საქონლის სადგომებით, ასევე თანამედროვე, მიწის ზედაპირზე აგებული, შედარებით კეთილმოწყობილი საცხოვრებლები საქონლის სადგომებით.

ადრეული საცხოვრისები უძველესი ტრადიციის მიხედვით მთის ფერდობებზე შენდებოდა, ვინაიდან მთა უფრო დაცული იყო მტრის შემოსევებისაგან, ვიდრე ბარი.

არტაანის ყოფისათვის დამახასიათებელია ბანიანი სახლები. მსგავსი სახლები საუკუნეთა განმავლობაში ტიპიური და ტრადიციული იყო ჯავახეთისა და თრიალეთის ქართული მოსახლეობისათვისაც.არტაანელთა საცხოვრებელი შეესაბამება რეგიონის მკაცრ კლიმატურ პირობებსა და რელიეფს და აკმაყოფილებს ოჯახის საცხოვრებელი და სამეურნეო პირობებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. არტაანის თავისებური კლიმატი და რელიეფი, მეურნეობის ხასიათი და ოჯახის სტრუქტურა განაპირობებს საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ხასიათს, მათ მოცულობით-სივრცით აღნაგობას. კომპლექსში წარმოდგენილია საცხოვრებელი და დამხმარე შენობები. სახლის შიგა ნაწილის დაგეგმარებაში ასახულია ოჯახის სოციალური ფუნქცია, სქესთაშორისი ურთიერ-

თობები, მათი ადგილი და უფლება-მოვალეობანი ოჯახში (საქართველოს ეთ-ნოგრაფია/ეთნოლოგია, 2010:576)

საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყებამდე სამოსახლოდ განსაზ-ღვრულ მთის ფერდობს გამოთხრიდნენ და გაავაკებდნენ წინასწარ გადაწყვე-ტილი გეგმისა და და განზომილების მიხედვით. გავაკებულ ადგილზე მონიშნავ-დნენ ოთკუთხა ფართს ადამიანთა სამყოფისათვის, მის გვერდით კი საქონლის სადგომისათვის. ნაგებობის სიდიდე განისაზღვრებოდა ადამიანთა სულადობი-სა და საქონლის სიმრავლის მიხედვით.

გავაკებულ ადგილზე ოთკუთხედებში ხის ჩივებს მიწაში ჩაარჭობდნენ და სიზუსტე-სისწორის დასაცავად სიგრძესა და სიგანეზე ძაფს გააბამდნენ. მარ-თი კუთხეებით წარმოქმნილი ოთკუთხედების პარალელურად, გაბმული ძაფის გასწვრივ, 50-60 სმ. სიფართისა და 40-50 სმ. სიღრმის თხრილს გააკეთებდნენ, რომელიც შემდგომ ქვებით ამოივსებოდა. შრომა ნადურ ხასიათს ატარებდა და ნათესავ-ახლობლების დახმარებით სრულდებოდა. ნადური შრომა სამადლო საქმედ ითვლებოდა. იგი ამავე დროს უსასყიდლო, მაგრამ სახალისო საქმე იყო. ამიტომ ნადში დაუპატიჟებლადაც მიდიოდნენ. საძირკვლის სიმტკიცისათვის. შეძლებული ოჯახები თხრილში კირხსნარსაც ასხამდნენ.სახლის მეპატრონე საძირკველში საქონლის ბეწვს, ცხენის ძუას და ხურდა ფულსაც ჩაყრიდა, რადგან სწამდა, რომ სახლი ბარაქიანი, თვალშეუვალი და დალოცვილი იქნე-ბოდა.

საცხოვრებელი სახლის კედლის სისქე ბუნებრივ-კლიმატურ პირობების შესაბამისად განისაზღვრებოდა.

მსგავსი ადათ-წესები ვარიაციული სახესხვაობებით არტაანის სოფლებ-შიცაა წარმოდგენილი. ცივი კლიმატური პირობები განაპირობებდა სქელკედ-ლიანი სახლების მშენებლობის აუცილებლობას, რადგან ზამთარში სქელ კედ-ლებში სიცივე ვერ აღწევდა და ინტერიერში სითბოს შენარჩუნებას უწყობდა ხელს, ხოლო ზაფხულში კი პირიქით – ოთახს სიმშრალესა და სიგრილეს უნარჩუნებდა.

მეორეს მხრივ, ქვის სქელ კედლებიანი ნაგებობანი თავდაცვის კარგ საშუ-ალებას წარმოადგენდა. მიწაში განთავსებულ სქელკედლებიან ნაგებობაში მტრის შეღწევა სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მომხვდურმა არ იცოდა მიწის ქვეშ რა წინააღმდეგობა ელოდებოდა. ნაგებობების ერთადერთი ხის კარი მტკიცედ იყო ჩარაზული. კარის შემტვრევის შემთხვევაშიც კი მომხვდური შეიძ-ლება იქედან ცოცხალი ვერ გამოსულიყო. მტრის მიერ საკვამურიდან ცეც-ხლმოკიდებული ნივთის ჩაგდება (რასაც ხშირად ჰქონია ადგილი) უშედეგო იყო, რადგან მაცხოვრებლები ადვილად ახერხებდნენ მის ჩაქრობას.

საინტერესოა ნაგებობათა გადახურვის ტექნოლოგიური პროცესი. ამოშე-ნებული კედლების მთელ სიგრძესა და სიგანეზე ზემოდან დააგებდნენ ტყავშე-მოცლილ მრგვალ ძელებს, რომელთა შორის არსებული სიცარიელე შეივსებო-და 1 მეტრომდე სიგრძის ჭერებით. მასზე 3-4 სმ. სისქის ფიცრებს დააწყობდნენ ისე, რომ სიცარიელე არ დარჩენილიყო. ხოლო ზევიდან 40 სმ-მდე სისქის მიწას დააყრიდნენ და ტკეპნიდნენ ფეხით, ქვის საგორავით, ხის საზეპელათი. ბანის დატკეპნა – ერთ-ერთი ყველაზე შრომატევად საქმიანობას წარმოადგენდა. თუ იგი საგულდაგულოდ არ დაიტკეპნებოდა, წვეთს ჩაუშვებდა. ამიტომ, ეს სამუ-შაო სრულდებოდა ურთიერთდახმარებით, კოლექტიური შრომის გამოყენებით, რაც სათანადო სუფრით მთავრდებოდა.ზოგჯერ მეზობლები დასახმარებლად საკუთარი სურსათ-სანოვაგითაც მიდიოდნენ.

ასეთი მიწატკეპნილი სახურავით – ბანით იყო მომთავრებული კომპლექსში შემავალი ყველა ნაგებობა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მათი ბანი ბრტყელია. მიწატკეპნილი შუა ნაწილში წამოწეული უნდა ყოფილიყო, რათა შენობა დაცული ყოფილიყო წყლის ჩაჟონვისაგან. სიმტკიცისათვის სახურავს ქვემოდან ბოძებსაც უყენებდნენ.

არტაანელთა ნაწილი მაქსიმალურად იყენებს სახლის სახურავს-ბანს. მასზე თესავენ ბალახს, რომელსაც თიბავენ სეზონის მიხედვით. ბანის სიახლოვესვე იმართებოდა კალო, რომელიც ყოველთვის იყო საბძლის მხარეს. მსგავსი თავისებურება და განლაგება დამახასიათებელი იყო თრიალეთელთა ყოფისათვის (ჩიქოვანი თ.,1976:53).

თანამედროვე არტაანშიც საცხოვრებლად მიწური სახურავით, ბანით მომთავრებული ნაგებობებია გამოყენებული, რომლებიც ერთმანეთზე მიყრილ-მიშენებულის შთაბეჭდილებას ტოვებს. სწორედ ბანიანი სახლებისაგან შედგება არტაანელთა ძირითადი საცხოვრებელი ფონდი.

არტაანელთა საცხოვრისის, მისი ინტერიერისა და ექსტერიერის ორგანიზაციული სტრუქტურა ვერ განიხილება იმ ტექნიკური კონსტრუქციული სისტემის გარეშე, რომელიც საფუძვლად დაედო ნაგებობის კომპოზიციურ გადაწყვეტას (დავითაშვილი გ., 1974:16). საცხოვრებლის ინტერიერი იყოფა სხვადასხვა დანიშნულების გარკვეულ ფუნქციონალურ ზონებად: დამრეცერდოიანი დარბაზი, ბოსელი, სათივე, ჩარდახი, თონე, მოსავლისა და პროდუქტების შესანახი სათავსოები, რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ადგილი და ა. შ. ინტერიერის ფორმათა სიმარტივე და სისადავე ქმნის ყველა დეტალის სიმსუბუქის შთაბეჭდილებას. შიგა სივრცე ხასიათდება კომპოზიციური მთლიანობით და ექვემდებარება შენობის მთლიან მხატვრულ გადაწყვეტას.

სოფ. ქოი იალთა

ჩვენი სამეცნიერო მიზანდასახულობის განხორციელება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მდგომარეობას ართულებდა თურქულ-ქურთული კონფლიქტი. იგრძნობოდა დაძაბულობა, ჩნდებოდა ეჭვი ჩვენი ექსპედიციის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ზოგჯერ ისინი ერთმანეთსაც უპირისპირდებოდნენ ექსპედიციასთან განსხვავებული დამოკიდებულებების გამო. შესაბამისად არ გვეძლეოდა ერთ დასახლებულ პუნქტში დიდხანს მუშაობის შესაძლებლობა.

ჩვენი ინტერესების სფეროში შედიოდა საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსის არა მარტო ვიზუალური აღნუსხვა, არამედ ინტერიერისა და ექსტერიერის შესწავლა, საცხოვრებლის თითოეული სათავსოს ფუნქციური დანიშნულება, სამეურნეო დატვირთვა. ამის შესაძლებლობა ყოველთვის როდი გვეძლეოდა. ზოგჯერ სოფელში ნახევარი საათითაც კი ვერ ვჩერდებოდით, რადგან ადგილობრივნი იწყებდნენ ჩვენი იქ ჩასვლის მიზეზების ძიებას, ითხოვდნენ ნებართვის დამადასტურებელ დოკუმენტს, სამართალდამცავ სტრუქურებს აწვდიდნენ ინფორმაციას ჩვენი იქ ყოფნის შესახებ. ასე იყო მაგალითად არტაანის რაიონის სოფელ **დუდუნაში (ეხლ. ბალიქ ჩილარი),** (არტაანი-ჰამაკის გზატკეცილის მე-12 კმ-ზე მდებარე შესახვევიდან 3-დე კილომეტრზე). ჩვენ მხოლოდ იმის გარკვევა მოვახერხეთ, რომ ადგილობრივნი იყვნენ თარაქამები და მათი წინაპრები „ახისკიდან გადმოვიდნენ პირველი მსოფლიო ომის დროს“, რომ ერთ-ერთი რესპონდენტის „ბაბუას ბაბუა თბილისიდან იყო“. გვითხრეს, რომ სოფლის ცენტრში არსებული ეკლესიის ნანგრევები „ერმენების“ იყო. დამხვდურთაგან რამოდენიმე ახალგაზრდა აგრესიულობით გამოირჩეოდა და გვსაყვედურობდნენ, რომ რომ „ჩვენ არ ვიყავით სტუმართმოყვარე ხალხი“, რომ თურქებს „გურჯისტანში პოლიცია მოსვენებას არ აძლევს, გურჯები კი თურქეთში თავისუფლად დასეირნობტო“. იგივე გვითხრეს მეზობელ სოფელშიც. არაა გამორიცხული მათი ასეთი აგრესიულობა უკავშირდებოდეს სამცხე-ჯავახეთიდან ე.წ. თურქი მესხების გასახლების ისტორიულ ფაქტს. ნიშანდობლივია, რომ რეგიონის ბევრი სხვა სოფლისაგან განსხვავებით დუდუნაში მცხოვრები თარაქამები გამოირჩევიან შედარებით მაღალი სამეურნეო და საოჯახო კულტურით, რაც ვიზუალურადაც კარგად ჩანს. სოფელში მრავლადაა ლამაზი, თანამედროვე სახლები. როგორც ჩანს, ქართველებთან მათი წინაპრების თანაცხოვრების პირობებში შეძენილი მაღალი სამეურნეო კულტურა გადმოიტანეს ახალ საცხოვრისში.

შედარებით უფრო თავისუფალი მუშაობის საშუალება მოგვეცა მდ. სულაქლისა და მდ. გუმუშლუ გულის სანაპიროზე მდებარე 30 კომლიან სოფელ ალთაში (ძვ. ური), სადაც მოგვეცა ქალბატონ მედინ ოჯაქის საცხოვრებელი კომპლექსის დათვალიერების შესაძლებლობა. სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქურთები და თურქები არიან. სოფელი მაჰალეებად არაა დაყოფილი.

სოფ. ალთაში, მედინე ოჯაქის საცხოვრებელი

მედინე ოჯაქის კარმიდამო შედგება ეზოსაგან, 200-დე კვ. მეტრის ფართობის საბოსტნე მიწის ნაკვეთისაგან, საცხოვრებელი და სხვადასხვა დანიშნულების სამეურნეო ნაგებობებისაგან (საქონლის სადგომი, სათივე// სამანლიქი, ხალხამი (საქონლის სადგომი ღია ცის ქვეს) თონე)

სოფ. ალთაში, მედინე ოჯაქის საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსი

სამეურნეო კომპლექსში შედის სათბური, რაც იშვიათობას წარმოადგენს არტაანის სინამდვილეში. ამ ზონის სოფლებში არ მოყავთ ბოსტნეული. სათბურში უხვად ჰქონდა მასპინძელს კიტრი (ხაიარ), პომიდორი, მაკიდო, წიწაკა, კარტოფილი. საცხოვრებლისაგან მოშორებით დიდ ფარტობებზე თესავენ ხორბალსაც.

სოფ. ალთაში, მედინე ოჯაქის სათბური

მედინე ოჯაქის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი წარმოადგენს დიდ, კომპლექსურ შენობას, რომლის ჭერქვეშ გაერთიანებულია ადამიანის საცხოვრისი – ერდოიანი დარბაზი, საქონლის ღია და დახურული სადგომი, სათივე, თონე, პროდუქტების შესანახი სათავსო. შესასვლელი გზით ორადაა გაყოფილი. მარჯვენა მხარეს არის ხალხამი ქვის ყორით//ჩეფერით//დუარ-ით (ჩვენთან

ტვარე) შემოსაზღვრული, სათივე და თონე. მარცხენა მხარეს განთავსებულია საცხოვრებელი, ახორი და ბოსტანი სათბურით.

სოფ. ალთაში, მედინე ოჯაქის საცხოვრებელი

არტაანელთა მიწურ-ბანიანი სახლის საოჯახო ყოფის ცენტრს, მისი სოციალური ბუნების განმსაზღვრელს წარმოადგენს ერდოიანი საცხოვრებელი ოთახი, რომელსაც შეიძლება დარბაზი ვუწოდოთ (ჯავახურის მსგავსად). იგი ქვითა და ლამკირით აშენებული ფუნდამენტალური, მტკიცე ნაგებობაა, რომელიც უძლებს საუკუნეებს.

მედინე ოჯაქის მიწურბანიანი სახლი წარმოადგენს ძველნაშენ, დახშულ, ფუნდამენტალურად შეკრულ ქვითკირის დიდ შენობას. სახლს ეზოს მხრიდან აქვს შესასვლელი ცალყურა კარი. საცხოვრებელი სახლი, რომლის გარეთა კედლების სისქე 0,5 მეტრია, შედგება შუა დერეფნის, 4 ოთახის, პროდუქტების შესანახი **ამბარის, აბანოსა და სამეურნეო** დანიშნულების სათავსოსაგან. სახლის შესასვლელი **„კორიდორი“** – შუა დერეფანი 6 მეტრის სიგრძისაა, სიგანე კი შესასვლელში უფრო ფართეა, ვიდრე დერეფნის ბოლო ნაწილი. დერეფნის მარჯვენა მხარეს არის ნოხებდაგებული ქვის იატაკიანი მუთვადი//სამზარეულო. ამ ძველი ყაიდის სათავსოში თანამედროვე ტექნიკაცაა (სარეცხი მაშინა) განთავსებული, ე.ი. შერწყმულია შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ყოფა.

ამ სათავსოში ამზადებენ საკვებს, რომელსაც იქვე მიირთმევენ იატაკზე ფეხმორთხმულები. სკამების ნაცვლად იყენებენ ბალიშებს. მათ არ აქვთ საწოლები, ლოგინები კი ოთახის ერთ კუთხეშია დალაგებული, რომელიც იშლება პირდაპირ იატაკზე – დაწოლის წინ.

საძინებელი

ოთახი სამხრეთის მხრიდან ღია კარებით უკავშირდება აბანოს, ხოლო დერეფნის ბოლოში, მარჯვენა მხარეს განთავსებულია **ხის ამბარი**. ამბარის შესასვლელთან არსებული თავისუფალი ფართი ასევე სამეურნეო ფუნქციითაა დატვირთული. ამბარი//ბეღელი გამოიყენება ფქვილის, ხორბლის, პროდუქტების შესანახად.

ამბარი

საცხოვრებელი სახლის დერეფნის მარცხენა მხარეს არის **ოთურმა ოდასი//მისაღები,** რომლის გვერდით კვლავ ორი საძინებელი ოთახია განთავსებული.

საცხოვრებელი ოთახის ფართი რაციონალურადაა განაწილებული. ოჯახის ყველა წევრს მიჩენილი აქვს თავისი ადგილი.თავ-თავიანთი კუთხე აქვთ საოჯახო დგამ-ჭურჭელს, სხვა ინვენტარს.

ზოგიერთი სახლის შესასვლელის ჭერში ჰორიზონტალურად ჩამოკიდებულ ხის ძელს ხორცის გასახმობად იყენებენ.

მსგავსი კონსტრუქციისა ჩეჩნური წარმოშობის **ოქთაი აქფინარის** საცხოვრებელი ჰანაკის რაიონის სოფ. **ბინბაშაკში (გოგიუბა)**. სახლის ასაკი 40 წელია. სახლს ბრტყელ ბანში დატანებული აქვს სამთვალიანი საშუქე სარკმელი, რომელიც სამზარეულოს ანათებს. ასეთი განათება დამახასიათებელია თითქმის ყველა მიწურბანიანი სახლისა თუ სამეურნეო ნაგებობებისათვის.

ოთახის განათება საშუქე სარკმლებით (სოფ. ბინბაშაკი)

სოფელში ამჟამად 60-მდე ოჯახია, 250-ზე მეტი კი განსახლებულია ქვეყნის დიდ ქალაქებში. რესპონდენტის თქმით სოფელში ცხოვრობენ ჩეჩნები, ქურთები, თურქები, გურჯები, თუმცა მათი ცნობიერება თურქულია და „საჯაროდ მათ წარმომავლობას არ აღიარებენო“. ამ თვალსაზრისით მთხრობელმა ქართველები დაასახელა. ნიშანდობლივია, რომ რესპონდენტმა დაადასტურა ქართველების ცხოვრების კვალი. თავად ოქთაი აქფინარის წინაპრები შუა აზიიდან გადმოსახლებულან ამ სოფელში. საიდან მოხდნენ შუა აზიაში ჩეჩნები, ეს მათ არ იციან. ბინბაშაკში დასახლებულა ოქფაი აქფინარის (რომლის ცოლის ბებია „ახისკიდან ყოფილა”) დიდი ბაბუა. მათ სოფელში დახვედრიათ მდიდარი სომხები, რომლებსაც ახალჩასახლებულებისათვის გაუწევიათ მატერიალური დახმარება და მიწებიც მიუციათ. მათი მეგობრობა სომხებთან დღემდე გრძელდება.

საველე ექსპედიციის პერიოდში შესაძლებლობა მოგვეცა სხვა დასახლებული პუნქტების საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსის შესახებ მოგვეძიებინა მასალები. მიმდინარეობს მოპოვებული მასალების დამუშავება.

სტატიაში წარმოდგენილ მასალას სრულიადაც არ გააჩნია სისრულის პრეტენზია. 2016 წლის ზაფხულში გათვალისწინებულია მორიგი სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის ფარგლებში მოპოვებული მასალებს დამუშავება შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სრულყოფილად წარმოვაჩინოთ არტაანელთა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ტიპოლოგიური თავისებურებანი.

Tamaz Phutkaradze
Ketevan Phutkaradze

Dwellings in Ardahan

Summary

Ardahan is one of the most distinguished region in historical Georgia. Ardahan is characterized with its Bunyan houses. For centuries similar houses was a typical and traditional for Georgian population of Javakheti and Tiraleti. Ardahan peculiar climate and landscape, farming and family structure determines the character and nature of residential and agricultural buildings, including the volume-spatial composition. Exactly these features are discussed in this article.

ფრიდონ ქარდავა

როცა ლეგენდას ეხები

„ავტობიოგრაფია

ნელი ივანეს ასული დუმბაძე

დავიბადე 1917 წლის 17 ივლისს მახარაძის რაიონში, ს. შემოქმედში მოსამსახურის ოჯახში. მამა ივანე გიორგის ძე დუმბაძე იყო სამხედრო პირი, დედა – ლიზა პავლეს ასული ქიქოძე დიასახლისია. საშუალო სასწავლებელი დავამთავრე ქ. მახარაძეში 1934 წელს. ამავე წელს სწავლა გავაგრძელე ქუთაისის პედინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1938 წელს. 1938/39 სასწავლო წლიდან ვმუშაობ ქ. ბათუმში განათლების დარგში. ვმსახურობდი ქართული ენისა და ლირტერატურის მასწავლებლად, გერმანული ენის მასწავლებლად, ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის გამგედ, უფროს ლაბორანტად, განათლების სამინისტროს ინსპექტორად და მეცნიერ-მუშაკად. ვარ უპარტიო. 1938 წლიდან ვირიცხები განათლების პროფესიული კავშირის წევრად. არასოდეს არ ვყოფილვარ პასუხგებაში. ვარ გაუთხოვარი. მყავს დედა ძმა, რძალი და ძმისშვილი „



როდესაც არქივის საცავებში ასეთი სახის ავტობიოგრაფიას წააწყდები შეიძლება გვერდი აუარო, გვერდზე გადადო, ყურადღება არ მიაქციო... თუ არ გაგახსენდება ვინ იყო ნელი დუმბაძე. ერთი რიგითი ინტელიგენტის, თუნდაც კარგი მასწავლებლის, კარგი მეცნიერის, მაგრამ მაინც რიგით ბიოგრაფიად ჩათვლიდი...

და რა კარგია რომ ყველანი ვხვდებით, – ეს ის შემთხვევაა როცა ლეგენდას ეხები...

მახსოვს ზღვისპირა პარკთან, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის გვერდითა კორპუსში მე და ჩემი მეგობარი ვესტუმრეთ ქალბატონ ნელის. ნელი დუმბაძე ცოცხალი ლეგენდა იყო ჩემთვის მაშინ, ჯერაც შორიდან გაცნობილი მეგობრები მიყვებოდნენ მასზე, როგნეტა ზაქარეიშვილი, ბადრი თევზაძე, ზურაბ ფირცხალაიშვილი... იგი ქეთი გიორგაძის და საერთოდ, ყველა სტუდენტის ერთ-ერთი საყვარელი ლექტორი იყო...

ქალბატონი ნელის ერთ-ერთი ყოფილი სტუდენტი ყვებოდა, როგორ გაიცნო თავისი მომავალი ლექტორი; როგორ შემოვიდა კურსზე, როგორ გაუყარა სკამის ფეხი კარის სახელურს შიგნიდან, მოკალათდა სკამზე, აანთო სიგარეტი, ღრმა ნაფაზი დაარტყა და თვალი მოავლო სტუდენტებს... ახლა შეიძლება უფრო არ გაგვიკვირდეს, მაგრამ 70 – იან წლებში ხდებოდა ესო, რომ დავსძენთ, ალბათ ბიტნიკური სურნელი შემოიჭრება უცებ ჩვენთან. ნელი დუმბაძე, ქალი რომელიც ლადო ასათიანის მეგობარი

იყო, ქალი რომელსაც ლადო ასათიანმა ათამდე ლექსი მიუძღვნა, რომელსაც სწერდა წერილებს და ფიქრებსა და დარდებს უზიარებდა „მეგობარო მეგობართა შორის

განსაკუთრებულო დაიკო ნელი...“

„ღამე არის ამ გულივით ბნელი,
დღემ სადამო გულზე დაიკონა,
მწუხარება მოიშორე ნელი,
გაიხარე ჩემო დაიკონა,...“

„... თეთრი ღამე, მთვარის თენთვა,
ჩნდება ჩუმად ჩრდილთან ჩრდილი,
მესმის შენი გულის ფეთქვა,
როგორც ახლა, ისე დილით...“

„... არა და არა, შენ კვლავ ჩვენთან გაიშრიალებ,
რომ კვლავ შემასვა მწუხარების სევდა რძიანი,
არ დაბრუნდები? მაშინ ზეცა დაიგრიალებს
და განრისხდება გურიის ცა ვარსკვლავიანი...“

რაღაც იდუმალი შეგრძნება გიპყრობს როცა კითხულობ ლადოს მინაწერს საკუთარ ლექსზე:

„შენი წერილი წავიკითხე და გავიგე ისე, როგორც უნდა გამეგო, შეიძლებოდა სხვანაირად გამეგო, მაგრამ არ გავიგე, რადგან იგი სხვანაირად არაა დაწერილი. მე მგონია არა – (განსაკუთრებით დასაწყისმა სტრიქონებმა მაფიქრებინა ეს), მაგრამ არა, არა, არ მიფიქრია ასე.- სახლში მივედი, წერილი ისევ წავიკითხე .ავტირდი და აი, ტირილი. ლადო“

საარქივო დოკუმეტები კი გვაწვდიან ცნობებს:

„ წულიკიძის სახ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის
დირექტორს, -

აჭარის სახ. მუზეუმის დირექცია შუამდგომლობს თქვენს წინაშე, რათა ჩვენს მეცნიერ მუშაკს ნელი ივანეს ასულ დუმბაძეს, რომელსაც აქვს სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: „კრიტიკული რეალიზმი დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში“, ნება დართოთ საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარებისა.

აჭარის სახ. მუზეუმის დირექტორის მოადგილე
სამეცნიერო საკვლევო დარგში ვ.კოხრეიძე

საქმმართველი მ. ევგენიძე

რა იციან მშრალმა დოკუმენტებმა, ნოკოლაძის არ იყოს “ქაღალდი არ წითლდება’, უგრძნობია ქაღალდი.

საოცრად სათნო მოხუცი იჯდა სავარძელში და საოცრად იდუმალი და თბილი ინტერესიანი ღიმილით ისმენდა ჩემზე, ჩემზე რა უფრო აფხაზეთის გამო ეხატა დანანებული ღიმილი სახეზე და უფრო სათნოდ ამიტომ მიყურებდა.

უთბილესი მოგონებები სწორედ არქივში დაცულმა მისმა პირადმა საქმემ, გაცრეცილმა ფოლიანტებმა წამომიშალეს.

რაოდენ დამაფიქრებელია ხანდახან საარქივიო დოკუმენტები, რომ არა ზეპირი გადმოცემები, რომ არა ლადოსთან დაკავშირებული ურთიერთობები, ეს ანკეტური მშრალი და ცივი ნუსხები, ინფორმაციები... ხომ არაფრისმთქმელი და არაფრისმაქნისი იქნებოდა შთამომავლობისათვის, ცივი და მშრალი სტატისტიკა.... რომელიც დიდ მნიშვნელობას იძენს როგორც კი სულიერი შრეებით შეივსება, ადამიანური ურთიერობები რომ ქვია და ყველაზე დიდი ფუფუნება რომ იყო ეგზიუპერისთვის...

ნელი დუმბაძე დგას,
ლადოს მარჯვნივ
https://burusi.wordpress.com/2010/04/15/lado-asatiani-16/

და რამდენჯერ შეუქმნიათ ეტყობა ცრუ შთაბეჭდილებები დაწერილ და შემორჩენილ დოკუმენტებს, როცა სხვა რამ ამა თუ იმ პიროვნებაზე დაფარული გახლავთ ანდა პირიქით...

ლადო კი წერდა რადგან გრძნობდა სამყაროსხელა სითბოს ამ ადამიანში ჩაბუდებულს, მისთვის სამყაროსხელა სითბოს:

„მე წინ მიდევს ეგ წერილი ნელი.
საღამოა და სიო ქრის ნელი.

ცა ზე მთვარე არ ანთია, ნელი,
საღამოა სევდიანი ბნელი.
ძნელი არის ფიქრი დაო, ძნელი,
მან დამგრიხა ისე როგორ წნელი.

სანამ ქვეყნად იარსებებს მთვარე,
და კაშკაშა ვარსკვლავები ვრცელი,
ეგ წერილიც გაიხსენებს თვალებს,
მეგობრობის რომ ყოფილა მცველი.

ძმობა მინდა შემოგფიცო, ნ.ი.ა.
ო, რამდენჯერ იგი მინატრია.

და კიდევ, ნელი ისე მიიცვალა, საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია...

რა ცივი და მშრალი სჩანს საარქივო დოკუმენტები ერთი შეხედვით, არადა რა საოცრად თბილი შეგრძნებაა როცა საცავის ფოლიანტებში ლეგენდას ეხები.

Fridon Kardava

When somebody touches the legend
Summary

Neli Dumbadze – professor, an excellent representative of Georgian literature, doctor of philological science was student's favorite teacher. She has worked in Shota Rustaveli State pedagogical Insitute. In Archives Administration of Ajara is protected Neli Dumbadze private fund.

ოთარ გოგოლიშვილი

ფრანგი მოგზაურები აჭარაში

ცნობებს საქართველოში ფრანგთა ჩამოსვლაზე ვხვდებით თამარ მეფის ეპოქიდან, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში, ტრაპიზონის კეისართან ალექსი კომნენოსთან მიმართვებში, აგრეთვე თამარის შექება-ხოტბასთან დაკავშირებით (ქართლის ცხოვრება, 1959:142,146).

მომდევნო ცნობა ეკუთვნის ჟამთააღმწერელს, როცა იგი ეხება ასევე ტრაპიზონის საკეისროს, კერძოდ თემურ ლენგის მიერ კეისრის შვილის შეპყრობას. მის გამოსახსნელად ჩამოსულა საფრანგეთის ელჩი, რომელსაც გაუთავისუფლებია კეისრის შვილი. თემურ ლენგს მისთვის უბოძებია სამეფო სამოსელი, სხვა საჩუქრები და გაუსტუმრებია. ჩვენთვის არაა ცნობილი ამ ელჩის ვინაობა (ქართლის ცხოვრება, 1959:334, 465).

ბერი ეგნატაშვილის ცნობით ფრანგები ესწრებოდნენ ქეთევან დედოფლის წამებას, რომელთაც „აიღეს წმინდანი ნაწილნი წმინდისა ქეთევანისნი ფრანგთა და წარიღეს თვისთა თანა ნაწილად, ხოლო ხელი და მკლავი ბატონს თეიმურაზს გამოუგზავნეს“ (ქართლის ცხოვრება, 1959:402).

1614 წელს საქართველოს ეწვია იეზუიტების ორდენის წარმომადგენელი ლუი გრანჟე (1552-1615). მისი ანგარიშები გამოქვეყნდა 1915 წ. თბილისში. აქ ნათქვამია: „ჩვენ გაგვაფრთხილეს, რომ გაზაფხულის დასაწყისში, ოზენ-ფაშასთან ერთად გავემგზავრებოდით ტრაპეზუნტში, ხოლო შემდეგ სამეგრელოში ფაშას სულთანისაგან დავალებული ჰქონდა სამეგრელოს და გურიის მთავრებთან მოლაპარაკება“.

მისიონერი პირველად კონსტანტინოპოლში ჩავიდა, საიდანაც გაემგზავრა სამეგრელოში. მას თან ახლდა დამხმარე მორჩილი ძმა ეტიენ ვიო და ახალგაზრდა სომეხი თარჯიმანი.

მოგზაურები ერთი თვე ტრაპიზონში შეჩერდნენ, ხოლო აქედან რიზეში ჩავიდნენ: „სოფელი რიზე ჩვენი ფაშას სამშობლოა (ე.ი. ფაშა ლაზია, რ.ს). აქ ცხოვრობს მისი მთელი ოჯახი. ეს სოფელი, სხვა ბევრ სოფელთან ერთად შედის ლაზების ქვეყანაში. სოფლის ტრაპეზუნტის მხარეს ბერძნულად ლაპარაკობენ, ხოლო საქართველოს მხარეს მეგრულად“ (ლაზურად, რ.ს). ლუი გრანჟე ერთ-ერთი პირველთაგანი კარგად აღწერს გამუსლიმანების პროცესს და ამ საქმეში ეკონომიკურ სანქციებს, მძიმე გადასახადებს მათზე, ვინც მაჰმადიანობაზე უარს ამბობდა.

გრანჟემ მოითხოვა გემიდან ნაპირზე გადასვლა, მაგრამ ამის უფლება ფაშამ არ მისცა იმის შიშით, რომ ის მოსახლეობაში ანტიმუსლიმანურ მუშაობას გააჩაღებდა. ასე გაგრძელდა აგვისტოდან ნოემბრამდე. 7 ნოემბერს საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და ათამდე სავაჭრო გალერა ნაპირებზე მიამსხვრია, მრავალი ადამიანი დაიღუპა. გრანჟეს გემი, რომელზედაც ფაშა იყო, მეჩეთზე შეჯდა. ამით ისარგებლა მოგზაურმა, ნაპირზე გადავიდა და ქრისტიანული ქადაგება გააჩაღა.

იმ დროს ფორმალურად აჭარა ოსმალების ხელში იყო, მაგრამ მათი წესწყობილება ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული. ალბათ ამიტომ ამბობს გრანჟე, რომ „ბათუმი ქართული ნავსადგურიაო“. სწორედ ამ ქალაქში ფაშას დესპანმა და გურიის მთავარმა 1614 წლის 13 დეკემბერს ხელი მოაწერეს ზავს, რომლი-

თაც გურიელი ხარკის გადახდას კისრულობდა. ამის შემდეგ გრანჟეს უფლება მიეცა სამეგრელოსაკენ განეგრძო გზა.

გონიოდან ლ. გრანჟე გურიაში გადასულა და სოფელ ბაილეთში გურიელის რეზიდენციაში მთავარს' სწვევია. აქვე შეხვდა ლაზეთის არქიეპისკოპოსს. ამ ფაქტს ე. თაყაიშვილი მაღალ ისტორიულ შეფასებას აძლევს და ამბობს: „„ლაზეთის ეპისკოპოსმა ადგილსამყოფელად ბათუმი, ქობულეთი ან აჭარის სხვა ადგილი კი არ ისურვა, არამედ უფრო დაცული გურია აირჩია". გრანჟე სამეგრელოსაკენ გაემგზავრა, სადაც შეხვდა მეფე თეიმურაზ პირველს.

გურიიდან ლუი გრანჟე სამეგრელოში გადავიდა, აქ ქოლერით გარდაიცვალა მისი მორჩილი ეტიენ ვიო. ქოლერით დასნეულდა გრანჟეც, მან სამკურნალოდ კონსტანტინეპოლს მიაშურა, მაგრამ ჩასვლისთანავე, 1615 წლის 22 მაისს გარდაიცვალა (Сборник материалов по описании местностей и племен Кавквзв. 1915:41-45., ილია ტაბაღუა,1986:5-56).

1847 წლის 31 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა მეცნიერული ქართველოლოგის ფუძემდებელი და ქართველთა დიდი მეგობარი მარი ბროსე (1802-1880). ინტერესით ეცნობოდა ისტორიკოსი საქართველოს სხვადასხვა მხარეს, მაგრამ აჭარაში შემოსვლა ვერ შეძლო. ამის მიზეზი ის იყო, რომ მ. ბროსეს მოღვაწეობდა მთლიანად დაემთხვა ოსმალთა ბატონობას, როცა უცხოელთათვის აჭარაში შემოსვლა თითქმის შეუძლებელი იყო.

ამ მდგომარეობამ ისტორიკოსებს საბაბი მისცა ეთქვათ, რომ მ. ბროსე აჭარის თემით არ დაინტერესებულაო.

ეს არაა სწორი. მისი ჩამოუსვლელობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სამხრეთ საქართველოს, ძველი კოლხეთის და ლაზეთის შესწავლა არ იყო დიდი მეცნიერის სამუშაო გეგმებში. 1856 წლის 16 მარტს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე ბროსემ წამოაყენა წამოაყენა საკითხი, რომ შეესწავლათ იბერიის, მესხეთის, კოლხეთის და ლაზეთის გეოგრაფია უძველესი დროიდან სტრაბონისა და არიანეს დრომდე: საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან მონღოლთა შემოსევიდან (XIII ს) შავ ზღვაზე გამოჩენამდე (რ.დოდაშვილი,1962:116) ე.წ. „სამუსლიმანო საქართველო" საგანგებოდ აისახა მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიაში". ავტორმა ცალკე თავად გამოყო „სამცხე-საათაბაგოს ისტორია", სადაც აჭარას ასევე თავისი ადგილი აქვს დათმობილი.

მთავარი მაინც ისაა, რომ მ. ბროსეს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან, ვინც აჭარის თემაზე მუშაობდნენ და ამ მხარეში მოგზაურობდნენ (დ.ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, რ. ერისთავი და სხვა) (შოთა ხანთაძე,1966:74, 165, 166).

შეიძლება ყველამ არც კი იცოდეს, რომ ჯერ კიდევ 1849 წელს მ. ბროსემ დიმიტრი მეღვინეთუხუცესს შეუდგინა პროგრამა და არქეოლოგიური კვლევის ინსტრუქცია, რომლითაც ხელმძღვანელობდა დ. ბაქრაძე თავისი არქეოლოგიური მოგზაურობის დროს და რომელმაც ასახვა პოვა ავტორის ფუნდამეტურ ნაშრომში Дм. Бакрадзе, 1878; დიმიტრი ბაქრაძე, 1987).

ამიტომ გასაკვირი არაა, ნაშრომის შესავალში გაკეთებული ავტორისეული მიძღვნა-მინაწერი. „ამ ნაშრომს ვუძღვნი საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ორდინალურ აკადემიკოსს მარი ივანეს ძე ბროსეს, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული ლიტერატურის უცნობი და ნაკლებად ცნობილი წყაროების შესწავლას". თვით დ. ბაქრაძის წიგნის ტექსტში მრავალგზისაა

მითითებული ბროსეს „საქართველოს ისტორია“, რაც ამ ორი მეცნიერის მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს.

გიორგი ყაზბეგი სამუსლიმანო საქართველოში ფარულად ჩამოვიდა (1874 წ), როგორც გრიგოლ გურიელის მსახური, ამიტომ ის თავისი მოგზაურობის დამგეგმავებზე, აგრეთვე მოგზაურობის მთავარ შედეგებზე არ საუბრობდა. ამას, როგორც ჩანს, არც საიმპერატორო აკადემიის წევრთა შორისაც ახმაურებდა, მაგრამ მათთან, კერძოდ მარი ბროსესთან კავშირი ჰქონდა დიმიტრი ბაქრაძის მეშვეობით. დ. ბაქრაძეს გიორგი ყაზბეგმა გადასცა 6 უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი, რომლებიც დიდხანს უცნობი იყო სამეცნიერო წრეებისათვის. ერთი მათგანი „ტბეთის სულთა მატიანე“ 1979 წ. გამოაქვეყნა თინათინ ენუქიძემ, ხოლო დანარჩენი 1982 წელს რუსულ ენაზე საურმაგ კაკაბაძემ, თუმცა ამ დოკუმენტების მომპოვებლის ვინაობა მეცნიერთათვის ნაკლებად ცნობილი იყო. ამ ნაკლის შევსებას მიეძღვნა რამაზ სურმანიძის ნაშრომი (რამაზ სურმანიძე, 2008).

ფრანგი მოგზაური ედუარდ ლიოზენი ორჯერ, 1904 წლის აგვისტოში და 1905 წლის ნოემბერში ეწვია აჭარას. თავისი შთაბეჭდილებები მან თბილისში გამოაქვეყნა (Известния Кавказского отдела..., 1905 b, 1906). მოგზაურმა მოინახულა ბათუმი, კახაბერი, სარფი და ლიმანი, გაეცნო აჭარელთა და აფხაზთა ცხოვრებას, სოფლის მეურნეობას (სიმინდი), მეცხოველეობას, ჭოროხზე ნავით მოგზაურობას, ჭოროხის წყალმარჩხებზე ცხენებით გადასვლას. მოგზაურმა დაათვალიერა აგრეთვე გონიოს ციხე და ჩაიწერა, რომ ციხის დასავლეთ კოშკთან იყო წარწერიანი ლითონის დაფა, რომელიც 1877-78 წწ. ომის დროს ოსმალებმა გაიტაცესო. სხვების მსგავსად ე. ლიოზენიც მოექცა არასწორი ინფორმაციის გავლენის ქვეშ და თქვა, რომ ლაზები ციხის აშენებას სულთან სულეიმანს მიაწერენ, სინამდვილეში გენუელების აშენებული უნდა იყოსო. როგორც ცნობილია, ორივე მოსაზრება მცდარია და არაერთგზის შესწორდა.

ამის მიუხედავად ე. ლიოზენმა ბევრი საინტერესო მოვლენა აღწერა, რაც დღესაც არ კარგავდა მნიშვნელობას. იგი ამბობს, რომ 1904 წ. სარფსა და ლიმანში რუსებს ყაზარმა ჰქონდათო, აღწერს ამ ადგილებში აგებულ ლაზურ სახლებს, პატარა ბაზარს, საყავეებს. ხანდაზმულებს მისთვის უთქვამთ, რომ სარფს ადრე აჭყვა ერქვა, სარფი კი ოსმალებმა შეარქვეს, რაც უსუფთაო ადგილს უნდა ნიშნავდესო.

სარფის თავში ე. ლიოზენმა ნახა ეკლესიის ნანგრევი, რომელიც ასევე გენუელების აგებული ეგონა, მაგრამ წააწყდა ქვას, რომელზეც აღმოაჩინა წარწერა „იესო“ რითაც ივარაუდა, რომ ეკლესია კოლონიზატორი ბერძნების აგებული უნდა იყოსო.

სოფლებს დიდ ზიანს აყენებდნენ მახლობელ ტყეებში მობინადრე დათვები და ტახები, რის გამოც დიდი ზარი ჩამოუკიდიათ, რომელიც მცირე ნიავის დროსაც ხმას გამოსცემდა და ნადირს აფრთხობდა. ე. ლიოზენი აღწერს ფორთოხლის ბაღებს, მაღლარ ყურძენს (იზაბელას).

ლაზებში განსაკუთრებით ფართოდ იყო განვითარებული მეთევზეობა, ვაჭრობა, ნაოსნობა. მათ ბათუმში გასაყიდად ჩამოჰქონდათ: ბრინჯი, ფორთოხალი, ვაშლი, თევზი. ლაზების დახასიათებისას ე. ლიოზენი აკრიტიკებს ოსმან ბეის (კალფოღლუ?), რომელიც აუგად იხსენებს ამ უძველეს ქართულ ტომს. თავად ლიოზენი კი ამბობს, რომ ლაზებს სკოლები არ აქვთ, მაგრამ მშვენივრად აზროვნებენ. ლაზი ქალები უცხოელებს ერიდებიან, ბევრს შრომობენ, იცვამენ

სუფთად და მოხდენილადო. ლაზურ ოჯახებში ნაკლებად შეგხვდებათ გაჭირვებული, რადგანაც ისინი ხარჯვაში თავშეკავებულნი არიან.

ე.ლიოზენი მიუთითებს ლაზეთის საზღვრის მდებარეობას (სუ. სარფი), განსხვავებით სხვა ავტორებისგან, რომლებიც საზღვრად ჭოროხს მიიჩნევდნენ.

აჭარლების შესახებ მოგზაური ამბობს, რომ ისინი სტუმართმოყვარე და შრომისმოყვარენი არიან, ლაპარაკობენ სუფთა ქართულ ენაზე, ახლახან ხულოში, ქედასა და მაჭახელაში სკოლებიც გახსნეს, სადაც რუსულად ასწავლიდნენ. ეს კი მოგზაურს მიუღებლად მიაჩნია და აუცილებლად თვლის ამ მხარეში ქართული წერა-კითხვისა და წიგნების გავრცელებას. ჟურნალისტ მ. მერჯანოვთან საუბრისას ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ჟორჟ სიმენონმა (1903-1904) განაცხადა, რომ იგი პირველად ბათუმში ჩამოვიდა 1923 წ. როგორც მეზღვაური. ახალგაზრდა შემოქმედზე მისთვის უცნობ ქალაქს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. იმ დროს ზღვაზე მრავალი უცხოური გემი იდგა. ამიტომ პორტში და საკუთრივ ქალაქში განსაკუთრებული მოძრაობა იგრძნობოდა. მეზღვაურებსა და ადგილობრივ მცხოვრებთ ვაჭრობა გაეჩაღებინთ. მას უნახავს ადგილობრივთა ცეკვები. ქალაქისათვის დამახასიათებელი იყო ხალხის გარეგნული სიჭრელე და სხვადასხვა ენაზე საუბარიო. აქ ყოფნისას მას უნახავს სახედრები და აქლემები. მწერალი მეორედ 1967 წელსაც გვესტუმრა, ამჯერად მეუღლესთან შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად (Газ.„Советская Аджария.“ 27 января 1971 г. Ж. „Неделя“ №2. 1973 с 13).

ფრანგი ხალხის სახელოვანი შვილი მწერალი და სახელოვანი მოღვაწე ანრი ბარბიუსი წერდა: "ამ ადგილებში ბოლო დრომდე სამი ეკლესია იდგა. მათგან ორი ბლინდაჟების გაყვანის დროს მესაზღვრეებმა დაანგრიეს. მესამე, ოკანდელეს ეკლესია ახლაც დგას. შესაძლოა ლიოზენმაც ეს საყდარი ნახა.

ბარბიუსი (1878-193) აჭარაში 1927 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა. როგორც ჩანს, ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავთან დაკავშირებით იგი მოსკოვში მიიწვიეს აქედან კი კავკასიაში ჩამოსვლა ისურვა. 7 ოქტომბერს იგი თბილისში იყო. მას თან ახლდა ალექსანდრე დიუმას (მამა) შვილიშვილი ს. დიუმა.

ანრი ბარბიუსმა საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად მოიარა მესხეთი და აჭარა, დაათვალიერა ისტორიული ადგილები, მატერიალური კულტურის ძეგლები, დეტალურად გაეცნო საქართველოს ისტორიას და იგი თანამედროვეობას შეადარა. სტუმარმა მესხეთიდან გოდერძის უღელტეხილი გადმოიარა და ხულოში გადმოვიდა, გაეცნო მაშინდელ სამაზრო საავადმყოფოს (გაიხსნა 1925 წ), ტაბახმელას სახერხ ქარხანას, დაათვალიერა ახალი გზები და ხიდები, ქოხ-სამკითხველოები, სკოლები. აქედან იგი აჭარისწყლის ხეობით წავიდა ბათუმისაკენ. ნახა ახალი ხიდები შუახევსა და ქედაში (აშენდა 1924-1925 წწ, რომლებიც დღესაც მოქმედებს), გაეცნო აწ ჰესის მშენებლობის მიმდინარეობას („ფახურა“, 18 ოქტომბერი 1927 წ.).

გაზეთ „ფუხარას“ ცნობით სტუმარი მიესალმა აჭარის ცაკ-ის სესიის მონაწილეებს. ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ზღვისპირა აჭარაც, ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ბაღები.

1929 წ. გამოვიდა ანრი ბარბიუსის წიგნი „აი რა უყვეს საქართველოს“. იგი 1930 წ. თბილისში ქართულ ენაზეც გამოსცეს. ერთ-ერთი თავის („საღამოები“) ქვეთავში „ბათუმი“, ავტორი ბათუმს რივიერას ადარებს. „აჭარისტანი, თუ სინამდვილეს ვიტყვით, ერთი დიდი ქვაბი იყო, სადაც ეროვნული და სარწმუნოებ-

რივი შუღლი დუღდა“, ახლა კი ეს არის მრავალფეროვანია, ას კაცში 61 ქართველია, 14 – რუსი, 11 – სომეხი, 8 – ბერძენი, 3 – ებრაელი, რომლებიც ძმურად და ბედნიერად ცხოვრობენო, წერს ავტორი.

ა. ბარბიუსის, როგორც კომუნისტის ჩანაწერებში, ბუნებრივია, იგრძნობა საბჭოთა წყობილების აპოლოგია, რასაც საფრანგეთში ემიგრირებული საქართველოს მთავრობის წევრთა უარყოფითი გამოხმაურება მოყვა, თუმცა მწერალს იქაც გამოუჩნდნენ მომხრეები (კოლერი, ჟორდენი, ლუი და სხვა). მიუხედავად ამისა, ანრი ბარბიუსის ჩანაწერებს იმდროინდელ აჭარის ცხოვრებაზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს (ანრი ბარბიუსი, 1930).

1930 წელს საქართველოში ჩამოვიდა ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლუი არაგონი (1897-1982). მან ორ წიგნად გამოაქვეყნა „საბჭოთა ლიტერატორები“, რომელშიც განხილულია გრ. აბაშიძის, ი. აბაშიძის, გ. ლეონიძის, გ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, შ.დადიანის, ნ. ლორთქიფანიძის, ს. სანშიაშვილის, ა. აბაშელის და სხვათა შემოქმედება. მან თარგმნა კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“. ლ. არაგონის რომანში „ბაზელის ზარები“, ერთ-ერთ პერსონაჟს, მშვენიერ ქრთველ ქალს კატერინა სიმონიძე ქვია (ენციკლობედია. საქართველო. 1997:182). ამ ქალბატონში, ჩვენის აზრით, ბათუმში იმ დროს მცხოვრები ლამაზი ქალი და ქირურგებზე არანაკლებ სახელგანთქმული მედიცინის და მელანია სიმონიძე უნდა იგულისხმებოდეს.სხვადასხვა დროს აჭარას სტუმრობდნენ ფრანგი ხალხის სხვა გამოჩენილი შვილები: მარსელ კაშენი (1869-1958), რენე ლაფონი (1899-1974), მეუღლესთან ალბერტინასთან ერთად, როლან ლერუა (1969წ), ბოტანიკოსი და ეთნოგრაფი ანდრე ოდრიუკერი (1975 წ) და სხვები (ი. ბექირიშვილი, 1975., მისივე, მისივე, 1973).

ფრანგი ხალხის ღირსეული შვილების საქართველოში ჩამოსვლა სხვადასხვა კუთხის, მათ შორის აჭარის დეტალური გაცნობა და ობიექტური შეფასება მნიშვნელოვანი ფურცელია საქართველოს წარსულის შესწავლის, აგრეთვე ფრანგი და ქართველი ხალხის მეგობრობის ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანრი ბარბიუსი. აი რა უყვეს საქართველოს. თბ. 1930;
2. დიმიტრი ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და ჭარაში. (თარგმანი არჩილ ტოტოჩავასი), ბათ.1987;
3. მარი ბროსე, საქართველოს ისტორია. ბათუმი. 1998;
4. იოსებ ბექირიშვილი. აჭარა მეგობრების თვალით. ბათ.1975;
5. იოსებ ბექირიშვილი, რუსი და სხვა მოძმე ხალხების მწერლები აჭარის შესახებ. ბათ. 1973;
6. რუსდან დოდდაშვილი, მარი ბროსე, თბ. 1962;
7. ენციკლობედია. საქართველო. ტ.1. თბ. 1997;
8. რამაზ სურმანიძე. გიორგი ყაზბეგის მოგზაურობისას ტბეთში მოპოვებული დოკუმენტები. ბათ. 2008;
9. ილია ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტ. 2. თბილისი. 1986;
10. ქართლის ცხოვრება. ტ. II. თბ. 1959;

11. „ფახურა“, 18 ოქტომბერი 1927 წ„;
12. შოთა ხანთაძე. მარი ბროსე. თბილისი. 1966;
13. Дм. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре. С. Петербург. 1878 г.
14. Известния Кавказского отдела императорского Российского географического общества (ИКОИРГО) . т. 18. Вып. 3. Тифлис. 1905б 1906;
15. Сборник материалов по описании местностей и племен Кавквзв.Вып, 44 Тифлис, 1915;
16. Газ.„Советская Аджария.“ 27 января 1971 г.;
17. Ж. „Неделя“ №2. 1973 с. 13.

Otar Gogolishvili

French trevelers in Ajara

Summary

At various times, French travelers, writers, public figures have visited Georgia. This article is about them.

ქეთევან ფუტკარაძე

ავტორიტარული, დემოკრატიული და ლიბერალური მიდგომები აღზრდის პროცესში

აღზრდის სტილის კვლევა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. კურტ ლევინი ერთმანეთისგან განასხვავებს აღზრდის სამ სტილს – **ავტორიტარულს, დემოკრატიულსა და ლიბერალურს** (Lewin 1939:36).

ურთიერთობის ავტორიტარული სტილი გამოირჩევა მაღალი კონტროლით და მკაცრი წესებით. იგი ბავშვისგან მოითხოვს უსიტყვო მორჩილებას. ბავშვს აქ პასიური პოზიცია უკავია. აღმზრდელი ცდილობს აღსაზრდელით მანიპულირებას, არ ასწავლის მას საკუთარი ქცევის მართვას, ახორციელებს ფსიქოლოგიურ ზეწოლას მასზე. ამ დროს აღსაზრდელის შესაძლებლობები, პირადი ინიციატივა და შეხედულებები უგულებელყოფილია.

ურთიერთობის დემოკრატიული სტილი წარმოადგენს აღსაზრდელზე ცენტრირებულ აღზრდის სტილს, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის აქტიურ პოზიციას. აღმზრდელობითი ქმედება ტრანსფარენტულია/გამჭვირვალეა. აღსაზრდელი მიიჩნევა პარტნიორად, ზრდასთან ერთად მან უფრო და უფრო დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნებით უნდა იმოქმედოს. აღმზრდელი ქმნის ნდობისა და ურთიერთგაგების პირობებს, უყალიბებს აღსაზრდელს "ჩვენ" დამოკიდებულებას – ერთობლივი ქმედების სურვილს, ასწავლის საკუთარი ქცევის მართვას, დისციპლინა ხდება თვითრეგულირებადი, თვითმართვადი. მაშასადამე, ამ დროს სუფევს ღია კომუნიკაცია, სადაც ბავშვის თვალსაზრისი მოსმენილი და გათვალისწინებულია.

ურთიერთობის ლიბერალური სტილი – უფროსები ცდილობენ თანამშრომლობას, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებისას "საბოლოო სიტყვა" ბავშვს ეკუთვნის.

აღმზრდელებიგამოირჩევიან ზედმეტი ტოლერანტობით აღსაზრდელთა საქციელის მიმართ, ბავშვები იშვიათად კონტროლდებიან, ამიტომ ისინიც ვერ აკონტროლებენ თავიანთ იმპულსებს და დაბალი აქვთ პირადი პასუხისმგებლობის შეგნება.

მრავალრიცხოვანმა კვლევამ გვიჩვენა, რომ **ავტორიტარულად აღზრდილი ბავშვები:**

- არიან კონფორმისტები და ზედმეტად მორჩილები;
- აგრესიულობისკენ არიან მიდრეკილნი;
- ნაკლები სოციალური კომპეტენციით და საკუთარი ღირსების სუსტი გრძნობით გამოირჩევიან;
- ნაკლებად და/ან არასწორად აქვთ განვითარებული კომუნიკაციური უნარები;
- დამოკიდებულნი არიან სხვებზე, არიან პასიურები და ნაკლებად თავდაჯერებულნი;
- განიცდიან დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებისა და პირადი ინიციატივებისგამომჟღავნების უნარის დეფიციტს;

- ცოდნას ნაკლებად არიან მოწყურებულნი;
- ნაკლებად აქვთ განვითარებული შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება;
- ნაკლებტოლერანტულნი არიან.

დემოკრატიული/თანამშრომლობითი აღზრდა ბავშვებს ეხმარება:

- ფსიქოსოციალური უნარების განვითარებაში;
- სოციალური და ინტელექტუალური კომპეტენციების განვითარებაში;
- კომუნიკაციური უნარების გამომუშავებაში;
- პასუხისმგებლობის გრძნობისა და თავდაჯერების განვითარებაში;
- რეალური თვითშეფასების უნარის გამომუშავებაში;
- გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და პირადი ინიციატივის გამომჟღავნების უნარის განვითარებაში;
- ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში;
- ტოლერანტობის უნარის ჩამოყალიბებაში.

პერმისიული/ლიბერალური სტილით აღზრდილ ბავშვებს:

- აქვთ ნაკლები პასუხისმგებლობის უნარი;
- არიან მოუწესრიგებლები, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საქმიანობაში;
- უჭირთ დროის სწორად დაგეგმვა და განაწილება;
- უჭირთ საკუთარი იმპულსებისა და ემოციების მოთოკვა;
- მართალია, არიან გახსნილები სხვებთან ურთიერთობაში, მაგრამ ხშირად არაადეკვატურად იყენებენ კომუნიკაციის საშუალებებს და არასწორად იქცევიან სოციუმში;
- უყალიბდებათ ადეკვატურზე მეტი დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის გრძნობა.

ბავშვები უყურადღებო (ინდიფერენტული) ოჯახებიდან/წრიდან:

- არიან მეტად იმპულსურები და დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილნი;
- არიან ყოველმხრივ ჩამორჩენილები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ:

უკიდურესად გამოხატული ავტორიტარულისტილი ანტიპედაგოგიურია.

ლიბერალური სტილი მიზანშეწონილია ზოგიერთშემთხვევაში (მაგალითად, მაშინ, როდესაც ბავშვს აქვს არაკომპეტენტურობის განცდა, აკლია საკუთარი თავის რწმენა).

ურთიერთობის დემოკრატიული სტილი მეტყველებაღმზრდელის მაღალპროფესიონალიზმზე, მის პოზიტიურ ზნეობრივ მახასიათებლებზე- და ბავშვების სიყვარულზე. ურთიერთობის ამ სტრატეგიის გამოყენება მარტივი არაამაგრამ ის საუკეთესო პირობაა ბავშვის პიროვნების განვითარებისთვის.

სწორედდემოკრატიული სტილით ურთიერთობა უყალიბებს ბავშვს ზემოთ ჩამოთვლილ მთელ რიგ პოზიტიურ უნარებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბალანჩივაძე რ., ანთროპოლოგიური პედაგოგიკა, თბ. 2011;
2. ბერიძე ა., აღზრდის საძირკველი, ბათ. 2009;
3. ბიბილეიშვილი ი., ხახუტაიშვილი ნ., ქართველი ისტორიკოსები აღზრდის შესახებ, ბათ., 2013;
4. გობრონიძე ალ., პედაგოგიკა, თბ. 2000;
5. კანტი ე., თხზ. ექვს ტომად, ტ. 2, რუსულ ენაზე, 1964;
6. Морозова Е., этнокультурный аспектсоциализации школников. Результаты мониторинга. Этнодиалоги. Алманах N1, 2014.

Ketevan Phutkaradze

Authoritarian, democratic and liberal Approaches in the upbringing process

The study off upbringing style was still beginning in 30-ies of XX century. Kurt Levin distinguishes three upbringing styles – authoritarian, democtaric and liberal (Lewin 1939: 36). The article deals with these three styles and are presented their results.

ლელა მჟავანაძე

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების საკითხისათვის საქართველოში

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება – პიროვნების, მისი თვითშეფასებისა და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრების წინაპირობაა. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უფლება, რომელსაც არ გააჩნია დაცვის მექანიზმი არ არსებობს. თუ გვაქვს უფლება, აუცილებელია გვქონდეს ამ უფლების დაცვის ბერკეტი. უფლებათა დაცვის გარანტიები სწორედ ის საფუძვლებია, რის გამოც მიიღება საერთაშორისო თუ შიდა სახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტები.

სიტყვის, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი საყრდენია. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რელიგიური და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრებაში, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია საზოგადოებრივი მშვიდობა და ჰარმონია. ერთი მხრივ, პოლიტიკური თუ მსოფლმხედველობრივი დოქტრინების ადამიანებზე იძულებითმა თავსმოხვევამ, იდეოლოგიურმა წნეხმა და თავისუფალი აზრის ჩახშობამ, ხოლო მეორე მხრივ, ქსენოფობიამ და შეუწყნარებლობამ აუნაზღაურებელი ზიანი მოუტანა ევროპას გასულ საუკუნეში. ამიტომ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებამ კურსი აიღო ადამიანის უფლებათა დაცვის, ტოლერანტიზმის დამკვიდრებისა და ინტერკულტურული დიალოგის გაღრმავებისაკენ.

რელიგიური დემოგრაფიის სერიოზულმა ცვლილებებმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კიდევ უფრო აქტუალური გახადა რელიგიური შემწყნარებლობის სულისკვეთების გაღვივება. ევროპულ ქვეყნებში ამ თავისუფლებათა დაცულობის სტანდარტი ძალიან მაღალია და იგი მნიშვნელოვნად აღემატება დანარჩენ მსოფლიოში არსებულ შესაბამის სტანდარტებს. საქართველოში ამ თავისუფლებათა დაცულობა არ ჩამოუვარდება საერთო-ევროპულ სტანდარტს. საქართველოს კონსტიტუციაში ისინი, ერთი მხრივ, აღიარებულია მე-19 მუხლით, როგორც ადამიანის ძირითადი თავისუფლებანი, ხოლო მეორე მხრივ, განმტკიცებულია კონსტიტუციის სხვა მუხლებით, უწინარეს ყოვლისა, კონსტიტუციის მე-9 მუხლით, რომლის მიხედვითაც *„სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და რელიგიის სრულ თავისუფლებას“* (საქართველოს კონსტიტუცია, 1995).

საქართველო ოდითგანვე დასახლებული იყო სხვადასხვა ეროვნების, კულტურისა და სარწმუნოების ადამიანებით, ამასთან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველები შემწყნარებლობით და ტოლერანტობის გრძნობით გამოირჩეოდნენ, ამაზე მეტყველებს არაერთი ფაქტი ისტორიული მატიანედან, ასევე არაბი ისტორიკოსის ალ ფარიკის თხზულება „მაიაფარიკინის ისტორია“-ში (იბნ ალ-აზრაკ-ფარიკი მაიაფარიკინის ისტორია 1165 წ), არსებობს შემდეგი ჩანაწერი: "მეფე დავითმა დაადგინა, რომ თბილისის იმ უბნებში, სადაც მუსლიმები ცხოვრობდნენ არავის ყოლოდა და დაეკლა ღორი. მან მისცა მათ უფლება თავისუფლად ლოცვისა, მეფე დავითი ისე კეთილად ეპყრობოდა მუსლიმთა სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს, როგორადაც არ ეპყრობოდენ მათ თავად მუსლიმთა შორის".

ილია ჭავჭავაძის აზრით "სარწმუნოების საქმე, სინდისის საქმეა. რა ჩვენი საქმეა ვინ როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის, რა რჯულიც სურს იმ რჯულზე იყოს, მხოლოდ კარგი, პატიოსანი კაცი იყოს, მშრომელი და თავისთვისაც და ქვეყნისათვისაც სასარგებლო" (ჭავჭავაძე ი. "თხზულებანი", 2007:167-169).

აღნიშნულ საკითხს ეხება აგრეთვე ვაჟა ფშაველა: "ჩვენ ვიტყვით კაცნი ჩვენა ვართ, მარტოდ ჩვენ გვზრდიან დედანი, ჩვენ დავსცხონდებით უსჯულოთ კუპრში მოელით ქშენანი, ამის თქმით ვწარა-მარაობთ, ღვთისშვილთ უკეთეს იციან, ყველანი მართალს ამბობენ, განა ვინაცა ჰფიციან?! (ფშაველა ვ. "ალუდა ქეთელაური" 1988).

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი იცავს ადამიანის უფლებას, **სწამდეს ღმერთი, აირჩიოს და აღიაროს ნებისმიერი რელიგია, რწმენა თუ მსოფლმხედველობრივი მრწამსი, იქონიოს და სხვებს გაუზიაროს თავისი შეხედულებანი, იცხოვროს და იმოქმედოს მათ შესაბამისად** (საქართველოს კონსტიტუცია, 1995). იგი მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად, განკერძოებით ან საქვეყნოდ, **გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების შესრულებით**. იგი მოიცავს **ნეგატიურ თავისუფლებასაც** – იყოს ათეისტი და არ გახდეს რომელიმე რელიგიის მიმდევარი, არ აღიაროს ესა თუ ის რწმენა თუ მსოფლმხედველობრივი მრწამსი, უარი თქვას საკუთარი რწმენისა თუ ფილოსოფიური შეხედულებების გამჟღავნებაზე და ა.შ.; კონსტიტუციის მე-19 მუხლი იცავს აგრეთვე სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებას (საქართველოს კონსტიტუცია, 1995).

აზრის თავისუფლება, ფართო გაგებით, გულისხმობს ადამიანის უფლებას, იქონიოს საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხზე. ადამიანს აქვს უფლება, შეიმუშაოს და გააჩნდეს საკუთარი აზრი და შეხედულება როგორც საკუთარი რელიგიისა თუ რწმენის, ისე სხვა რელიგიებისა და რწმენის, ცალკეული რელიგიური დოგმებისა თუ წესების, ეკლესიის როლის, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობისა და სხვა საკითხებზე. 24-ე მუხლით დაცული უფლება გულისხმობს აზრის გამოხატვას არა მარტო სიტყვით, არამედ ნებისმიერი სხვა საშუალებით (მაგალითად, ხელოვნების ნაწარმოებით). თუმცა უნდა გავითვალისწინო, რომ ეს პუნქტი ითვალისწინებს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობას, თუ მათი გამოვლენა ლახავს სხვათა უფლებებს.

რელიგიის თავისუფლებას ეხება ასევე საქართველოს კონსტიტუციის 14 და 38 მუხლებიც. ზოგადად რელიგიის თავისუფლება მოიცავს მისიონერობის უფლებასაც, რაც საკუთარი მრწამსის გავრცელებას გულისხმობს, თუმცა ეს უფლება გარკვეულ პირობებში შეიძლება შეიზღუდოს, მაგალითად უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ ან საერთოდ აიკრძალოს, როგორც პროზელიტიზმი, რომელიც სხვადასხვა ფორმით წარმოადგენს არაერთი ქვეყნის საკანონმდებლო პრაქტიკას (მეტრეველი ა. 2015: 6-26.)

რელიგიის თავისუფლება გამომდინარეობს იმ შინაგანი ღირებულებებიდან რაც ადამიანის პიროვნებას მიეწერება და საბოლოო ჯამში ადამიანის ყველა უფლების საფუძველს ქმნის. ადამიანის რელიგიური უფლებები მჭიდრო

კავშირშია სინდისის ხელშეუხებლობასთან. მათი გარანტირების გარეშე ადამიანის ყველა უფლება დაუცველია.

აღნიშნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით ჩემს მიერ ჩატარებული იქნა გამოკითხვა, რომელშიც შემთხვევითი შერჩევით მონაწილეობა მიიღეს 25 – 55 წლის ასაკობრივი ჯგუფის პირებმა. წინასწარ შედგენილი კითხვარების მიხედვით რესპონდენტს ვუსვამდით კითხვებს და ვავსებდი ბლანკებს. გამოკითხვის დასრულების შემდეგ მოვახდინეთ შეგროვებული ინფორმაციის დამუშავება და კლასიფიცირება, რომელთა ანლიზის შემდეგ გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

- რესპონდენტთა შეხედულებებით, აზრის თავისუფლება ეს არის შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს თავისუფლად ისაუბრო იმაზე, რაც გაწუხებს;
- საკუთარი მოსაზრების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობების შესახებ დასმულ კითხვაზე რესპონდენტთა 68 პროცენტი უარყოფით პასუხს იძლევა;
- რესპონდენტთა 51 პროცენტის შეხედულებით შესაძლებელია განსხვავებული პოზიციის გაზიარება სათანადო არგუმენტაციის შემთხვევაში.
- სინდისი მათი აზრით გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეული ადამიანის ქცევაა, რომელიც არ ლახავს სხვის ღირსებას.

კითხვარის შევსებისას რესპონდენტთა ნაწილს უჭირდა სინდისის შესახებ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა. მათი აზრით არაა საჭირო სკოლებში სინდისის სწავლება, რადგან იგი ოჯახიდან უნდა მოდიოდეს.

ტრადიციული შეხედულებით, სინდისი ადამიანის სულის სიღრმეში არსებული ერთგვარი სასამართლო ან სამსჯავროა (კუკავა თ. 1998:52-59). სინდისი არის კრიტიკის თავისებური ფორმა, სუბიექტური კრიტიკა, არის ადამიანის თავისუფლების, მისი დამოუკიდებელი ნების გამოვლენა, რადგან სინდისის წინაშე ძალას კარგავენ ყოველგვარი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები: სასამართლოები, საგამომძიებლო ორგანოები...

რესპონდენტებთან დასმული კითხვები ეხებოდა რელიგიის თავისუფლების საკითხებსაც.

- რელიგიის თავისუფლებაში რესპონდენტთა უმრავლესობა მოიაზრებს „ადამიანის უფლებას შიშის გარეშე თავისუფლად ემსახურებოდეს მისთვის სასურველ რელიგიას;
- რესპონდენტთა უმრავლესობას აქვს ძალზე მწირი ინფორმაცია სხვა რელიგიების შესახებ, თუმცა აღიარებენ, რომ სკოლაში აღნიშნულ საკითხებზე უტარდებოდათ გაკვეთილები
- გამოკითხულთა დიდი ნაწილი საქართველოში რელიგიის თავისუფლების შესახებ დასმულ კითხვაზე იძლევა ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს, ამავე დროს აღნიშნავენ, რომ რელიგიური ნიშნით ისინი არავის დაუმცირებიათ.

საქართველოსთვის ადამიანთა უფლებები არც უცხოა და არც ახალი. ქვეყნის კანონმდებლობა ჰარმონიულ ნორმათშეთანხმებაშია საერთაშორისო სამართლის ნორმებთან, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც მოწესრიგებას საჭიროებს. დროდადრო ვხვდებით ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს. ამის ნათელი მაგალითია ქალაქ ქობულეთში მომხდარი

გახმაურებული ფაქტი. ახალგაზრდა მხატვრის ლია უკლებას ნამუშევართან დაკავშირებით გამოხატული საზოგადოებრივი რეაქციაც ასეთივე დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, თუმცა მსგავსი ფაქტები შეიძლება მოხდეს კლასიკური დემოკრატიის ქვეყნებშიც. საქართველო მტკიცედ დაადგა განვითარების ევროპულ გზას, რომლისგანაც იგი არასდროს გადაუხვევს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თამარ კუკავა "ეთიკა" თბილისი, 1998;
2. არჩილ მეტრეველი "რელიგიის სამართლის საკითხები" თბილისი, 2015;
3. საქართველოს კონსტიტუცია თბილისი, 1995;
4. საქართველოს ისტორიის სარკვევები, ტომი III, თბილისი, 1979;
   ილია ჭავჭავაძე "თხზულებანი," ტომი XV, თბილისი, 2007;
5. ვაჟა ფშაველა "ალუდა ქეთელაური", თბ. 1988;
6. ყველაფერი ყველაფერზე, თბილისი, 2015.

Lela Mzhavanadze

Issue for the freedom of thought, conscience and religion in Georgia

Summary

The freedom of thought, conscience and religion is one of the main pillars in democratic society. The article presents some of the human rights situation in Georgia.

ფატიმა კახიძე

ქართული პრესა და სალიტერატურო ენის ნორმები

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ფართოდ გაეხსნა გზა პერიოდულ გამოცემებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გაზეთებს: „საქართველოს რესპუბლიკა“, „კვირის პალიტრა“, „აჭარა“, „ბათუმელები“, „ქრონიკა“, „ასავალ-დასავალი“ და ა. შ. სამწუხაროდ, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში მრავლადაა ქართული სალეტერატურო ენის ნორმების უხეში დარღვევის მაგალითები. წინამდებარე ნაშრომში სწორედ აღნიშნული შეცდომების შესახებ გვექნება საუბარი. საილუსტრაციოდ მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდებს ქართული პრესიდან:

„ახალგაზრდობა უნდა შემობრუნდეს რუსთაველის, ილიასა და აკაკის, ვაჟას და გალაკტიონის ენისაკენ. ქართული ენა მოკვდება, მოკვდება ქართველი ერიც, და ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენი თაობა ამას მოესწროს“;

„მოდით, ჩვენც „ქართულად ჴსნილად“-სწორად, თავისუფლად ვიუბნოთ“;

„საკუთარი თვალით ვიხილე, როგორ უვლიან ბელორუსები <u>ტყეებს და ბუნებას“</u> (უნდა იყოს: „ტყეებს და საერთოდ ბუნებას“);

„უბედურების მასშტაბებითა და დამანგრეველი შედეგებით სოხუმის დაცემას საქართველოს ისტორიაში სამი ყველაზე უფრო დაწყევლილი და საბედისწერო <u>ქრონიკა</u> თუ შეედრება“. უნდა იყოს: „საბედისწერო თარიღი თუ შეედრება“. „ქრონიკა“ საზოგადოებრივი მოვლენების, ამბების ქრონოლოგიური აღწერაა, რომელიც სხვადასხვა თარიღს გულისხმობს.

შეუფერებელი სიტყვათშეხამებანი ხშირია მსაზღვრელითა (განსაკუთრებით ატრიბუტული) და საზღვრულით შედგენილ სინტაგმებში.

ატრიბუტული მსაზღვრელი ზედმეტია იმის გამო, რომ მისი მნიშვნელობა საზღვრულშიც იგულისხმება. მაგალითისათვის კვლავ მოვიტანთ ამონარიდებს:

„როგორც ჩანს, <u>წინასწარი</u> პროგნოზი მართლდება; ასეთია წინასწარი პროგნოზი“. პროგნოზი (ბერძნ.) რაიმე მოვლენის წინასწარი განჭვრეტაა. ამიტომ ამ პლეონასტურ გამოთქმაში „წინასწარი“ ზედმეტია.

„ცხოვრება კიდევ ბევრჯერ შეასმევს <u>მწარე</u> სამსალას“. **„სამსალა“** არაბულია, ნიშნავს შხამს, საწამლავს.

„ვისაუბროთ ორი საკურორტო ქალაქის <u>სამომავლო</u> პერსპექტივებზე“; „განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს უკრაინის ნატოში გაწევრიანების <u>სამომავლო</u> პერსპექტივა“; „რა აზრისა ხართ დარგის <u>სამომავლო</u> პერსპექტივაზე?“ „ასე ნაბიჯ-ნაბიჯ შევქმნათ <u>სამომავლო</u> პერსპექტივა“; „<u>მომავლის</u> პერსპექტივა გამოჩნდა“.„პერსპექტივა“ ვისიმე, რისიმე შესაძლებლობანია მომავალში. ამიტომ ამ გამოთქმებში ზედმეტია „მომავლის“ , „სამომავლო“.

„თუ არის გადაუდებელი აუცილებლობა, ვცდილობ, დავეხმარო ყველა მოქალაქეს“; სკოლაში ფსიქოლოგიისა და სოცმუშაკის ინსტიტუტის დანერგვა გარდაუვალი აუცილებლობაა“. რაც გადაუდებელია, ის აუცილებლობაცაა და

პირიქით, ამიტომ უნდა გვეთქვა: თუ აუცილებელია... „აუცილებლობასთან“ შეუფერებელია „გარდაუვალი“.

ცნობილი ენათმეცნიერი – ივანე გიგინეიშვილი, მიმოიხილავდა რა რესპუბლიკური პრესის ენას, სხვა შეცდომებთან ერთად ყურადღებას ამახვილებდა ტავტოლოგიაზეც. „ხშირია გაზეთების ენაში ტავტოლოგიები. ავტორები კი ამის გამო სრულიად არ გრძნობენ უხერხულობას. პირიქით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტავტოლოგია ერთგვარ სტილისტიკურ ხერხადაც კი მიაჩნიათ. ტავტოლოგია მართლაც შეიძლება სტილისტიკის ხერხად იქნეს გამოყენებული, მაგრამ სად და როდის? ამაზე პასუხს არავინ იძლევა“ (გიგინეიშვილი, 20004:117).

ქართული პრესის ენაში გვხდება ტავტოლოგიის „მრავალფეროვანი“ მაგალითები, რომლებიც ხატოვანებას კი არ ანიჭებენ ფრაზას, არამედ აუფერულებენ მას. ა) ფართოდ ვრცელდება შემთხვევები, როცა წინადადებაში მეორდება ერთი და იგივე სიტყვა. მაგ. „საკითხი როგორც ექსპერტები განმრატავენ, შეეხება საკონფლიქტო საკითხებს“; „კვლავ განიხილება ისეთი საკითხები, როგორიცაა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების საკითხებში საქართველოს როლის გაზრდა“; „ერთ ხანს გაცივდა ამერიკა-აზერბაიჯანის ურთიერთობები, მაგრამ მას შემდეგ, რაც ანკარა -ერევნის ურთიერთობები კვლავ ჩიხში შევიდა, ამერიკა-აზერბაიჯანის ურთიერთობები კვლავ გამოსწორდა“; „საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობები უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ურთიერთობებია“ და ა. შ.

პერიოდულ პრესაშივხვდებით სხვა სახის შეცდომებსაც. მაგ. „საქართველოში ჩემი ვიზიტის მიზანია, დავაკვირდე აგვისტოს მოვლენების შემდეგ განვითარებულ ვითარებას“. უნდა იყოს: „საქართველოში ჩემი ვიზიტის მიზანია, დავაკვირდე აგვისტოს მოვლენების შემდეგ შექმნილ ვითარებას“.

ჭარბობს შემთხვევები, როცა მსაზღვრელის ადგილის შეცვლის ან საზღვრულთან დაშორების გამო შეცვლილია წინადადების აზრი. მაგ. „საუბარია კონფლიქტზე, რომლის დროსაც ეძიება უამრავი რუსეთის მოქალაქე დაზიანდეს“;

„ბოლო წლებში თურქეთსაც და საბერძნეთსაც უამრავი რუსეთის მოქალაქე სტუმრობს იქაურ კურორტებზე“. უნდა იყოს: „რუსეთის უამრავი მოქალაქე, სტუმრობს იქაურ კურორტებს“.

წინადადების კონსტრუქციებში ზმნიზედები ხშირად არ არის გამოყენებული სათანადო ადგილას. მაგ: „მოსახლეობა ხელისუფლებისაგან ადგილზე არსებული პრობლემების გადაჭრას დაუყონებლივ მოითხოვს“. ზმნიზედა „დაუყონებლივ“ ამ წინადადებაში უკავშირდება საწყისს, გადაჭრას. სწორია: „მოსახლეობა... პრობლემების დაუყონებლივ გადაჭრას მოითხოვს.

წინადადებათა კონსტრუქციებში ზოგჯერ კურიოზული შინაარსის შეცდომებიც გვხვდება: „ბოლო ორი თვის განმავლობაში სამოცზე მეტი ძროხის პატრონი დააჯარიმეს. ის კი არ დააჯარიმეს, ვისაც სამოცზე მეტი ძროხა ჰყავთ“.

ასეთი „შეუთანხმებლობა უფრო ხშირია რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. მაგ. „ჯონი ხეცურიანი გავრცელებულ ინფორმაციას, რომ შესაძლოა პარტიის გენერალური მდივანი გახდება, უარყოფს“. სწორია: ...შესაძლოა, გახდეს.

პრესის ენაში, საერთოდ თანამედროვე ქართულში ფართოდ ვრცელდება აღწერითი კონსტრუქცია, რომელიც შედგება ზმნისა და საწყისისაგან ან მნშვნელობით მასთან ახლოს მდგომი სახელისაგან. ზმნა არ აღიქმება დამოუკიდებელ კომპონენტად, დაცლილია შინაარსისაგან, დამხმარე სიტყვაა. გამონათქვამის მნიშვნელობა უკავშირდება საწყისს.

აღწერითი კონსტრუქცია ადვილად გადაკეთდება ორგანულ წარმოებად. წინადადების შინაარსის მიხედვით იცვლება შესაბამისი ზმნის საჭირო მწკვრივისა და რიცხვის პირიანი ფორმები. დავიმოწმებთ მხოლოდ რამდენიმე წინადადებას:

„არ ხდება ტექსტის ცოდნის შემოწმება“. უნდა იყოს „არ მოწმდება ცოდნა“ (ან: „არ ამოწმებენ... ტექსტის ცოდნას“).

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევის ცალკეული შემთხვევები. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა გრძელდება. კვლევის შედეგები გამოქვეყნდება მომდევნო სტატიებში.

Fatima Kakhidze

Georgian press and literary language norms
Suumary

In Georgia, many peridocail newspapers and magazines are publishing, among them specials place occupy newspapers: ,,Sakartvelos Respublika”, ,,Kviris Palitra”, ,,Batumelebi”, ,,Ajara”, ,,Kronika”, ,,Asaval-dasavali” and etc. Unfortunately, there are many examples of gross violation of Georgian literary language norms in periodical press articles. In this paper is discussed about these mistakes.

საარქივო დოკუმენტები

(სარედაქციო საბჭო მადლობას მოახსენებს ელგუჯა ჩაგანავას საარქივო მასალები მოიძიებისა და მოწოდებისათვის)

ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება №885

1989 წლის 11 დეკემბერი

ქ. ბათუმის რიგი ქუჩებისათვის სახელწოდების შეცვლის თაობაზე

გაითვალისწინა რა ბათუმის მოქალაქეთა გადამწყვეტი უმრავლესობის მოთხოვნა და სათანადო კომისიის მოსაზრებანი, ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა:

1. ბათუმის ვოროშილოვის ქუჩას გადაერქვას სახელი და ეწოდოს ტბეთის ქუჩა;
   შაუმიანისას – დიმიტრი თავდადებულისა;
   მახარაძისას – ექვთიმე თაყაიშვილისა;
   ცხაკაიასას – ვახტანგ გორგასალისა;
   კიროვისას – 26 მაისისა;
   საბჭოსას – სელიმ ხიმშიაშვილისა;
   სელიმ ხიმშიაშვილისას – ხახულისა;
   წულუკიძისას – დიმიტრი ბაქრაძისა.
   სათანადო სამსახურებმა დაუყოვნებლივ ჩაატარონ საჭირო სამუშაოები.
   მიღებულ იქნას მხედველობაში, რომ კომისია აგრძელებს მუშაობას ქუჩების სახელების მოწესრიგებისათვის.

2. მოწონებული იქნას წინადადება ქალაქში საზოგადოებრივ საწყისებზე რეპრესირებულთა მემორიალის დადგმის თაობაზე, რისთვისაც გამოაცხადდეს კონკურსი დადგენილი წესების შესაბამისად.
   აღნიშნული საკითხის ორგანიზაცია დაევალოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ზ. აფხაზავას.

3. მოწონებული იქნას წინადადება ქალაქის არქიტექტორთა მუზეუმში-სპეციალური კუთხის შექნის თაობაზე, სადაც გამოფენილი იქნება იმ ისტორიულ ძეგლთა მაკეტები, რომელიც განლაგებულია სამცხე-საათაბაგოში.
4.
   აღნიშნული მაკეტების დამზადება ეთხოვოს აჭარის არქიტექტორთა კავშირს, ხოლო საკითხის გადაწყვეტის ორგანიზაცია დაევალოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ზ. აფხაზავას.

ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო
საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
დოლიძე რ.ხ.

ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო
საბჭოს აღმასკომის მდივანი
ნ.ნ.ფირცხალაიშვილი

ასსცსა, ფონდი რ-10, აღწ. 1. საქმე №2909; ფურც. 3,4

22 აგვისტო, 2003 წელი

დადგენილება
გამოჩენილ პიროვნებათა სახელების უკვდავყოფის შესახებ

განიხილა რა ქ. ბათუმის მერიასთან არსებული გამოჩენილ პიროვნებათა უკვდავყოფისა და ქუჩებსა და დაწესებულებებზე სახელების მიკუთვნების კომისიის დადგენილება გამოჩენილ პიროვნებათა უკვდავყოფის შესახებ

მერიის კაბინეტმა დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მიღებულ იქნეს ქ. ბათუმის მერიასთან არსებულ გამოჩენილ პიროვნებათა უვდავყოფისა და ქუჩებსა და დაწესებულებებზე სახელების მიკუთვნების კომისიის წინადადება ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ანგელინა (აიშე) გურგენიძის სახელის უკვდავსაყოფად მის საცხოვრებელ სახელზე (მელიქიშვილის ქ. 23) მემორიალური დაფის გაკეთების შესახებ.
   - მემორიალური დაფის გაკეთებისა და დამონტაჟების ხარჯები გაიღოს ქ. ბათუმის ერიამ.

2. მიღებულ იქნეს ქ. ბათუმის მერიასთან არსებულ გამოჩენილ პიროვნებათა უკვდავყოფისა და ქუჩებსა და დაწესებულებებზე სახელების მიკუთვნების კომისიის წინადადება დიდი სამამულო ომის ვეტერანის, ლენინგრადის ბლოკადის მონაწილის, საქათველოსა და აჭარის დამსახურებული ექიმის ლიუდმილა იორდანეს ასული გვალიას სახელის უკვდავსაყოფად მის საცხოვრებელ სახლზე (ერას ქ. 66) მემორიალური დაფის გაკეთების შესახებ.
   - მემორიალური დაფის გაკეთებისა და დამონტაჟების ხარჯები გაიღოს ქ. ბათუმის მერიამ.

3. მიღებულ იქნას ქ. ბათუმის მერიასთან არსებულ გამოჩენილ პიროვნებათა უკვდავყოფისა და ქუჩებსა და დაწესებულებებზე სახელების მიკუთვნების კომისიის წინადადება გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის დავით მამულაძის სახელი ეწოდოს 26 მაისის ქუჩას ჭავჭავაძის ქუჩიდან ბაგრატიონის ქუჩამდე.
   - დაევალოს მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურს (რ. აბაშიძე) შეიტანოს ტექნიკური ცვლილებები სათანადო დოკუმენტაციაში.

   დაევალოს შპს ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის სამმართველოს (ჯ. გორგილაძე) უზრუნველყოს ქუჩის ფირნიშების შეცვლა.

4. მიღებულ იქნას ქ. ბათუმის მერიასთან არსებულ გამოჩენილ პიროვნებათა უკვდავყოფისა და ქუჩებსა და დაწესებულებებზე სახელების მიკუთვნების კომისიის წინადადება ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის მამია ვარშანიძის სახელის უკვდავსაყოფად მის საცხოვრებელ სახლზე (ბარათაშვილის ქ. 14) მემორიალური დაფის გაკეთების შესახებ.
   - მემორიალური დაფის გაკეთებისა და დამონტაჟების ხარჯები გაიღოს ქ. ბათუმის მერიამ.

5. მიღებულ იქნას ქ. ბათუმის მერიასთან არსებულ გამოჩენილ პიროვნებათა უკვდავყოფისა და ქუჩებსა და დაწესებულებებზე სახელების მიკუთვნების კომისიის წინადადება ცნობილი სახელმწიფო და სამეურნეო მოღვაწის, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი პირველი მოადგილის დავით ჯაფარიძის სახელის უკვდავსაყოფად მის საცხოვრებელ სახლზე (რუსთაველის ქ. 10) მემორიალური დაფის გაკეთების შესახებ.
   - მემორიალური დაფის გაკეთებისა და დამონტაჟების ხარჯები გაიღოს ქ. ბათუმის მერიამ.

6. მიღებულ იქნას ქ. ბათუმის მერიასთან არსებულ გამოჩენილ პიროვნებათა უკვდავყოფისა და ქუჩებსა და დაწესებულებებზე სახელების მიკუთვნების კომისიის წინადადება ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ აბელ სურგულაძის სახელის უკვდავსაყოფად მის საცხოვრებელ სახლზე (გ. ბრწყინვალის ქ. 23) მემორიალურ დაფის გაკეთების შესახებ.
   - მემორიალური დაფის გაკეთებისა და დამონტაჟების ხარჯები გაიღოს ქ. ბათუმის მერიამ.

7. მიღებულ იქნას ქ. ბათუმის მერიასთან არსებულ გამოჩენილ პიროვნებათა უკვდავყოფისა და ქუჩებსა და დაწესებულებებზე სახელების მიკუთვნების კომისიის წინადადება ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ყოფილი თავმჯდომარის დავით დიასამიძის სახელის უკვდავ-

საყოფად მის საცხოვრებელ სახლზე (რუსთაველის ქ. 33) მემორიალურ დაფის გაკეთების შესახებ.
- მემორიალური დაფის გაკეთებისა და დამონტაჟების ხარჯები გაიღოს ქ. ბათუმის მერიამ.

8. მიღებულ იქნას ქ. ბათუმის მერიასთან არსებულ გამოჩენილ პიროვნებათა უკვდავყოფისა და ქუჩებსა და დაწესებულებებზე სახელების მიკუთვნების კომისიის წინადადება ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ჯემალ ქათამაძის სახელის უკვდავსაყოფად მის საცხოვრებელ სახლზე (ჯემალ ქათამაძის ქ. 40) მემორიალურ დაფის გაკეთების შესახებ.
- მემორიალური დაფის გაკეთებისა და დამონტაჟების ხარჯები გაიღოს ქ. ბათუმის მერიამ.

9. მემორიალური დაფების ესკიზები შეთანხმდეს ქ. ბათუმის მთავარ არქიტექტორთან (ვ. გოგავა).

10. მიღებულ იქნას ქ. ბათუმის მერიასთან არსებულ გამოჩენილ პიროვნებათა უკვდავყოფისა და ქუჩებსა და დაწესებულებებზე სახელების მიკუთვნების კომისიის წინადადება და ქალაქ ბათუმის რეკონსტრუქციისა და განაშენიანების საქმეში მიღწეული წარმატების, კვალიფიციური საინჟინრო კადრების აღზრდის, ავტონომიურ რესპუბლიკაში მატერიალური კულტურის ძეგლების აღდგენა-შენახის, მუზეუმებისა და სხვა კულტურის ქსელის განვითარების საქმეში მიღებული წარმატებების, მრავალი პუბლიცისტური, ნაშრომების გამოქვეყნებისათვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს ჰუმანიტარული აკადემიის წევრს, საქართველოს მწერალთა და არქიტექტორთა კავშირების წევრს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერსა და კულტურის დამსახურებულ მოღვაწეს, აბუსერის ძე ტბელის სახელობის სახელმწიფო, ფრიტიოფ ნანსენის საერთაშორისო და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატს თეიმურაზ დავითის ძე კომახიძეს მიენიჭოს ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება.

11. ბათუმის სამედიცინო სამსახურის განვითარებაში, ქალაქის საკურორტო-სარეკრეაციო რესურსების შესწავლა-გამოყენებაში, ქალაქისათვის ღვაწლმოსილი პიროვნებების ცხოვრების უცნობი მასალების მოძიებისა და ქალაქის ღირშესანიშნაობათა პოპულარიზაციაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, აგრეთვე ნაყოფიერი სამწერლო, ჟურნალისტური, პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, მწერალსა და მეცნიერს, საქართველოსა და აჭარის დამსახურებულ ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ურთიერთობის საქართველოს ცენტრის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარეს აბუსერისძე ტბელის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, თამაზ სურმანიძეს მიენიჭოს ქალაქ ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება.

12. მიღებულ იქნას ქ. ბათუმის მერიასთან არსებულ გამოჩენილ პიროვნებათა უკვდავყოფისა და ქუჩებსა და დაწესებულებებზე სახელების მიკუთვნების კომისიის წინადადება ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით აჭარის პირველი მფრინავი ქალის ფადიკო გოგიტიძის ბიუსტის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკიდან ყოფილი აეროკლუბის ტერიტორიაზე გადატანის შესახებ (ინასარიძის ქ.).

13. მიღებულ იქნას ქ. ბათუმის მერიასთან არსებულ გამოჩენილ პიროვნებათა უკვდავყოფისა და ქუჩებსა და დაწესებულებებზე სახელების მიკუთვნების კომისიის წინადადება ქალაქის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით მემედ აბაშიძის გამზირზე მდებარე №52 სახლიდან ილია ჭავჭავაძის მემორიალური დაფის დროებით ჩამოხსნის შესახებ.

14. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელე-რადიო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, გაზეთების „აჭარა”-ს, „ადჟარია”-ს, „ბათუმი”-ს რედაქციებს აღნიშნული დადგენილების გამოქვეყნება.

15. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მერიასთან არსებულ გამოჩენილ პიროვნებათა უკვდავყოფისა და ქუჩებსა და დაწესებულებებზე სახელების მიკუთვნების კომისიის თავმჯდომარეს ჯამბულ ნინიძეს.

ქალაქის მერი გ. აბაშიძე

ასსცსა, ფონდი რ-10, აღწ. 1. საქმე №2909; ფურც.196-199

ძველი პრესის ფურცლებიდან

ლუკა ასათიანისა და ივანე მესხის წერილები

(მასალები მოგვაწოდა პროფ. ოთარ გოგოლიშვილმა)

„დროების" კორესპონდენცია

ქუთაისი – 6 მაისს. ტრუპპამ კარგი დრო ამოირჩია წარმოდგენის მოსაცემად, ამიტომ, რომ მთელი გუბერნიის თავადაზნაურობა აქ იყვნენ ბანკის წლის ანგარიშის გასარჩევად და დირექტორის ასარჩევად, და ამის გამო ხალხი საკმაოდ დაესწრო წუხანდელ წარმოდგენაში.

წარმოადგინეს გიორგი წერეთლის დრამა „ოჯახის ასული" და ოდეველი ი. ვ. მესხისაგან გადმოთარგმნილი „ჰერკულესი".

წარმოდგენა დრამის პირველი მოქმედებისა ძალიან უხეიროთ წავიდა ამისათვის, რომ დაბლა ლაპარაკობდნენ აქტიორები და ხალხს არ ეყურებოდა-რა, როდესაც თავი მოაბეზრეს მოთამაშეებს – „ხმა-მაღლა დახმა-მაღლა" პატარა მაშინ გაბედეს ხმა-მაღლა ლაპარაკი. ამ უსიამოვნო დროს გამოვიდა სცენაზედ დომენტის შვილი გრიგოლ, – პოლკის აფიცერი, რომელსაც არდგენდა კ.მესხი და ხალხში სიხარული ჩამოაგდო: სწორეთ რომ გინახავთ დახელოვნებული აფიცერი – ეს იყო. პირ-მოთნიობით ჰპირდებოდა მამას ფულებს ქალის გათხოვებისათვის. განსაკუთრებით ჩინებულად წარმოადგინა ის ადგილი, როდესაც უანბობს სახლობას, როგორ მოუხდათ პლევანში ომი და როგორ იბრძოდნენ:, ისეთ-ნაირად ხელოვნურად გამოხატა სცენაზედ ზარბაზნის ქუხილი, რომ დედმამა, სიძეები თუ დები დაილივნენ შიშით.

ერთი ამათი სიძე (მარჯანოვი) ისეთ გაბუცებული შესცქეროდა და ისეთ ნაირათ დაეჭო პირი, ორასი ბუზი რომ ყოფილიყო ყველას გადაყლაპავდა. ჩინებულათ გამოხატა აგრეთვე ის შიში და ნაღველიც, როცა დისა და სიძის სადღეგრძელოს სვამდა ბაკალით და ამ დროს უეცრად გუბერნატორის ჩინოვნიკი შემოვიდა და უთხრა, რომ გუბერნატორი გემხისო. კარგად გამოხატა დედ-მამასთან გამოთხოვება ოდესაში რომ მიჰყავდათ ფულების შეჭმისათვის, თუმცა ბრამეოს ხალხით აღარა გვესმოდა-რა, მაგრამ ამ მომენტში ხალხში სიჩუმე შეიქნა, ბევრს მაყურებელს შენიშნავდით თვალებზე ცრემლებს...

დომენტი გორდელაძე (მამა ამისი) უფ. ხვითელი (იგივე იგნატიევი) ჩინებულათ თამაშობს ყველა როლებს, მხოლოდ ხან და ხან ცოტათი აპტყელებს ხოლმე სიტყვებსა. ეფ. კლდიაშვილისამაც კეთილ სინდისიერად და ხელოვნურად შეასრულა თავის როლი: მაგრამ სახე გამოცვლილი არა ჰქონდა (გრიმიროვკა), იმავე კაბით და ლენტით სარტყელით იყო სცენაზედ, რომლითაც ქალაქში დილით დაიარებოდა: ამის გარდა მაყურებელი სრულებით ვერ შეატყობდა, რომ ეს იმდენი შვილების დედა იყო, რადგანაც ყმაწვილი ქალის სახე ჰქონდა და ეს ნაკლულევანება ეფექტს უკარგავდა ამისთანა ნიჭიერ მოთამაშეს.

ო. აბაშიძესაც თამამად გამოდიოდა სცენაზედ, მზითვის ფულებისთვის კინაღამ დაარჩო დედ-მამა, მხოლოთ გულ-გრილათ ელაპარაკებოდა დედას, ერთ და იგივე ხმაზედ.

მარ. განგესოვისა ამ გვარ თამაშობაში არ გამოდგება, მოსამძიმრე როლი მისცენ, ჩინებულად ითამაშებს.

დანარჩენ აქტიორებს ეტყობოდათ, რომ ჯერ სცენისა ბევრი არ იციან რა: ისეთი გამოჭიმულები იდგნენ, თითქო ახლათ გამოყვანილი სალდათები არიანო, რასაც სუფლიორი ამოიძახებდა, ისინიც იმას ამბობდნენ, მიხვრა-მოხვრა ხმის აწევ-დაწევა არ იციან....

ან. მესხის თაობაზე შემიძლიან გაბედვით ვთქვა ნიჭიერი მოთამაშე და არამ თუ აქ ახლათ დაარსებულ ტრუპპაში იქნება გამოჩენილი მოთამაშე. დიდს თეატრებშიაც უკანასკნელ ალაგს არ დაიჭერს. ამისი სცენაზედ გამოსვლამ, მიხვრა-მოხვრმ, კილოზედ ლაპარაკმა აღტაცებაში მოიყვანა ხალხი ვოდეველში, სადაც სასტუმროს გოგოს როლს თამაშობდა და ბიჭს ეხუმრებოდა და სიყვარულს უცხადებდა. იმ ტრუპპას არა უშავს რა, სადაც კი ამისთანა მოთამაშეები იქნებიან, როგორც კ. მესხი, ეფ, კლდიაშვილისა, ან მესხისა და ეგნატიევი.

გათავების დროს დრამის ავტორი გ. წერეთელი სამჯერ ბრავოს ყვირილით გამოიხმეს სცენაზედ.

ბოლოს ვისურვეთ, რომ ქუთაისის ახალგაზრდა ტრუპპას დღეგრძელება მისცემოდეს... თეატრი კარგი აქვთ ქუთაისში, მხოლოდ ჯერ გათავებული არ არის, ლოჟები არა აქვს, ჭერი არ არის და ამის გამო სცენიდან ხმა არ ისმის...

მაყურებელი

„დროება" N 99, 1880 წ. 11 მაისი, კვირა, გვ.3.

ფრანცია

ერთ განცხადებაში ნათქვამია: „იმპერატორს ვენეციის მაზრა დაუთმეს და ის უფრო იმისათვის დათანხმდა ამ მაზრის მიღებას, რომ უნდოდა მოესპო ის მიზეზი, რომელმაც აღძრა ახლანდელი ევროპის ომი.. იმან განიზრახა მტრულის მოქმედების შეწყვეტა ორს ერთმანეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს შორის. რაკი იტალიის მთავრობამ ხელი მოაწერა ომიანობის შეჩერებაზედ, მისმა დიდებულებამ ნაპალეონმაც დაიწყო მოქმედება, რომ ფლორენციის და ვენის კაბინეტებს შუა შერიგება მოეხდინა. ყველაზედ პირველად საჭირო იყო, რომ კანონიერი სახე მიეცათ იმ საჩუქრებისათვის, რომელიც ფრანცმა – იოსებმა მის დიდებულებას დაუთმო ამ განზრახვით წარსულის თვის 24 რიცხვის ხელი მოაწერეს ავსტრიისა და ფრანციის შუა შედგენილს ტრაქტატზედ. ურთიერთობითი რატიფიკაცია შემტკიცება ამა ტრაქტატისა მოხდა ვენაში. ზემოხსენებულის დოკუმენტის ძალით ლომბარედო – ვენციის საკაროლოს მიწები და ციხეები უნდა გადასცენ ფრანციის კამისარს, რომელიც ახლა იმყოფება ვენეციის მაზრაში. ამის შემდეგ ფრანციის კამმისარი მოურიგდება ვენეციის მთავრებას, თუ რა რიგად უნდა გადასცეს იმან ის სამფლობელო, რომელიც ფრანციამ მოიპოვა: შემდეგ მიეცა ვენეციას სრული ქონება საზოგადო ხმის მიცემით წარმოსთქვას, თუ როგორ სურს დააწყოს თავისი საქმე მომავალში. რაკი ეს აზრი ამ გვარათ წარმოთქვა, შემდეგ მისი დიდებულება არ შერყებულა, რომ ჯერ კიდევ 29 ივნისს გამოეცხადებინა იტალიისთვის იმ მაზრის გადაცემა, რომელიც ავსტრიამ დაუთმო.

„დროება", N 29 1866 წ. 16 (28) სექტემბერი, გვ.2.

ბატონო რედაქტორო!

კვირას ჩვენი საადგილ-მამულო ბანკის საზოგადო კრების სხდომაზედ ერთი იმისთანა საცოდაობა მოხდა, რომ არ შემიძლია ის ამბავი თქვენი გაზეთის მკითხველებსაც არ შევატყობინო. საცოდაობასთან ამ ამბავს ჩემი აზრით საზიზღარი და საძნახისი მხარეც აქვს, რადგანაც იმის მიზეზი უნივერსიტეტში ნასწავლი ყმაწვილი კაცია „აი რა საქმე გახლავთ: ხსენებულის ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა წრევანდელის წმინდა შემოსავლისაგან, რომელიც სხვა დასხვა საჭიროებისათვის უნდა განაწილებულიყო ერთი ხუთასი მანეთი სხვათა შორის დაუნიშნა ქუთაისში იმ ქალებს, რომ ჩვენი ბანკის საზოგადოება, რომელიც საკმაო გულუხვობას იჩენს ხოლმე ყოველთვის ჩვენში სწავლა-განთლების გავრცელებისათვის. არ დააგდებდა უყურადღებოთ ამ შკოლის მზრუნველობის ფხვანასაც და არგებდა მასაც 500 მან. და მართლაც როდესაც თავსმჯდომარემ მოკლედ მოახსენა საზოგადოებას მზრუნველობის თხოვნა, საზოგადოებამ თითქმის ერთხმად განაცხადა: „მიეცეს, მიეცესო!" მაგრამ ამ დროს ბატ. ვლადიმირ მიქელაძე შესდგა მაღლობზე და თავს-მჯდომარის ნებართვით, ბრძანებს დაახლოებით შემდეგს: ბატონებო! ამ შკოლაში, რომელიც აქ დაასახელეს „საქალებო შკოლაა" და რომლისთვისაც კომიტეტი 500 მან. გთხოვთ, არის ქ. ქუთაისში! ამ შკოლაში სწავლობენ ქუთათურების შვილები და არა თქვენი თავად აზნაურებისა! (ეს უკანასკნელი სიტყვები განსაკუთრებით და კვერის დაკვრით წარმოსთქვა ბატ. მიქელაძემ). რათ უნდა შეეწიოთ იმისთანა შკოლას, რომელშიაც თავად აზნაურობის შვილები არ იზრდებოდა, ამას გარდა მე ვიციო – დაუმატა შთაბეჭდირების გასაძლიერებლად ბ.მიქელაძემ, რომ შკოლაში სწავლაც „უფასო" არისო (უარგისიო უნდოდა ეთქვა)". რადა ლაპარაკი უნდა, რომ ამისთანა სიტყვა რომელიც ჩვენის თვად აზნაურობის გინებაზე კი არა იმათ გრძნობაზედ და შთამომავლობითს მიმართულებაზე იყო განზრახული, ისეთი შთაბეჭდილება იქონია როგორსაც მთქმელი მოელოდა. შეიქნა ერთი საზარელი ღრიალი: „არ გვინდა, არ გვინდა!", „არ მიეცეს, არ მიეცეს!" და თავმჯდომარე იძულებული იყო დროებით გამოერიცხა მზრუნველობის თხოვნა განსახილველად წარმოდგენილის საგნების სიისაგან. ამ ნაირად საზოგადოებამ უარყო იმისათანა შკოლის შეწევნა, რომელშიაც ას-ოც მოსწავლეთა შორის ორმოცამდე იმისთვე შვილები არიან (სამეგრელოდგან, გურიიდგან და იმერეთიდგან), რომელიც დაარსდა და დღესაც არსებობს მოწყალებით რომელსაც აქაურის საქალებო გიმნაზიისაგან ნათს-ღვარს მიწაზე, ვიღაც კალატოზმა ბერძენმა სამადლოდ და თავის სასახელოდ თავის ხარჯით აუშენა 15 ათას მანეთს ღირებული სახლი, რომელიც დღეს მოითხოვს საფუძვლიანს რემონტს. საზოგაოებამ უარი სთქვა „მოძღვრის" სიტყვით იმისთანა შკოლის შეწევნაზე. რომლის „მოძღვერები" (მასწავლებლები) გაკვეთილების სასყიდლათ იღებენ ათას თხუთმეტს შაურს. მე თვენ გკითხავთ, ბატ. რედაქტორო: საზრახისი არ არის განა ამისთანა საქმის შეწევმაზე უარის თქმა: და მერე ვისგან, ვისის გამონებით და რა საბუთით მაღალი სასწავლებელში სწავლა მიღებულის ყმაწვილის კაცისაგან, ჩვენი მოზარდი ახლაგაზრდობის „მოძღვრისაგან", თავადის ვლადიმერ მიქელაძისაგან, რომელმანაც თავის აზრის საფუძვლად იმისთანა უმსგავსო საუბარი იხმარა: „რადგან ამ შკოლაში თავად-აზნაურობის შვილები არ იზდებიან, ამისათვის იმას არ უნდა შეეწიოთ!".

როგორ მოგწონთ ამისთანა ახალგაზრდისაგან ჩვენ თავადაზნაურობაში ამ გვარის აზრების გატარება, რომელსაც უამისოდაც ამაყად მოაქვს თავის-თავი თვისის შთამომავლობით და გვარის შვილობით: განა ყველაფრის თქმა შეიძლება, ოღონდ შენი აზრი კი გაატარო! სამწუხაროდ, თავ – მიქელაძის საქციელმა მომაგონა 1879 წელში ამავე ბანკის კრებაზედ ბატ. დარ. – საგან წარმოთქმული სიტყვა, რომელიც ამტკიცებდა, რომ არა და არა სტუდენტს რაში უდნა მივცეთ შემწეობა, როდესაც ის გლეხის შთამომავლობის არისო.

„ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო"

ივანე მესხი

„შრომა," N 20, 1882 წელი, 26 მაისი, გვ.4.

პასუხი ლიბერალებს

„შრომაში ბ-ნს ივ. მესხს დუბეჭდავს წერილი, რომელშიაც საშინელის განცხადებით იგონებს ჩემს მოქმედებას საადგილ-მამულო ბანკის კრების სხდომაზე წარსულ კვირას.

ბ-ნ ივ.მესხი გახლავთ წევრი ქალების „უფასო სკოლის რჩევისა, აგრეთვე წევრი ბანკის ზედ ამხედველ კომიტეტისა. გთხოვთ ეს დაიხსოვნოთ, როცა კრება შეუდგა მოგების განაწილებასო, მოგვითხრობს ბ-ნი მესხი, ზედამხედველ-კომიტეტმა სთხოვა თავად-აზნაურებას ხუთასი მანეთი ქალების უფასო სკოლისათვისო. ესეც მართალია. კრებამ ერთ ხმით შესძახა: „მიეცეს, მიეცეს,"- ჭეშმარიტია მერმე ფლ. მიქელაძე შესდგა მაღლობზე და დაახლოვებით ბრძანა შემდეგიო: „ბატონებო! იმ სკოლაში, რომელიც აქ დაასახელეს" საქალაქო სკოლად" და რომლისთვისაც კომიტეტი 500 მან. გთხოვთ, არის ქუთაისში! ამ სკოლაში სწავლობენ ქუთათურების შვილები და არა თქვენი. თავად-აზნაურებისა! ეს უკანასკნელი სიტყვები განსაკუთრებით (! ?..) და კვერის დაკვრით წარმოსთქვა მიქელაძემ. რათ უნდა შევეწივნეთ იმისთანა სკოლას რომელშიაც თავადაზნაურების შვილები იზრდებიანო! ამას გარდა მე ვიციო, დაუმატა შთაბეჭდილებით გასაძლიერებლად ბ-ნმა მიქელაძემ, რომ სკოლაც „უფასო" არისო („უვარგისიო" უნდოდა ეთქვა) აქედამა ჩანს, რომ „უფასი სკოლის" დახმარების წინააღმდეგი მხოლოდ იმისათვის ვიყავი, რომ ის თავად-აზნაურებას არ ეკუთვნის. ბოდიშს ვთხოვ, მაგრამ უნდა აღვიარო, რომ რასაც ბ-ნი ივ. მესხი მწამებს, თავიდან ბოლომდის ტყუილია. დასამტკიცებლად მოვიყვან იმ სიტყვებს, რომელიც შესახებ ამ საგნისა წარმოვთქვი საზოგადო კრებაზე: კომიტეტი გთხოვთ, ბატონებო, ქალების უფასო სკოლის დახმარებას. ყოველი შეწევნა და დახმარება კეთილი საქმეა. მაგრამ ჩვენ თვითონ არა გვაქვს-რა, სხვას რაღა მივცეთ. მართალია, ხუთასი მანეთი დიდი ფული არ არის, მაგრამ, თუ ცოტას არ შევინახავთ და არ გავუფრთხილდებით, დიდი საიდამ შესდგება. შარშან ხუთასი, ხელს ხუთასი, ეგებ გაისათაც ხუთასი მანეთი მისცეთ, -ეს შორს წავა. ჩვენ ერთი საშვილიშვილო საქმე დაგვიწყია – ჩვენი სათავადაზანაურო სკოლა და მოვალე ვართ ყოველი ჩვენი საშვალება იმას მოვახმაროთ. ჯერ ისიც არ ვიცით, კომიტეტს არ შეუტყობინებია ჩვენთვის ჩვენი შვილები იზრდებიან იქ, თუ არა. ჯერ თაოდათაო, მერე ცოლო და შვილო. ჯერ კიდევ ჩემი სიტყვა არ გამეთავებია, როცა კრებაში შეიქმნა დიდი ხმაურობა და ყვირილი: „ნუ მივცემთ". ამ დროს

მოვიდა ჩემთან ბ-ნი ივ. მესხი, წევრი კომიტეტისა და საქალებო უფასო სკოლის რჩევისა, და მითხრა:

-ამას შენგან არ მოველოდი, შენ სარგებლობ წუთით, თავადაზნაურობის ინსტიქტებს აღვივებ. ეს იყო რუსულად ნათქვამი: შემდეგ ამის მე განვაგრძე ჩემი საუბარი და მოვახსენე კრებას: „- წედან ჩემი აზრი არ გამითავებია: ზოგიერთებმა დამწამეს, თითქო მე წარმომეთქვას, სხვა წოდების შვილებს ნუ მოვეხმარებითო. არა! გლეხსაც, ვაჭარსაც, ურიასაც, თათარსაც ვალდებული ვართ ხელი მოვუმართოთ, თუ კი ღონისძიება გვექნება. მაგრამ რა ვქნათ, როცა ჩვენ თითონ ღატაკები ვართ არა გვაბადია-რა. ჩემზე რო ყოფილიყო და იყოს დამოკიდებული ბანკის ყოველ წლიურ მოგებას ხელ-უხლებლად გადავდებდი ერთის საშვილი-შვილო საქმისათვის, – ეს გახლავთ ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლა. თუ იმ მდგომარეობაში დარჩა ეს სკოლა, რა მდგომარეობაშიც ახლა არის, დიდის ნაყოფს ჩვენ ვერ მოგვიტანს. ჩვენი ყოველი შეძლება, სურვილი, აზრი იმაზე უნდა იქნეს მიმართული, რომ ეს სკოლა ქართულ გიმნაზიათ (აქ კი, ბატონო ივ. მესხი, დავკარი კვერი) გადავაკეთოთ. წარსულ დროების დაკვირვებამ აშკარად დაგვიმტკიცა, რომ, თუ ჩვენ თავის-თვის-არ ვიზრუნეთ სხვები ხეირს არ დაგვაყრიან. ჩვენი საკუთარი გიმნაზია ეხლანდელ დროში ისეთ მოთხოვნილებას შეადგენს, როგორც წყალი თევზისათვის და ჰაერი კაცისათვის. მე აქ, ეხლა, ჩვენ წინაშე, სხვადასხვა მიზეზების გამო, არ შემიძლია განვმარტო, თუ რა დაუფასებელი და საშვილი-შვილო მნიშვნელობა ექნება ამ გიმნაზიას ჩვენის მომავლისათვის. თუ სიმდიდრეს ვერ დაუტოვებს ჩვენს შვილებს, განათლების სახსარს მაინც ნუ მივაკლებთ. ამიტომ ნუ დავფანტავთ ჩვენს ფულებს: ათასი მანეთი ერთს მიეცით, ორი ათასი მეორეს, ხელფასი მესამეს, საშვილი-შვილო საქმისათვის კი აღარა დაგვრჩობა-რა, იმ საქმისათვის, რომელიც აღდგენს მაგარს საფუძველს ჩვენი შთამომავლის გონიერი განათლებისას. ვიმეორებ, ბატონებო, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული ყოველ წლიურ მოგებას ხელ-უხებლად გადავდებდი. აქედან შესდგებოდა კარგა დიდი თანხა და ჩვენ საკუთარის საშუალო სასწავლებლის პატრონი ვიქნებოდით, მე მხოლოდ საქალებო უფასო სკოლის შეწევნის წინააღმდეგი კი არა ვარ, არამედ ვარ წინააღმდეგი საზოგადო ამ გვარად ჩვენის ფულების განაწილებისა აქ მე ვიხმარე ერთი იმერული სიტყვა („გაწიწილაკებისა"). ჩვენ ამ საშუალებით და ამ გვარი შეწევნით იმედიანად სხვას ვერ გამოვადგებით, რამოდენადაც დავღუპავთ ჩვენს ერთად-ერთს რიგიანად დაწყებულ საქმესა".

ეს იყო ჩემი უკანასკნელი სიტყვა, წარმოთქმული კვირას თავად-აზნაურობის კრებაზე – ბანკის მოგების ხელუხლებლად შენახვას იმისათვის ვევალებოდი, რომ დარწმუნებული ვარ, თუ ესე არ მოვიქცევით, თუ ბანკის მოგებას დავფანტავთ – რა დაგვრჩება ხელში. რა პასუხი უნდა გავცეთ ჩვენს შვილებს. ვწუხვარ, რომ ეს ვერ გაუგია ჩემს მოპირდაპირეს, რომლის ლიბერალობას, ჩემდა მოულოდნელად, ნამეტანი მოკლე კუდი ჰქონია. მაგრამ მოეტევება „საქალებო" უფასო სკოლის რჩევის" წევრია: ვის ეზრუნა, თუ არა იმას ამ უფასო სასწავლებლისათვის

ვლ.მიქელაძე

„დროება," N110, 1882 წელი, 30, N 110 გვ.3-4

ორიოდე უკანასკნელი სიტყვა ბ. ვლ. მიქელაძეს

ძაღლი ყვირის მაშინ, როდესაც მას სცემენ
და კაცმაც უნდა შეიძულოს იგი.- მაგრამ
პირნი ძაღლზე უმაღლესნი და ამათ რამდენიც
უნდა სცემოთ არ იყვირებენო

საჭიროდ არ ვრაცხ, ბ.ლვ. მიქელაძე, თქვენის უკანასკნელის პასუხის შემდეგ კიდევ ბევრი რამ გელეპარაკოთ. ვინც ჩვენს ბაასს თვალ-ყურს ადევნებდა, რაც ვსთქვით იმითაც დარწმუნდებოდა, ჩვენ ორში ვინ არის მართალი, ვინ ჩვენგანი ატანს ჭკუას ძალას, საკმაო იყო ჩემი თქვენდამი ეს უკანასკნელი ბეჭდვითი ორიოდე სიტყვა, ზემო მოყვანილის შესანიშნავი სიტყვებით დაგებოლოვებინა, იმ სიტყვებით, რომელნიც ასე ნათლად და მშვენიერად გამოხატავენ თქვენის დასის ვაჟბატონებს ყოველის მხრით – მაგრამ ერთი რამ ნათქვამია – მეზობელმა, რომ შემოგძახოს..., თუ შენ არ შესძახებო ..... უენო ეგონებიო ” და მეორე არ შემეძლო ჩვენთვის მკითხველი საზოგადოების ყურადღება არ მიმექცია თქვენს ყოყოჩობაზე.. თქვენ შეურაცხებად მიგაჩნიათ ჩემთან ბაასი. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ თქვენთვის მოთხრობით, რომ იმ დროს მის დღეში ვერ მოვესწრებით, რომ თქვენ როდისმე ჩვენს წინაშე თავის გამართლება დაგჭირდესთ, არამედ სიმართლის აღსადგენლად მასლაათობდით და სხვა და სხვა.

ამ სიტყვებმა, ამისთანა თქვენმა კუდაბზიკობამ დამარწმუნა, რომ თქვენ სამწუხაროდ შეგრყევნიათ „ვმესტილი შჩე ცენტრალნაღო მოზგა” ვწუხვარ ჭეშმარიტად, რომ თქვენთან ბაასით შევაწუხე ჩვენი მკითხველი საზოგადოება და განსაკუთრებით „შრომის” რედაქცია ბოდიშს ვიხდი.

ივანე მესხი

„შრომა” N 26 1886 წ. 8 ივლისი, გვ.6

დღევანდელ ნომერში წასაკითხავად

ქუთაისიდამ მიღებულს დეპეშას, რომლიდამაც შეიტყობთ, რომ ამ ქალაქის თავად ამოურჩევიათ უფ. ლუკა ნიკოლოზის-ძე ასათიანი.

რამდენადაც ჩვენ ვიცნობთ და სხვებისაგან გაგვიგონია, ამაზე უკეთესს პირს ქუთაისი ამჟამად ვერ ამოირჩევდა. ამბობენ რომ უფ. ასათიანი პატიოსანი, მიუდგომელი და მშრომელი კაციაო. სწორედ ამისთანა კაცი ეჭირება ახლა ქუთაისს, რომლის საზოგადო საქმეები, როგორც გვარწმუნებენ, ამ უკანასაკნელი სამი წლის განმავლობაში, ცუდის გამგეობის გამო, ძალიან დახლართული არისო.

„დროება” N 267, 1878წ. ჯ11. 30 გვ.2.

ქ. ქუთაისი, ივნისის 30-ს

ვისწრაფვი გაგიზიაროთ ის თვალსაჩინო და სასიამოვნო ამბავი, რომელიც მოხდა დღეს ქუთაისში. ეს გახლავთ საზოგადოებისაგან თანაგრძნობის გამოცხადება მისი განზრახვის გადათქმისა და ჩვენს ქვეყანაში დარჩენისათვის. აი, როგორ მოხდა ეს: ივნისის 30-ს დილის 10 საათზე ბულვარში გავრცელდა ხმა, რომ ზოგიერთნი პირნი ემზადებიან 11 საათზე ავიდენ გორაზე და სთხოვონ მღვდელ-მთავარს დარჩენა. ყველამ დიდის სიამოვნებით მიიღო ეს კეთილი განზრახვა და მონაწილეობა მის აღსრულებაში ზოგნი საჩქაროთ გაეშურნენ შინისკენ შავი ტანისამოსის ჩასაცმელად და მცირე ხნის შემდეგ ბულვარშივე კარგა ძალი საზოგადოება შეკრბა ერთად წასასვლელად. კრებაში ერივნენ ყოველი წოდების და ხარისხის კაცები: თავად-აზნაურნი. თავიანთ წინამძღოლებით, მოქალაქეები თავიანთი მოთავეებით, ჩინოვნიკებით და კერძო პირებიც, როგორც განათლებულნი აგრეთვე გაუნათლებელნიც. სხვათა შორის, ამ შეკრებილებში ერია, ფეხის ტკივილის გამო დავრდომილი თ.ნ.ლ-ძე უფრო ხშირად, რაც მოულოდნელად და უეცრივ კეთდება, უფრო კარგად გამოდის ხოლმე რადგან ვითომ დამ%დარი ჭკუის და უგულო კაცის ენა ერთი მხრით და ავ%ია კაცის წამბილწველის ენა, მეორეს მხრით. ხრწნის დასაწყისშივე კეთილს საქმეს. დღევანდელი შემთხვევაც ასცილდა ამ გვარ ბედს.

საათის 11-ზე ორმოცამდე შეკრებილნი პირნი გაემართნენ გზას და ცოტა ხნის შემდეგ შეუდგენ ამ პაპანაქება სიცხეში იმ „ცოდვილ" გორას, სადაც წინად უბრალოდ დაღვრილი სისხლი უნდა წაერეცხა ამ წამში მოსალოდნელ მადლიანს საქმეს. მღვდელ-მთავრის ას წლოვან ცაცხვებით დაჩეროებულს ეზოში დაჰბერა საზოგადოებას მართლა რომ მადლიანმა ნიავმა და უსაღავათო სიცხისაგან შეწუხებულ გულს, თითქოს დალოცვილი პირდებოდა სხვა რამე კაეშნების განდევნასაც საძოგადოების გულისაგან.

ცოტა რამე თათბირის შემდეგ საზოგადოება მოწვეულ იქნა მღვდელ-მთავართან, რომელმაც მიიღო იგი კურთხებით, მცირე სიჩუმის შემდეგ, როცა საძოგადოება დალაგდა წამოდგა ქუთაისის მაზრის წინამძღოლელი თ. ალმასხან ნიჟარაძე და მიმართა მღვდელ-მთავარს შემდეგი სიტყვებით დაახლოებით:

„მღვდელთ-მთავარო! ჩვენ გავიგეთ ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი მთელის საზოგადოებისთვის... ჩვენ გავიგეთ, ვითომ თქვენ სტოვებთ თქვენს ეპარქიას და გადადიოდეთ რუსეთში. ჩვენ გიახელით აქ ერთი მისთვის, რომ განგიცხადოთ ჩვენი გულითადი მწუხარება ამ შემთხვევის გამო და გთხოვთ ამასთანავე არ ინებოთ, თუ შესაძლოა, თქვენი ქვეყნის დატოვება – როგორც გვსმენია, მიზეზი თქვენის განზრახულების მიღებისა უნდა იყოს, თქვენი ერთგული მოსამსახურის საწყალი მჭედლიძის მხეცურად მოკვლა ვიღაც ავაზაკისაგან და თქვნთან მოგზავნილი უსახელო წერილები. ნუ თუ ერთ-ორმა ბოროტმა კაცმა უნდა დაგვჩაგროს მთელი საზოგადოება და მოაშოროს საყვარელი მოძღვარი თავის სამწყსოს, არა, თქვენ მაგას არ ინებებთ. თქვენი ღვაწლი და სამსახური ქვეყნისადმი იმდენად დიდია, რომ არ ისურვებს თქვენის ნებით შეწყვიტოთ იგი და მოშორდეთ თქვენს სამშობლოს. იმედია პატივს დასდებთ ჩვენს მხურვალე თხოვნასაც და არ აღასრულებთ თქვენს განზრახვას"

ამის შემდეგ ქალაქის თავმა მიმართა ყოვლად სამღდელოს ორიოდე სიტ-ყვა.

„მღდელ-მთავარო! სრული თანახმა ვარ იმისა, რაც ახლა მოგახსენათ ჩვენმა წინამძღოლმა, მხოლოდ მას დავსძენ შემდეგს: ოცდა-ხუთი წელზე მეტია, რაც თქვენ სინათლესა ჰფენთ ჩვენს ქვეყანას ამის მთხრობას მე არ შეუდგები – ეს არის საეკლესიო ისტორიის საქმე, რომლის საუკეთესო ფურცლები ეჭირება თქვენის მოღვაწეობის აღწერას ამ ოცდა-ხუთ წელიწადში თქვენ სამსახურში, როგორც ჩვენ, შეგხვდებოდათ უსიამოვნება და წყენა, მაგრამ თქვენ იმდენად სულ-გრძელი ბრძანდებით, რომ ჯერ არ შემდრკალხართ და იმედია არც ამის შემდეგ შედრკებით. რა უნდა იყოს ერთი ორი-ბოროტის კაცის მუქარა, სადაც მთელი საზოგადოება პატივსა გცემსთ და უყვარხართ: როცა ამნაირი განწყობილება არის მთელს საზოგადოებისა და ერთ კაცს შუა, მაშინ ბოროტს კაცს თვით შეეშინდება და ხელი აუძაგძაგდება, რომ კიდევაც მოინდომოს იმ ყოველის მხრით პატივსაცემ კაცის ხელის შეხება. თქვენა ხართ საზოგადოების მფარველობის ქვეშ და თქვენთან თავის განზრახვით ვერვინ მობედავს. ესეც, რომ არ იყოს თქვენ კარგად იცით, რომ თქვენ ნებას ჩვენ ვერავინ გაგვიწევს და ამისათვის თქვენ არ უნდა ინებოთ ჩვენი ქვეყნის დატოვება, სადაც ამდენი კეთილი საქმე მოგიქმედნიათ". შემდეგ ამ ორი სიტყვისა თვით მღვდელ-მთავარმა მოახსენა საზოგადოებას ორიოდე საუბარის მსგავსად.

მან ბრძანა, რომ განზრახვა მართლა მქონდაო, აქედან გადასვლისაო, მაგრამ ოფიციალურად არ მითხოვნიაო, არამედ კერძოთ ვსწერდიო ეგზარხოსს ჩემს მწუხარებას და მდგომარეობას და რჩევას ვეკითხებოდი აქედამ გადაყვანაზეაო.

იგი არ მირჩევდა აქედამ წასვლასაო, რადგან აქ უფრო სასარგებლოდ მივაჩნდიო... როცა მჭედლიძე მოკლესო იმ საათშივე მოვიდა წერილი, რომ მეც იმასვე უნდა ველოდეო. ჩემი სულის სიმდაბლე იყო, რომ შევშინდიო, მაგრამ მთლად ჩემი თავისთვისაც არ შევშინებულვარ. მე ერთი ხნიერი კაცი ვარ... დიდი სიცოცხლე არა მქავსო, მაგრამ რომ მართლა მოვეკალით, რა ჩირქი დაედებოდა მთელ ხალხსო, რომელმაც თავის მოძღვარი ასე სასტიკად გაიმეტაო. ამან გამაბედვინა ჩვენი ქვეყნის დატოვება, მაგრამ რადგან ვხედავ, რომ მართლა სწუხს საზოგადოება, არა ჰსურს ჩემი მოშორებაო და ამდენ პატივსა და ნუგეშსა მცემს, რომ კიდეც გადაწყვეტილი მქონდეს წასვლა, მაინც აღარ წავალო და ვეცდები გადვიხადო მცირედ მაინც ეს დაუმსახურებელი პატივის-ცემა, რომელსაც მე მიცხადებს საზოგადოებაო.

ამ დროს ყველამ თავი მოიხარა სიამოვნების გრძნობით ათრთოლებულ კრებისაგან გულ-დამშვიდებული, იმედ-მოცემული გამოდიოდა თითო კაცი და ყოვლად სამღვდელოს ამბორს ყოფთა ხელს...

კრება გამოეთხოვა მღვდელთ-მთავარს...

ყველას ნეტარება ეხატებოდა სახეზე...

კ.ბაქრაძე

„დროება" N 141, 1885 წ. 4 ივლისის გვ.1-2

მემედ აბაშიძის წერილები

თამარ – მეფე
და სამაჰმადიანო საქართველო

ადამიანმა რამდენსამე თვეს ჩვენს მხარეში უნდა დაჰყოს, განსაკუთრებით იქ, სადაც აჭარის წყალი ჩამოდის, თვალი გადაავლოს ბუნების სიმშვენიერეს ხევებში, რომ იგრძნოს თუ რა უხვი სიმდიდრე მოუვლენია განგებას სამაჰმადიანო საქართველოს მოსაკაზმავად და დააფასოს უფლის დაუზოგველი წყალობა.

აქ მეტია ლაპარაკი იმ კულტურული ნაშთების შესახებ, რომელთაც ისე ხშირად შეხვდებით ჩვენს კუთხეში და რომლებიც გამოხატავენ მთელი ჩვენი ერის სულის საგანძურს. მე მხოლოდ მინდა ვაუწყო ჩვენს თანამემამულეთ, მახუნცეთის (ქვემო აჭარა) ბოლოში აჭარის წყალზე, ცისარტყელასავით გადაჭიმული ხიდის ამბავი.

ასე თხუთმეტი-ოცი წელიწადი იქნება, გაზაფხულზე, ჩვეულებრივი დიდის წვიმების გამო, ზვავი ჩამოვარდა და აჭარის წყალი შეაგუბა. ბოლოს წყალმა წინ გადაღობილი მთა-ბარი გადალახა, დაარღვია და მიდამოებისა წალეკვით წამოვიდა. მეტად საზარელი სანახავი იყო თურმე როცა ძირიან მოთხრილ ხეებს მოათრევდა, ღრიალებდა და არე-მარეს ეხეთქებოდა; დალეწა და დაამხსვრია ალად აშენებული რკინის ხედები, კლდეებს აქცევდა. მაგრამ ზემოთხსენებული მახუნცეთის ხიდი იმ საშინელ წარღვნის დროს ისევ ისე შეურყევლად იყო გამართულიო. ასე მიამბო ერთმა ნაცნობმა. მგზავრობის დროს რამდენიმე ცხენოსანი სოფელ მახუნცეთს მივუახლოვდით და მე დაინტერესებული შევეკითხე ამხანაგებს: სად არის ის, ისტორიული ხიდი? – მათ შორის ერთმა შუახნის ნაცნობმა მიპასუხა: „საცაა ახლა გამოჩნდებაო". ცნობის მოყვარეობით აღტაცებულმა ცხენს მათრახი შემოვკარი, რომ მალე ვდირსებოდი ჩემს ნატვრას და ორი-სამი მიხვეულ-მოუხვეულის შემდეგ უკვე გამოჩნდა საამაყო ხიდი. როცა კარგად მიუახლოვდი და დავუწყე მზერა, გამაოცა ამ ბეწვის ხიდის ხელოვნურმა სიმაგრემ. გამიტაცა შორს ფიქრებმა...

„დიახ, ეს ხიდი გაუმკლავდა იმ საზარელ ნიაღვარს და ქედი არ მოიხარაო. – სთქვა ნაცნობმა. – „ხიდია, დიახ ხიდი, შემაერთებელი ორი მხრისა: მაჭახელისა და ქვემო აჭარის. თამარ-მეფეს აუშენებია ეს ხიდიო", სთქვა მეორემ... შევეკითხე ჩემს ნაცნობებს სხვა რამ ცნობა ხომ არ გაქვთ თამარ-მეფის შესახებ – მეთქი, მაგრამ სამწუხაროდ მეტი არაფერი იცოდნენ, მხოლოდ ის იციან, რომ კულტურული ნაშთები, რომლებიც სამაჰმადიანო საქარველოშია გაფანტული, სულ თამარ-მეფის აშენებულია... არავითარი წარმოდგენა არა აქვთ თამარის დიადი ღვაწლის, მნიშვნელობას.

სულითა და გულით ვისურვებ, რომ ქართველმა მაჰმადიანებმაც გაიგონ, ვინ იყო თამარ-მეფე და შეუერთონ თავისი ხმა დანარჩენი ქართველობის ხმას...

მემედ აბაშიძე
გაზეთი „სახალხო ფურცელი" 1916 წ. №564, გვ.2

შური იძიეს

გული დაგვწყვიტა ჩვენი დიდი მამულისშვილის, ქართველი ერის დიდი მეთაურის ბ-ნ ნოე ჟორდანიას 12 წლის უმანკო შვილის წუთისოფლიდან გამოსალმებამ. ასეთი უბედურება, ვისაც გვიცდია, ვულკანის კოცონის სისასტიკეს ვგრძნობდით და ვიწოდით. მაგრამ სამშობლოისა და ერის საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე არის დასმული, იძლებულს გვხდიდა მიგვემართა დადაგულ ნოესათვის: „ქართველი ერის მოძღვარო! გაუმკლავდი ამ აუნაზღაურებელ უბედურებას, მოიკრიბე ძალღონე, შემოინახე თავი და შეიბრალე ქართველი ერი, განსაკუთრებით სამუსლიმანო საქართველო, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო მოწყვეტილი იყო თავის დედა საქართველოს და რომლის ისტორია აღსავსეა მრავლის უბედურებით და უკუღმართობით. მიაქციე შენი მშობლიური მხნე ყურადღება მათ, რომელთაც მხოლოთ ახლა იგრძნეს თავისი ვინაობა და რომლებიც თვალცრემლიანი შემოგვცქერიან და შენგან მოელიან ისტორიულ ძმობის აღდგენას".

აი ამ დროს, როცა გულდათუთქულნი ვგლოვობდით ბ-ნ ნოეს ვაჟს, სწორედ ასეთ სულიერ განცდა განწყობილებაში მყოფს მატყობინებენ ჩემი მეგობრები: „სოფელ დიგურში მოჰკლეს შენი სიძე და ერთად-ერთი მისი შვილი საქართველოს მტრებმა, და მით მოსპეს საქართველოს ჭეშმარიტი ღვიძლი შვილის ოჯახი, სისხლის ცრემლებით გველოდება შენი უბედური დაიო და სხ."

თავზარი დამცა ამ უბედურებამაც, დამიწყლულა დამარხვული გული გონება. და დამიკარგა ისედაც უიმედობის ნუგეში.

შავ ფიქრებით გატაცებული დავადექ გზას. გავცილდი ბორჯომის ხეობას და ნელ-ნელა ვუახლოვდები იმ სოფლებს, რომლებსაც ბედმა არგუნა გაქცეულიყვენ ბრძოლის ველიდან, ომს თავისი სისასტიკე ამ სოფლებშიაც გამოეჩინა და თავისი ულმობელი დაღი დაესვა. რა საზარელი რამ არის ომი!.. ომი... დიახ, ომი. ის ვერ ახერხებს გაარჩიოს ომის ოპერაციის დროს ვინ არის მოხუცი, ვინ ქალი, ვინ ბავშვი, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, რადგან მთელი მისი ყურადღება არის მიპყრობილი მხოლოდ და მხოლოდ მოწინააღმდეგისაკენ. ორ ცეცხლს შუა მომწყვდეულ ხალხზე ის ვერ ზრუნავს და ამრიგად უდანაშაულო. ხალხი საზარელ ომის მსხვერპლათ ხდება. ნადგურდება საუკუნოების განმავლობაში შეძენილი დოვლათი, შექმნილი კულტურა.

ომის მიერ მოყენებულ ამ საზარელ სურათებსაც გავცილდი. ავტომობილმა ჩაგვიყვანა ახალციხეში. ჩამოვხტი ქართველ მუსლიმანთა დივიზიის ბინაზე, სადაც დამხვდა ერთი მეგობარი, რომელმაც გადმომცა: ეს არის ეხლა სოფლიდან ჩამოვიდა შენი დაი და აქ თავის ქმრის მამობილ მანუკ ადა-მოსესოვის სახლში დაბინავდა, ამეღამვე აპირებს თფილისში წასვლასო. მაშინვე გავეშურე მოსესოვის სახლისაკენ, სადაც უნდა მენახა ჩემი უბედური დაი. მივედი ბინაზე, ვაცნობე ჩემი ვინაობა და შევედი სახლში. ცხარე ცრემლებით გადამეხვია ჩემი დამწვარ-დადაგული დაი და მწარე ქვითინით შემომჩივლა: მიშველე ძმაო, მომიკლეს ერთად-ერთი ვაჟი და ჩემი მეუღლე, ამომგლიჯეს გული და მომისპეს ოჯახი. ესენი შეიქმნენ საქართველოს მსხვერპლათ, ვინაიდან პირველი იყო შენი დისწული და მეორე კი შენი დის ქმარიო და სხ. ამ სიტყვებმა სასოწარკვეთილებას მიმცა, მარა მალე გონს მოვედი და მივუგე: დამშვიდდი ჩემო საყვარელო დაო, დიდ არს ღმერთი, იქონიე მოთმინება, ორი ქალიშვილი კიდევ გყავს და შეგიძლია შეიმცირო მათი ცქერით შენი ტანჯვა და ვაება. შენ უნდა გრძნობდე, ჩემო

დაო, რომ ის ადამიანი, რომელსაც ჰყავდა მხოლოთ ერთად-ერთი შვილი და ულმობელმა სიკვდილმა გამოგლიჯა ხელიდან; რანაირ ცეცხლის ალში არის ჩავარდნილი. თუ რომ ის ჭაღარა ნოე ითმენს თავის სიცოცხლის და ცხოვრების ხორციელ ნაყოფის დაკარგვას, შენ კი ახალგაზრდამ და კვლავ ორი ქალიშვილის პატრონმა უნდა იქონიო მოთმინება-მეთქი, ამ ჩემს სიტყვებზე ერთი ამოიოხრა და თქვა: ძმაო, სად მე და სად ბ-ნი ნოე ჟორდანია, ის არის მოძღვარი მთელი ქართველი. ის არის ძლიერი, როგორც შემოქმედება თვით ერისა, ის მხნე არის, მეცნიერი, შეურყეველი და შეუდრეკელი. მართალია მას მოეგლიჯა ღვიძლი შვილი სხეულიდან, მაგრამ რაკი ყოველი ქართველი მას თავის სულიერ შვილებთან მიაჩნია, მით შეემცირება ტანჯვა-ნაღველი. მაგრამ ჩემთვის, როგორც ქართველი ერის ერთ სუსტ წევრისათვის, ჩემი მოქმედებაც, ჩემი ოცნებაც, ჩემი იმედი და ნუგეში იყო მხოლოთ უმწეო ჩემი პაწია, ჩემი შვილიო და კვლავ მოჰყვა ქვითინს. ამას დაემატა მოსესოვის მთელი ოჯახის ოხვრა და კვნესა. როგორც იქნა დავამშვიდე ყველანი განვიზრახე მენახა მთავარ სარდალი გენ. კვინიტიძე. მითხრეს, მეფისაშვილის სახლში არის მთავარი შტაბი და თითონ სარდალიც იქ ცხოვრობსო. ავდექით ჩემი დის ერთად და ვინახულეთ გენერალი და შტაბის უფროსი პოლკოვნიკი გედევანიშვილი, რომლებიც დიდი თანაგრძნობით შეგვხვდნენ მცირე საუბრის შემდეგ გენერალის განკარგულებით მოგვცეს სამხედრო ცხენები და ცხენოსნები სოფ. დაგურში ჩვენს წასაყვანათ დავადექით გზას.

იგივე სურათები წარმოგვიდგა დაგურამდე თვალწინ, რაც ახალციხემდე. მივაღწიეთ სახლამდე, ჩამოვხტით ცხენებიდან და შევედით გავერანებულ სახლში. ამავე საღამოსვე ვინახულე გენერალი თავაძე. ძლიერ წუხდა და ამბობდა: ერთი დღით ადრე რომ შემოვსულიყავით, ეს უბედურება არ დატრიალდებოდაო. რაკი ექვსი საათის სასიარულო ცხენებით გავიარეთ, დაღლილი ვიყავით და გამოვემშვიდობეთ გენერალს. იმ ღამეს დავწევით გულდამწვრები. მეორე დილას განვიზრახე მენახა წამებულთა საფლავები. გავედი სახლიდან და ასე 50 ნაბიჯის მანძილზე მეჩეთის გვერდით წარმოიდგა თვალწინ პატარა სასაფლაო მივუახლოვდი და დავინახე ერთი ახალი სამარე, სადაც მამა და შვილი ერთად დაემარხათ. კვლავ ნაღველმა წამიღო, მაგრამ იქ მყოფ მცხოვრებლებთაგან უსათის ხმამ მომაკრებინა ძალღონე. ამ ერთ მცხოვრებთაგანმა შემდეგი სიტყვებით მომმართა: აქ, აი სწორედ ამ ერთ საფლავში დამარხულ მამას და შვილს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი, სიცოცხლეშივე ვერ სცილდებოდენ ერთმანეთს და სიკვდილის შემდეგაც არ დავაშორეთ, ორივენი ერთ საფლავში დავმარხეთო. თქვა ეს და ამოიოხრა მოხუცმა. შევეკითხე მას: იქნებ ინებებთ მიამბოთ, თუ როგორ მოხდა მკვლელობა მეთქი. შემომხედა, გადმოღვარა ცრემლები და დაიწყო:

„სროლა ატყდა. გავარდა ორი ზარბაზანი. ამ დროს როგორც კი დაინახა ქართველთა ჯარი აჯანყებულთა მეთაურმა მუსაკიევმა, განიზრახა გაპარვა, მარა ხალხმა არ გაუშვა და დააპატიმრა, იმის განსათავისუფლებლათ მოვიდენ რამდენიმე პირნი, მაგალითად: ყარსის მთავრობის „შურის" თავმჯდომარე იბრაიმ-ბეგი, ისა-ბეგ ხიმშიაშვილი, ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილი, რასიმ ბეგ-ხიმშიაშვილი, ჰამომ-ბეგ ხიმშიაშვილი, თემურ-ბეგ ხიმშიაშვილი, ოსმალოს ჯარის კაპიტანი შევქეთ ბეგი, ოსმალოს ჯარის როსტმისტრი ხურშუტ-ბეგი რამოდენიმე შაუში და სხვები. თხოვეს ხალხს მუსაკიევის განთავისუფლება, მაგრამ ხალხმა მუსაკიევი არ გაანთავისუფლა. ამაზედ

ძლიერ გაბრაზდენ და წავიდენ, როცა აბსალ მუსაკიევი დარწმუნდა, რომ მას ხალხი არ გაანთავისუფლებდა და საქართველოს მთავრობას გადასცემდა, დააპირა გაქცევა, მაგრამ ხალხის მიერ იქნა მოკლული. ეს შეიტყვეს იმ პირებმა, რომლებიც ერთი საათის წინეთ ხალხს მუსაკიევის განთავისუფლებას თხოვდენ. მათ შეეგროვებინათ ჯარი და ღამით, თისა-ბეგ ხიმშიაშვილის მეთაურობით წრე შემოავლეს სახლს, გამოიყვანეს მამა და შვილი, წაიყვანეს ჯაჯუნში და იქ მოჰკლეს, აწამეს, დაასახიჩრეს. მიცვალებულები აქ მოვასვენეთ და ორივენი ერთად ამ საფლავს მივაბარეთ. მოგვიკლეს ურჯულოებმა ჩვენი მამა, დაგვტოვეს ობლათ, სასჯელი ბოროტ-მოქმედებს".

სად არის საქართველოს მთავრობა, რომ საქართველოს გადასცენ მკვლელებიო, – ისმოდა გარშემო ხალხის ხმა.

გულდაწყვეტილი მოვშორდით სამშობლოსთვის წამებულთა საფლავს. ღმერთმა დაუმკვიდროსო სასუფეველი და მისცეთ მათ ჯენნეთი, სამოთხე.

მემედ ბეგ აბაშიძე
გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო"

მშობელი ერის სიყვარული

„ამაო არის თუ ცრუ სხვა ზრახვა. განგშორდეს სხვა ყველა სიყვარული, ცნობა და მისწრაფება: გაჰქრეს, მოისპოს, წაიშალოს. მამულისაა სიკვდილი! არა არის რა გარეშე მამულისა, არა არის რას თვინიერ ერისა!"

ასე გვეუბნება ჩვენი ეროვნული შემეცნების გამომსახველი ჩვენი თანამოძმე თავის „გლოვის ზარში", და ალმოდებულის გულით, ტანჯულის სულითა და ნაღვლიანის ხმითა გვიწევს მშობელი ერის განდგომილ შვილებს ულმობელად განწირულ ჩვენის სამშობლოს საშველად, მაგრამ გულქვაობისა გამო დადაგულ გულზე, ჩვენი კერპი გული ვერ მიგვიკრავს და ეროვნულ ჰანგზე მასთან ერთად ვერ აგვიმღერებია! ამ დატანჯულ სულთან ერთად ეს ჩვენი კრული სული ვერ შეგვითვისებია და მამულიშვილური ერთსულოვნება ვერ გამოგვიჩენია! ნაღვლიან ხმასა, რომელიც არე-მარეს მოსდებია და ოხვრა-გოდებით მთელი მხარე შეუშფოთებია, ჩვენთვის ვერა შთაუგონებია-რა და საერთო ჭირ-ვარამში მონაწილეობა ვერ მიგვიღია!... იმიტომ რომ დღევანდელმა ატმოსფერომ მოგვშხამა, გაგვაბრუა და წმინდა ეროვნული გრძნობა დაგვიკარგა! საერთო სულიერი განწყობილება მოგვისპო! დიახ, შეგვირყია!...

ისევ ჩვენებს, სამშობლო მიწა-წყლით აღზრდილებს, ჩვენს თანამოძმეებსა არა ერთხელ დაუსვამთ საკითხი, თუ რა დამოკიდებულება აქვს ადამიანს თავის მშობელ ერთან, და ჩვენც შეძლებისა-დაგვარად, ჯეროვანი პასუხი მიგვიცია, მაგრამ რა გაეწყობა! ახლად შესაძენი უკიდურესობის თვისებანი გვაძლევს და ჩვენდა არასასიამოვნოდ, ნებსით თუ უნებლიედ მისი დისციპლინის აღმასრულებელი იარაღი გავხდით...

ჩვენც უნდა შევურიგდეთ ამ საერთო მოვლენას. დავიჯეროთ, რომ ჩვენი ეროვნების მოსპობა და სამშობლო მიწა-წყლის საზღვრების გაუქმება შეუძლებელი არის და არც მთელი დედა-მიწა ერთ სამშობლოდ აღიარებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემოხსენებული აზრების მიღება მსოფლიო ერთობის დასამყარებლად ამ ქვეყნიერების სულ სხვა ქვეყნიერებად გარდაქ-

მნას მოითხოვს. დღევანდელ პირობებში კი რომ მშობელი ერის წმინდა სიყვარული, შეურყეველი, მამულიშვილური ლტოლვილება, ფიქრები და გრძნობები გულიდან ამოვიფხვრათ, ეს იქნებოდა ჭეშმარიტად ჩვენის არსებობისა და უფლების დამცველ საშუალებათა ხელთაგან დაგდება. მაშინ უფლება აყრილნი, უილაჯოდ დავრდნილნი, უპატიოდ დაგდებული ვიქნებოდით!...

სწორედ ვერ წარმომიდგენია, ადამიანმა როგორ უნდა ინატროს და მიეგებოს თავის არსებობის მომასპობელ უბედურებას! ვერ მივწდომივარ ამ მცნებას, რომელიც მშობელ ერს აბუჩად იგდებს და მის წინააღმდეგ გალაშქრებას საკაცობრიო საქმედ სთვლის... ამის არაფერი მწამს, რადგან საერთო მოვლენის შეცვლა შეუძლებლად მიმაჩნია...

რათა უფრო ნათელვყოთ გზააქცეულ თანამოძმეთა წინაშე სიმართლე ზემოხსენებული აზრებისა. ეროვნულ საკითხის შესახებ, მოვიყვანთ ერთი დიდებული მწერლის სიტყვებს, რომელიც ნათლად არკვევს ადამიანის გრძნობა-გონების აუცილებელ თვისებას.

საოცარია სიბრძნე გამოცხილებისაო-ამბობს ხსენებული მწერალი: რომელმაც განსაკუთრებით ამ ორი საუკუნის განმავლობაში ასეთი დიდი გავლენა იქონია კაცობრიობის განვითარების საქმეში, ყველა სხვა კულტურულ საშუალებას გადააჭარბა და თან მრავალი სარგებლობაც მოიტანა; – მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანმა თავისი გრძნობა-გონების ნაყოფი სავსებით ვერ ჩამოაყალიბა, ნამდვილი სახე ვერ მისცა. ეჭვის თვალი ადამიანს დღევანდელამდე შერჩა.

ზოგიერთი კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი გამოცდილების სახელით ჭეშმარიტების განხორციელებას ნივთიერ წინსვლაში ეძებს; ბუნებაში რომ ხელით უქნელი და თავლთ უხილავი რამ მოიპოვება, ეს ზღაპრულ ოცნებად მიაჩნია... მაგალითად ამ კრიტიკოსების აზრით, ეროვნულ, გეოგრაფიულ საზღვრებს, ეროვნულ შემეცნებას და გრძნობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ერთგვარ უზარმაზარ კედლად არიან აღმართულნი და სპობენ არამიანთა შორის მსოფლიო სოლიდარობასო.

დიახ! ეს აზრები მართალი იქნებოდა მაშინ, რომ ქვეყნის შემქნელს ადამიანის ფიქრები არითმეტიკული ტაბელებითა და ფსიხიური არსება გეომეტრიული საზომით განესაზღვრა; მაშინ ქვეყნიერებაზე ოჯახის, ერის, საცხოვრებელის და სამშობლოს შესახებ ფიქრი შეუძლებელი იქმნებოდა, განსაკუთრებით ნივთიერის სარგებლობის გარდა საფიქრებელი და საზრუნავი ადამიანს არაფერი ექმნებოდა...

როგორც ძუძუმწოვარს მშობლიური ალერსი და საამო დედის მკერდი უყვარს, ბავშვებს სანავარდო, ახალგაზრდას საცხოვრებლები, მოხუცს თავისი მყუდრო ბინა, შვილსა დედა, მამას ოჯახი, ადამიანიც ამგვარის გრძნობით ეტრფის თავის ერს. . .

დაკვირვებითა და გონების თვალით ჩავიხედოთ ადამიანის შინაგან არსებაში, მის სულიერ მსოფლიოში. საკმარისია! – მაშინვე მთავარი მისი სულიერი ლტოლვილება ნათელჰყოფს თავის დამოკიდებულებას მშობლიურ ეროვნებასთან და მის სიყვარულს და ჩვენც დავინახავთ, რომ ის ვერ შეეგუება იმ შეხედულებას, რომელიც გვეუბნება: მხოლოდ და მხოლოდ მშობელ ეროვნების უაზრო სიყვარულით აღჭურვილ პირებს მრუდე მიმართულების გამოა, რომ საკაცობრიო ბედნიერების დამამყარებელი მსოფლიო შემაერთებელი ძალა ასე დაქსაქსული, დანაწილებული, დაყოფილი არისო.

პირ-იქით, იგი საკაცობრიო ბედნიერების დამყარებას მშობელ ერისადმი უმაღლეს ლტოლვილებაში, წინაპრების პატივისცემაში და ოჯახის სიყვარულში პოულობს. და ამიტომ არის, რომ ვერაფრით ეთვისება დარიგებას: ადამიანთა მოდგმა ერთი ოჯახი რომ იყოს და მთელი დედამიწა ერთი სამშობლო, კაცობრიობის მდგომარეობა დღევანდელამდე უკეთესი იქნებაო.

ჯერ ერთი საკითხავია – ამგვარი მიზნის განხორციელება უკეთესი, უფრო სასარგებლო იქნება თუ არა? ამის წინდა-წინვე აღნიშვნა ხომ სასწაულის მოხდენას მოითხოვს, და მეორე ისა, რომ ადამიანის დამოკიდებულება მშობელ ერთან, სიყვარული და მთელი მისი ისტორია უკვე მაშინ გადაეცა, როცა ამ ქვეყნად პირველად გაჩნდა და მშობელმა პირველად ძუძუ მიაწოდა. აი, სწორედ იმ დროიდან შთაენერგა მამულიშვილური წმინდა გრძნობა.

და ეს გრძნობა მხოლოდ ბუნების თვისებათაგან არაა წარმოშობილი. ადამიანს, თავისი ერი, თავისი სამშობლო უყვარს იმიტომ, რომ ღვთის უპირველეს წყალობადაა მისთვის მინიჭებული მისი ძვირფასი სიცოცხლე სამშობლოს ჰაერის სუნთქვით იწყება. ადამიანს თავისი ერი, თავისი სამშობლო უყვარს იმიტომ, რომ მისი ღვთაებრივი უმანკო მზერა, თვალის პირველი აცილებისთანავე სამშობლო არეს მიეპყრო. ადამიანს თავისი ერი, სამშობლო უყვარს იმიტომ, რომ იგი ხორციელად მისი ნაკვეთი არის, ადამიანს თავისი ერი, თავისი სამშობლო უყვარს იმიტომ რომ, როცა გადაიხედავს იქით-აქეთ, წარსული ცხოვრება და სიყმაწვილე თვალწინ წარმოუდგება. ადამიანს თავისი ერი, თავისი სამშობლო უყვარს მიტომ, რომ სამშობლოს საზოგადოებრივ ცხოვრების თანასწორუფლებიანი მონაწილეა. ადამიანს თავისი ერი, თავისი სამშობლო უყვარს მიტომ, რომ მშობელი ერის შვილთა შორის ენის ერთობა, საერთო სარგებლობა, კეთილი განწყობილება, ძმობა-მოყვარეობა და ამ დამოკიდებულებისათვის საერთო ძმური აზრი და მიმართულება არის დამყარებული...

დიდებული მწერალიც ამ გვარად გვიხსნის ჩვენი მშობელი ერისადმი დამოკიდებულებასა და სიყვარულს.

და ჩვენც ვიწამოთ და აღვიაროთ ჭეშმარიტება, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი დიდად განსხვავდება ერთი მეორისგან და ჩრდილოეთი და სამხრეთი კი სულ სხვადასხვა მხარედ ითვლება; მიწა-წყალი სხვაა, ჰაერი სხვა, მდებარეობა სხვა და ხასიათი და თვისება. დასაწყისიდანვე სამშობლოს ვეკუთვნით და სამშობლო ჩვენ გვეკუთვნება. ყოველი მტკაველი მისი მიწისა მის გულისათვის თავდადებულ გმირთა სამახსოვრო ძეგლია და განა შესაძლებელია, რომ ჩვენი სამშობლო ჩინეთსა და ერი ზანგებს შევადაროთ?

მაჰმედ-ბეგ აბაშიძე

სახალხო ფურცელი, 1916 წ. №492, გვ.2

ჩვენი ავტორები:

1. **ელგუჯა ჩაგანავა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს აპარატის უფროსი;
2. **თინათინ ჯაბადარი** – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის მთავარი სპეციალისტი;
3. **ნინო ბუცინაშვილი** – თბილისის სანოტარო ბიურო;
4. **თამაზ ფუტკარაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
5. **გუგული პატარიძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
6. **მალხაზ აფრიდონიძე** – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი – „ALMA MATER”- ის პროფესორი;
7. **თენგიზ პარმაქსიზიშვილი** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
8. **ქეთევან ფუტკარაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის დოქტორანტი;
9. **ფრიდონ ქარდავა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
10. **ოთარ გოგოლიშვილი** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის დირექტორი;
11. **ლელა მჟავანაძე** – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი;
12. **ფატიმა კახიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი.

Out authors:

1. **Elguja Chaganava** – Head of office of Sub-department of Ajara Autonomous Republic Governemnt – Archives Administration;
2. **Tiantin Jabadari** – main specialist of Central Archives of contemporary history of National Archives of Georgia;
3. **Nino Butsinashvili –** Notary Bureau of Tbilisi;
4. **Tamaz Phutkaradze** – Head of department of Sub-department of Ajara Autonomous Republic Governemnt – Archives Administration;
5. **Guguli Pataridze** – Main specialist of Sub-department of Ajara Autonomous Republic Governemnt – Archives Administration;
6. **Malkhaz Aphridonidze** – professor of Grigol Robakidze University – Alma Materi;
7. **Tengiz Parmaksizishvili** – Main specialist ofSub-department of Ajara Autonomous Republic Governemnt – Archives Administration;
8. **Ketevan Phutkaradze** – PhD student of Shota Rustaveli State University;
9. **Fridon Kardava** – Main specialist ofSub-department of Ajara Autonomous Republic Governemnt – Archives Administration;
10. **Otar Gogolishvili**– Professor of Shota Rustaveli State University; director of Khariton Akhvlediani Museum;
11. **Lela Mzhavanadze** – Graduate student of Shota Rustaveli State University;
12. **Fatima Kakhidze** – PhD student of Georgian Technical University.

სარჩევი:

1. **ელგუჯა ჩაგანავა** – აჭარის საარქივო სამმართველოს მიერ 2015 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში **4**
2. **თინათინ ჯაბადარი, ნინო ბაცუნაშვილი** – ცოტა რამ ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის შესახებ **9**
3. **თამაზ ფუტკარაძე** – პაციფიზმი საქართველოში **21**
4. **გუგული პატარიძე** – ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის დირექტორი რევაზ ბოლქვაძე საარქივო დოკუმენტებში **32**
5. **მალხაზ აფრიდონიძე** – რაინდობა და საქართველო **46**
6. **თენგიზ პარმაქსიზიშვილი** – აკაკის იუბილე სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში **53**
7. **თამაზ ფუტკარაძე, ქეთევან ფუტკარაძე** – საცხოვრებელი ნაგებობანი არტაანში **56**
8. **ფრიდონ ქარდავა** – როცა ლეგენდას ეხები **65**
9. **ოთარ გოგოლიშვილი** – ფრანგი მოგზაურები აჭარაში **69**
10. **ქეთევან ფუტკარაძე** – ავტორიტარულ, დემოკრატიულ და ლიბერალური მიდგომები აღზრდის პროცესში **75**
11. **ლელა მჟავანაძე** – აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების საკითხისათვის საქართველოში **78**
12. **ფატიმა კახიძე** – ქართული პრესა და სალიტერატურო ენის ნორმები 82
13. **საარქივო დოკუმენტები** **85**
14. **ძველი პრესის ფურცლებიდან** **90**